

"საქართველოს რკინიგზა" რეკორდულ მაჩვენებელს აღწევს A6



ახალი კადრები იუსტიციის სამინისტროში A7



რა უფრო საშიშია: ქართველი ფლებოტომუსი თუ ახალი პალტო? A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — სამშაბათი, 7 ივნისი, 2005 წელი. №126 (986) — ფასი 50 თეთრი

### ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.** A7

# "საქართველოს უნდა ჰქონდეს ცხადი და ნათელი "საგზაო რუკა"

ეკა კვესიტაძე
ვაშინგტონი - თბილისი

*"ნიქსონის ცენტრის" ენერგეტიკული პროექტების დირექტორის ზეინო ბარანის სახელი და გვარი ამ ბოლო ხანს ხშირად ისმოდა ტელეეკრანებიდან, ოღონდ "უარყოფით კონტექსტში". ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ზეინო ბარანს ახალ ხელისუფლებასთან მეგობრობაში და არაობიექტურობაში სდებდა ბრალს. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც "ნიქსონის ცენტრში" გამოსვლის დროს ნათელაშვილს ამავე ცენტრის ენერგეტიკული პროექტების დირექტორმა უახლოესი წარსული გაახსენა და მწვავე კითხვები დაუსვა. ამ ინტერვიუში ჩვენ არ ვსაუბრობთ "ნიქსონის ცენტრში" შალვა ნათელაშვილის შოკისმომგვრელ გამოსვლაზე (რომელსაც თავად ბატონი ნათელაშვილი ძალზე წარმატებულს უწოდებს). ზეინო ბარანი გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო. სხვათა შორის, "ლეიბორისტთა" ლიდერის მტკიცების საწინააღმდეგოდ, დღეს ვაშინგტონში ზეინო ბარანი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული შემფასებელია.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ზეინო ბარანი: "ვაშინგტონი, ბუნებრივია, აფასებს იმ ძალისხმევას, რომელსაც ხელისუფლება იღებს, რომ პროგრესი ხელშესახები გახადოს, მაგრამ ამ ძალისხმევის შედეგები ჯერჯერობით არც ისე ნათელია.*

## ბუდაური - ადგილი, სადაც პარლამენტარები უკეთესობისკენ იცვლებიან

გიორგი ასანიშვილი

ნინო ბურჯანაძე გაოცებულია: პარლამენტის ბიუროს სხდომებზე მას ზოგჯერ ძალიან უჭირს დეპუტატების "დამორჩილება", გუშინ გუდაურში გამართულ შეკრებაზე კი კანონმდებლები უჩვეულოდ მოწესრიგებულები იყვნენ. **"ჩემი კოლეგები ასეთი კონსტრუქციულები იშვიათად მინახავს. გუდაურში ბიუროს გასვლით სხდომაზე აბსოლუტური სიწყნარე და საქმიანი ატმოსფერო სუფევდა,"** - სამთო-სათხილამურო კურორტზე პარლამენტართა ქცევით სპიკერი ფრიად კმაყოფილია.

თავის მხრივ, დეპუტატები (მაგალითად, ბესო ჯუღელი) პირობას დებენ, რომ თუ პარლამენტარებს დედაქალაქშიც ასეთივე პირობები ექნებათ და აუზსა თუ კორტებზე "განმუხტვის" საშუალება მიეცემათ, ბურჯანაძეს ნერვებს აღარ მოუშლიან. გუდაურში დეპუტატების სანიმუშო ქცევა იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ აქ ისინი ოჯახურ გარემოში გრძნობდნენ თავს - ზოგიერთი მათგანი სასტუმრო "მარკო პოლოში" შვილებთან ერთად დაბინავდა. თუმცა, ამით მათი ბიუჯეტი ოდნავადაც არ დაზარალებულა: "გასვლითი საპარლამენტო დღეები" მთლიანად ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა" დააფინანსა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "თურქი მესხების" დაბრუნება - დარჩენილი კითხვები

*გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის და უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრის ინიციატივით ჩატარდა ერთობლივი კონფერენცია - "მესხთა პრობლემის მდგრადი გადაწყვეტის საკითხები". კონფერენციის მიზანი იყო დეპორტირებულ მესხთა განსახლების ქვეყნებში ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია. თუმცა, კონფერენციის რამდენიმე მონაწილის შეფასებით, კვლევა ისე დასრულდა, რომ მთავარი შეკითხვები უპასუხოდ დარჩა.*

ვერიკო თევზაძე

ჩატარებულ კვლევას კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა მაღალ შეფასებას აძლევს და მას "სერიოზულს და მნიშვნელოვანს" უწოდებს. თუმცა, ხაინდრავამ გუშინ ვერ უპასუხა ჟურნალისტებს შეკითხვაზე: რამდენ გასახლებულ მესხს სურს საქართველოში დაბრუნება? **"ზუსტი ციფრის დადგენა ჩვენთვის თვითმიზანს არ უნდა წარმოადგენდეს,"** - ასეთია სახელმწიფო მინისტრის პოზიცია.

სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის ექსპერტი ალექსანდრე რუსეცკი ამ ფაქტს ძალზე უარყოფითად აფასებს: **"როგორ შეიძლება, ასეთ მარტივ კითხვაზე პასუხი არ არსებობდეს? კვლევა მოიკოჭლებს, სისტემური ანალიზი გაკეთებული არ არის, ასეთ ზოგად მონაცემებზე პოლიტიკის აგება არ შეიძლება,** - განუცხადა რუსეცკიმ "24 საათს", - **თუ ის არ ვიცით, საქართველოში დაბრუნების რამდენი მსურველია, ასეთ ვითარებაში რა პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ? აქედან გამომდინარე, სულ სხვა მიდგომაა საჭირო ჯერ კვლევის, შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკის წარმოებისათვის."**

პროექტის მთავარი სპეციალისტი თეიმურაზ ლომსაძე ჩატარებული კვლევისადმი კრიტიკულად არის განწყობილი. "24 საათთან" საუბრისას მან აღნიშნა: **"ყველაზე მთავარ კითხვებზე პასუხი არ იქნა გაცემული. ეს კითხვებია: როგორ უნდა განხორციელდეს პროცესი? რამდენ ადამიანს სურს საქართველოში დაბრუნება? როგორია რეალური მექანიზმები იმ ადაპტაციისა და ინტეგრაციისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უნდა მოხდეს?"** მიუხედავად ამგვარი შენიშვნებისა,

გაგრძელება A3 გვერდზე

## წყალდიდობამ თბილისი უწყლოდ დატოვა

თამარ დვალი

*გადაუღებელი წვიმების გამო, არაგვის ხეობის წყალსაცავებში წყლის მოცულობამ მაქსიმუმს მიაღწია. საგრძნობლად მოიმატა წყლის დონემ ჟინვალჰესში ჭარბი წყლის გამოშვება საფრთხეს შეუქმნის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებს. დაზიანებულია ბულაჩაურის და არაგვის ხეობის წყალსაცავები, რის გამოც, დედაქალაქს წყალი შეზღუდვით მიეწოდება. ჭარბმა ნალექიანობამ თბილისის მოსახლეობაც დააზარალა. ჩამოინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და დაიტბორა სარდაფები. თბილისის მერისა და პრემიერის თქმით, გუშინ, გვიან ღამით დანიშნულ მთავრობის სხდომაზე დაანგარიშებული იქნა ზარალი, რომელიც უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.*

მომავალი ორი-სამი დღის განმავლობაში თბილისის მოსახლეობას სასმელი წყალი დღის განმავლობაში 2-3-საათით მიეწოდება. ხანგრძლივი და უხვი ნალექის გამო, არაგვის ხეობის წყალსაცავებში (საგურამო, ნატახტარი, ბულაჩაური, ჭოპორტ-მისაქციელი და მისი შენაკადები) წყლის მოცულობამ მაქსიმუმს მიაღწია. ჟინვალის წყალსაცავებში აღარ ხდება წყლის შეკავება, ხოლო გადინება ხდება ქვედა უბნებზე 500-550 მ/წამის სიჩქარით.

**"ასეთი დიდი ნალექი არაგვის ხეობას ბოლო 20-30 წლის განმავლობაში არ ახსოვს. გადაუღებელმა წვიმებმა წყლის შერევა გამოიწვია, რის შედეგადაც, ორი ძირითადი საფილტრო სადგური, ჭოპორტის და ბულაჩაურის, გაჩერდა. ამჟამად მუშაობს მხოლოდ ოთხი საფილტრი სადგური, რამაც თბილისის მოსახლეობის ერთი მესამედი წყალმომარაგების გარეშე დატოვა. შექმნილი ვითარების გამო, დედაქალაქს**

გაგრძელება A2 გვერდზე

# გერმანული წერო საქართველოს ცაში

"ლუფტჰანზა" ქართულ ავიაბაზარს ამრავალფეროვნებს

თამარ ბაბუაძე

კამარაშეკრულ წეროს ეარბას A319-ი თითქმის არ ჰგავს. გაცილებით უფრო მძიმე ჩანს და მასიური. თუმცა, "ლუფტჰანზას" თვითმფრინავებით ფრენა მაინც იწვევს გაფრენილი წეროს ასოციაციას. ამიტომაც, მაღლა აჭრილი ფრინველი, აგერ უკვე 50 წელია, უმსხვილესი საერთაშორისო ავიაკომპანიის ლოგო გახლავთ.

6 ივნისს, გამთენიისას, 02 საათსა და 55 წუთზე, წვიმის მიუხედავად, პირველად თბილისში "ლუფტჰანზას" თვითმფრინავი, ეარბას A319-ი დაფრინდა. ლენტიც, პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით, გაიჭრა და ქართულ ავიაბაზარზე პირველად გამოჩნდა გერმანული ავიახაზები, რომელიც რამდენიმე ხნის წინ შვეიცარიულ კომპანია swiss-ს შეუერთდა და რომელიც უმსხვილესი ავიაჯგუფის Star Alliance-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ.

გაგრძელება A2 გვერდზე



*პირველი შეხვედრა.*

## ამინდი

| | 7/06 | 8/06 | 9/06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 27 | 30 | 31 |
| ქუთაისი | 27 | 32 | 36 |
| ბათუმი | 28 | 31 | 35 |
| სოხუმი | 26 | 30 | 34 |
| ფოთი | 27 | 32 | 36 |
| თელავი | 25 | 29 | 30 |
| ზუგდიდი | 27 | 32 | 37 |
| გორი | 24 | 27 | 28 |
| ახმეტა | 26 | 29 | 30 |
| ჭიათურა | 25 | 30 | 33 |
| გაგრა | 25 | 28 | 30 |
| სამტრედია | 28 | 32 | 37 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.2319 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3095 |
| რუბლი | 0.0640 |



| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ტენდერი | B6 |
| სამართალი | A7 | ტენდერი | B7 |
| ჯანმრთელობა | A8 | სხვადასხვა | B8 |

# პანკისის ხეობა წყალში ტივტივებს

კახეთის რეგიონს სტიქია კვლავ უტევს. განსაკუთრებით საგანგაშოა ვითარება პანკისის ხეობაში. მდინარე ალაზანმა სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა გაანგრია, იცვალა კალაპოტი და ჯოყოლო, ბირკიანი და დუისი დატბორა. სტიქია განსაკუთრებით სოფელ ჯოყოლოს უტევს. აქ წყლის საფარმა რამდენიმე მეტრს მიაღწია. ადიდებულ მდინარეს მოსახლეობის მხოლოდ 50 პროცენტმა დააღწია თავი, დანარჩენის ევაკუაცია კი გრძელდება. მართალია სტიქიის ზონებში სამაშველო სამსახურები მუშაობენ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიდარა და თბილისიდან დამატებით ძალები არ გადმოისროლეს, გამორიცხული არ არის, სტიქიას მსხვერპლიც მოჰყვეს. იმ სოფლებში, სადაც მდინარე ალაზანი შევარდა, მოსახლეობა ბინების მეორე სართულზე იმყოფება, მათ შორის არიან ბავშვებიც.

ადიდებულმა მდინარე, დიდხევმა კი, თელავის რამდენიმე სოფელს მიაყენა ზიანი. საგანგაშო მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონშიც, სადაც მოსახლეობას საფრთხეს უქმნის მდინარე კაბალი. ქიაურის ტყეზე გადმოსულმა მდინარე ალაზანმა კი ლაგოდეხი-თბილისის ავტომაგისტრალი დატბორა, რის გამოც ამ დროისთვის პარალიზებულია მოძრაობა. ადიდებულმა მდინარე ჭერმის ხევმა კი სოფელი ჭერემი გარესამყაროს მოსწყვიტა.

დღეს სტიქიის ზონები სოფლის მეურნეობის მინისტრმა მოინახულა და მოსახლეობას დახმარებას დაჰპირდა.

*24 საათი*

# ცხელი ივნისი სააკაძის მოედანზე

*ერთმა ირაკლიმ მეორე ირაკლის გუშინ კარი გარედან დაუკეტა. "სამუშაო დღე დამთავრდა, მივდივართ სახლში," - განაცხადა კმაყოფილმა ირაკლი ტუღუშმა, როცა ბოქლომში გასაღები გადაატრიალა და კიბეებზე დაეშვა. "ნორმალურად კარის ჩაკეტვაც არ შეგიძლია, სხვას რას შეძლებ!" - ეს სიტყვები გააყოლეს მას ირაკლი პეტრიაშვილის მომხრეებმა.*

მაკა ჭაიანი

ის, რაც დღეს შრომის სასახლეში მოხდა, უკვე თამაშს ემსგავსება. თამაშს, რომელსაც გაერთიანების მოქმედი თავმჯდომარე მოწინააღმდეგეებს სთავაზობს. ირაკლი ტუღუშს რამდენიმე შეთავაზება კიდევ აქვს გამზადებული: ქვეყნის პრეზიდენტისთვის - სააკაძის მოედანზე მიმდინარე პროცესებით დაინტერესდეს; სამართალდამცავი ორგანოებისთვის - აღძრან სისხლის სამართლის საქმე იმ პირების მიმართ, ვინც იგი კაბინეტში არ შეუშვა.

. რატომ უნდა იყოს პრეზიდენტი პროფკავშირებში მიმდინარე მოვლენების მედიატორი? მას ეს, არათუ არ ევალება, უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩააყენებს. რატომ უხმობს ტუღუში სააკაშვილს ახლა, სულ ცოტა ხნის წინათ კი, როცა საქმე პროფკავშირულ ქონებას და მისი მოადგილის ლაშა ჭიჭინაძის დაკავებას ეხებოდა, ქვეყნის პრეზიდენტს სწორედ პროფკავშირების საქმეებში ჩარევას უკრძალავდა? პასუხი მარტივი უნდა იყოს - ირაკლი ტუღუში დამხმარეს იქ ეძებს, სადაც აქამდე ყოველთვის ეგულებოდა. მაგრამ დღეს 2005 წელია.

ამ დროს ირაკლი პეტრიაშვილი მიტინგებს მართავს. მართალია, არა ხალხმრავალს, როგორც გვპირდებოდა, მაგრამ წარმომადგენლობითს - იქ თავს ორგანიზაციის აჭარის, რუსთავის, ქუთაისის, რაღა თქმა უნდა, თბილისის წარმომადგენლები იყრიან. "ჩვენ დემოკრატიული ხელმძღვანელობა გვინდა!" "მოშორდეს ტუღუში პროფკავშირებს!" - ასეთი გახლდათ შრომის სასახლესთან გუშინ, დღის სამ საათზე გამართული მიტინგის სულისკვეთება. "სისხლის სამართლის საქმეები თავად ტუღუშის წინააღმდეგ მრავლად არის აღძრული. ჩვენს წინააღმდეგ რის გამო უნდა აღძრან, ჩვენს შენობაში, ჩვენს სახლში რომ შევედით?" - სვამს კითხვას პეტრიაშვილი.

შრომის სასახლის მეოთხე სართულზე გამაგრებული ოპოზიციონერები რიგგარეშე ყრილობისთვის ემზადებიან. ყრილობა, სავარაუდოდ, ერთ თვეში ჩატარდება. ირაკლი ტუღუში მას ამთავითვე არალეგიტიმურს უწოდებს. ირაკლი პეტრიაშვილს მის ამ განცხადებაზე ეღიმება. მოკლედ, მიუხედავად წვიმიანი ამინდებისა, სააკაძის მოედანზე ცხელი ივნისი დადგა. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაში ტემპერატურა კვლავაც მოიმატებს.

**შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).**

daTo.gogichaishvili@aec.ge

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58**

# წყალდიდობამ თბილისი უწყლოდ დატოვა

პირველი გვერდიდან

**სასმელი წყალი ორი დღის განმავლობაში, 2-3 საათიანი გრაფიკით მიეწოდება,"** - განაცხადა თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა, რომელმაც არაგვის ხეობა თავად მოინახულა.

როგორც თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, უხვმა ნალექმა, რეგიონების გარდა, დედაქალაქის გარკვეული უბნების დატბორვა და საცხოვრებელი ბინების დაზიანებაც გამოიწვია. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ქალაქის გამგეობები და შესაბამისი სამსახურები აქტიურ მუშაობას ეწევიან. მისივე თქმით, დედაქალაქის დატბორვა, სანიაღვრე სისტემის გაუმართაობის გამო მოხდა. იქ სადაც საცხოვრებელი სახლები ჩამოინგრა, მერია მოქალაქეებს ზარალის ანაზღაურებას ჰპირდება.

**"გამგებლები წარმოგვიდგენენ, თუ რა ხარჯებთან არის დაკავშირებული ზარალი. დღესვე მივიღებთ გადაწყვეტილებას და გამოვყოფთ თანხებს,"** - აღნიშნა ქურხულმა.

რაც შეეხება რეგიონებს, განსაკუთრებით რთული ვითარებაა თიანეთში, სადაც მდინარე იორმა სავალი გზა წაიღო; 15 სოფელი დანარჩენ საქართველოს ისევ მოწყვეტილია, უგზოობის გამო მათთან დაკავშირება და მძიმე ტექნიკის გადაადგილება ვერ ხერხდება. მსგავსი ვითარებაა ფშავ-ხევსურეთისკენ მიმავალ გზაზეც. სოფელ მაღაროსკართან გზა ორგან დაიმეწყრა. არაგვისპირში, სოფელ წითელსოფლიდან კი საჭირო გახდა მოსახლეობის ევაკუაცია, ვინაიდან მათ საცხოვრებელ სახლებს საფრთხე დაემუქრა. აქ ყველა სახლი მდინარესთან ახლოს მდებარეობს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილის შადიმან შამანაძის თქმით, ერთი თვის წინათ მომხდარ წყალდიდობას რეგიონი მეტ-ნაკლებად მომზადებული დახვდა. მართალია, ჟინვალჰესი ზედმეტი წყლისგან გათავისუფლებულ იყო, მაგრამ ივნისში წყალდიდობას აღარ ელოდნენ, რამაც ჰესს საფრთხე შეუქმნა.

მეტეოროლოგიური სამსახურის პროგნოზით, გამოდარებას 8 ივნისიდან უნდა ველოდოთ. მანამდე კი, წყალმომარაგებაში შეზღუდვები იმოქმედებს.



სამდღიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად ადიდებულმა არაგვმა ძირი გამოუთხარა 110 კვ-ანი ელექტროგადამცემი ხაზის "ანანურის" 110 კვტ-იან ანძას. ანძის წაქცევის გამო ამჟამად ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილია ფასანაურის, გუდაური-მლეთის და ყაზბეგის დაახლოებით 4500 აბონენტი. ენერგოკომპანიის პრესსამსახურის განცხადებით, სპეციალისტებმა უკვე დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი. ვინაიდან წაქცეული ანძის აღდგენა დიდი ხნის განმავლობაში ტექნიკურად შეუძლებელია, მისი სხვა ადგილზე აგება გადაწყდა. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

# ადგილი, სადაც პარლამენტარები უკეთესობისკენ იცვლებიან

პირველი გვერდიდან

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის ბიუროს გასვლით სხდომას ოპოზიცია არ დასწრებია. ნინო ბურჯანაძე ამ ფაქტს ახსნას ვერ უძებნის და ვარაუდობს, რომ ხელისუფლების ოპონენტებს გუდაურში გამომგზავრებაში, შესაძლოა, ამინდმა შეუშალა ხელი. "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი ირაკლი იაშვილი, რომელმაც მთაში "გახიზნული" საპარლამენტო უმრავლესობის წევრები წინა დღეს მოინახულა, თავის მხრივ, შენიშნავს, რომ ასეთი ძვირადღირებული ვოიაჟები საჭირო არ არის და ბიუროს სხდომის თბილისში ჩატარებით არაფერი დაშავდებოდა.

**"როგორც ჩანს, "ნაციონალური მოძრაობა" საკმაოდ მდიდარი პარტიული ორგანიზაციაა,"** - აცხადებს ირაკლი იაშვილი.

რაც შეეხება "მთაში მოწყობილ ბიუროს", ის განსაკუთრებით გამორჩეული ნამდვილად არ ყოფილა - დეპუტატებმა, ტრადიციულად, გულმოდგინედ "ჩაიარეს" 14-17 ივნისის სხდომების დღის წესრიგი და მასში ცალკეული ცვლილებები შეიტანეს.

აღნიშნული დღის წესრიგი იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ საგაზაფხულო სესიის ბოლო პლენარულ კვირაში პოლიტიკური საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცევა სამთავრობო საათი, რომელზეც ძალოვანი უწყებების პირველი პირები არიან მიწვეული.

დღის წესრიგში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუ რაზე უნდა ისაუბრონ პარლამენტში ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა: **"ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრების მიერ გამოძიებასთან დაკავშირებით გამოთქმული ეჭვების შემოწმების შესახებ. კერძოდ: გფბ-ს დასკვნის თარგმანში არსებითი შეცდომის; გარდაცვლილებზე ფიზიკური ზემოქმედების კვალის; გაზით მოწამვლის ექსპერტული ვერსიის უტყუარობის; ზურაბ ჟვანიას სეიფიდან დოკუმენტების დაკარგვის; ზურაბ ჟვანიას დაცვის თანამშრომლების მიერ მიცემული წინააღმდეგობრივი და ცრუ ჩვენებების; ზურაბ ჟვანიას მკვლელობის, როგორც ერთ-ერთი ვერსიის გამორიცხვის თაობაზე."**

ნინო ბურჯანაძის თქმით, ძალოვანი უწყებების პირველი პირებიდან სამთავრობო საათს მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილი ვერ დაესწრება, ვინაიდან იგი უცხოეთიდან მხოლოდ 20 ივნისს ბრუნდება. მერაბიშვილი და ადეიშვილი კი, სპიკერის განცხადებით, სამთავრობო საათის თარიღის შესახებ უკვე ინფორმირებულნი არიან.

ბიუროს გუშინდელი სხდომა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა მთავრობასა და პარლამენტს შორის თითქმის სამი თვის განმავლობაში მიმდინარე დავა "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. ამ დოკუმენტის მიმართ კანონმდებლებს საკმაოდ სერიოზული შენიშვნები ჰქონდათ. ისინი მიუთითებდნენ საფრთხეზე, რომ შესაძლებელი იყო გრიფის - "საიდუმლო" - ქვეშ მოქცეულიყო ინფორმაცია, რომელსაც ზოგიერთი თანამდებობის პირი ბოროტად გამოიყენებდა.

**"სერიოზული კონსულტაციების შემდეგ გარკვეულ შეთანხმებამდე მივედით. კერძოდ, "საიდუმლო ინფორმაცია" საკმაოდ პირობითი იქნება, რადგან პარლამენტს უფლება ექნება, იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრების მიერ გაცემული საიდუმლო ბრძანებები გამოითხოვოს და მათი მართლზომიერება შეამოწმოს,"** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

თუმცა, ნინო ბურჯანაძის ოპტიმიზმს ელენე თევდორაძე არ იზიარებს. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე შიშობს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება პენიტენციურ სისტემაში ქაოსსა და არეულობებს გამოიწვევს.

**"თუ ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმრების გადმობირების მცდელობები გამოაშკარავდება, ეს გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანს,"** - შიშობს ელენე თევდორაძე.

გუდაურში პარლამენტართა "ლაშქრობა" დღეს მთავრდება. სისტუმრო "მარკო პოლოდან" გამომგზავრების წინ დეპუტატები თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის საკითხებზე იმსჯელებენ.

# გერმანული წერო საქართველოს ცაში

პირველი გვერდიდან

საზეიმო რეისს საპატიო დელეგაცია და 40-მდე მგზავრი ჩამოჰყვა. "ლუფტჰანზას" რეგიონულ დირექტორს რუსეთის ფედერაციასა და დსთ-ს ქვეყნებში, გიუნტერ ოტს, საქართველოში გერმანიის ელჩი უვე შრამი და "ლუფტჰანზას" გენერალური მენეჯერი თბილისში, სტეფან შვარცი დახვდნენ. ტრაპთან სტუმრებს საჩუქრებიც მიაგებეს. მანდილოსნებს - თაიგული, მამაკაცებს - თითო ბოთლი "ძველი თბილისი". სასიამოვნო სიურპრიზის განცდას ისიც აღრმავდებდა, რომ მგზავრებს ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი გოგონა და ბიჭიც ეგებებოდნენ.

დღეს რომ წვიმს, ცუდი არ არის, ხვალ მზე იქნება და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არა მარტო ამაღამ, მომავალშიც ხშირად ვიფრენთ საქართველოში, თან, ყველანაირ ამინდში - დაახლოებით ასეთი იყო გიუნტერ ოტისა და "ლუფტჰანზას" წარმომადგენლების განწყობა თვითმფრინავის მშვიდობიანად დაფრენის შემდეგ.

გუშინ გამთენიისას, აეროპორტში შეკრებილი ოფიციალური პირები ერთხმად ადასტურებდნენ "ლუფტჰანზას" საქართველოში შემოსვლის დიდ მნიშვნელობასაც. ბატონი უვე შრამი ქართულ-გერმანული ურთიერთობების გაღრმავებაზე საუბრობდა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დირექტორი ნიკა მანჯგალაძე - ქართული ავიაბაზრის გამრავალფეროვნებაზე, "ლუფტჰანზას" წარმომადგენლები კი - კომპანიის სამომავლო გეგმებზე, რომლებიც საქართველოს უკვე უშუალოდ უკავშირდება.

გერმანული ავიაკომპანია რეისს - თბილისი-მიუნხენი - კვირაში სამჯერ შეასრულებს: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს. 03:55-ზე აფრენილი თვითმფრინავები დანიშნულების ადგილზე 06:00-ზე დაეშვებიან. სტეფან შვარცის განმარტებით, ეს იდეალური დროა დამაკავშირებელი რეისებისთვის. "ლუფტჰანზა" ხომ კლიენტებს, გერმანიის გავლით, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ათობით ქალაქში სთავაზობს ფრენას. მიუნხენიდან გამოფრენის დღეები სამშაბათი, ხუთშაბათი და კვირაა. დრო - 21:10. ეს კი, შვარცის განმარტებით, მოსახერხებელია საქმიანი მგზავრებისთვისაც და ტურისტებისთვისაც, რადგან მიუნხენში საქმეების დასრულების და ქალაქის დათვალიერების საშუალებას იძლევა.



*გერმანიის ელჩი საქართველოში უვე შრამი და "ლუფტჰანზას" რეგიონული დირექტორი გიუნტერ ოტი.*

ავიაკომპანია ქართულ ბაზარზე სპეციალური საზაფხულო ფასებით შემოდის. რეისი ნებისმიერ გერმანულ ქალაქში 299 დოლარი ეღირება, ევროპულ ქალაქებში - 349 დოლარი. ფასები ძალაში 31 აგვისტომდე დარჩება. საქართველოში "ლუფტჰანზას" გენერალური მენეჯერის სტეფან შვარცის ცნობით, მგზავრებზე სხვადასხვა ფასდაკლებითი პროგრამებიც გავრცელდება.

გიუნტერ ოტი კი იხსენებს, რომ "ლუფტჰანზას" ამ რეგიონში ფრენის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. პირველი რეისი - ფრანკფურტი-მოსკოვი 1972 წლის 5 თებერვალს შესრულდა. თავიდან იყო კვირაში სამი ფრენა, ახლა კი დსთ-ს ქვეყნებში 16 მიმართულებით 149 პირდაპირი რეისი ხორციელდება. "დიდი იმედი მაქვს, რომ თბილისში ჩვენი წინსვლა გაცილებით მცირე დროში მოხდება", - დასძენს იგი.

"24 საათთან" საუბარში ოტი გერმანულ გამოთქმას იშველიებს და აცხადებს, რომ "ლუფტჰანზა", ერთი შეხედვით, აკავშირებს ქალაქებს, მაგრამ, ამავე დროს, აღრმავებს ურთიერთობებსაც. ასე მოხდება საქართველო-გერმანიის შემთხვევაშიც: **"ამ მხრივ, კონკრეტული პროექტები არ არსებობს, მაგრამ ჩვენ ნებისმიერი კარგი იდეისთვის ღია ვართ."**

საქართველო, როგორც პრიორიტეტული ზონა, "ლუფტჰანზამ" ბაზრის დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ აირჩია: **"მთლიანად ეს რეგიონი განვითარებადი ბაზარია და ამიტომ ინტერესი მის მიმართ დიდია. ბოლო ხანს აქ განვითარებული მოვლენების გამო დავასკვენით, რომ "ლუფტჰანზას" შემოსვლის დრო დადგა."**

ქართულ ავიასივრცეში სხვა ავიაკომპანიებიც დაფრინავენ. "ლუფტჰანზა" კი საკუთარ უპირატესობად მიიჩნევს: მაღალ ხარისხს, სანდოობას, უსაფრთხოებას და კომფორტს უახლესი გაგებით. ამის დასტურია ეარბას A319-იც.

## მოკლედ

### რუსეთი საქართველოს საზღვარზე კონტროლს აძლიერებს

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ორი ახალი სამთო-მსროლელი ბრიგადის შექმნას აპირებს.

"ამ ბრიგადების დანიშნულება საქართველოდან რუსეთში ტერორისტების შეღწევის აღკვეთა იქნება. გადაწყვეტილება ყველა დონეზე უკვე მიღებულია," - აცხადებს რუსეთის თავდაცვის მინისტრი.

სერგეი ივანოვის თქმით, ეს ბრიგადები, ფაქტობრივად, საზღვარზე განლაგებული მსუბუქი ბაზები იქნებიან. მათი შეიარაღება სრულიად გასხვავებული იქნება. ბრიგადებში საკონტრაქტო სამხედრო პირები იმსახურებენ. **მედიანიუსი**

### გაერო-ს მთავარი სამხედრო დამკვირვებელი აფხაზეთს ტოვებს

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში გაერო-ს მისიის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა, გენერალმა ჰუსეინ გობაშიმ ამ თანამდებობაზე მუშაობა დაასრულა.

გობაში ჭუბერხინჯის ოთხმხრივ შეხვედრებს აღარ დაესწრება. ის ქართულ-აფხაზური მხარეების წარმომადგენლებს, დსთ-ს კოლექტიური ძალების ხელმძღვანელობასა და გაერო-ს მისიის თანამშრომლებს უკვე გამოემშვიდობა.

გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების მისიის ახალი ხელმძღვანელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის და უშიშროების კომიტეტების წევრები საქართველოში ჩამოდიან.

დელეგაციის წევრები საქართველოს პარლამენტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებს შეხვდებიან, გამართავენ მოლაპარაკებებს კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძესთან.

რუსი დეპუტატები ახალქალაქსა და ბათუმში გამგზავრებასაც გეგმავენ, რათა რუსული სამხედრო ნაწილების პირად შემადგენლობასთან შეხვედრა გამართონ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი სამშაბათს ერთდღიანი ვიზიტით ჩეხეთის რესპუბლიკაში გაემგზავრება.

საგარეო უწყების პრესსამსახურის განცხადებით, ქართულ-ჩეხური ურთიერთობების ისტორიაში ეს პირველი მაღალი დონის ვიზიტი იქნება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი პრაღაში გამართავს შეხვედრებს ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ვაცლავ კლაუსთან, ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სირილ სვობოდასთან და ჩეხეთის სენატის თავმჯდომარესთან პრჟემისლ სობოტკასთან.

დაგეგმილია შეხვედრები ქართული დიასპორისა და ჩეხეთის მედიის წარმომადგენლებთან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ომეგა მოტორსი" კონცერნ BMW ჯგუფის მესამე სერიის მეხუთე თაობის მოდელის პრეზენტაციისთვის ემზადება. მას მწარმოებლები მძღოლებისათვის ახდენილ "საავტომობილო ოცნებას" უწოდებენ. ოცდაათი წლის წინათ, 1975 წელს BMW მესამე სერიის პირველი მოდელი გამოვიდა, რომელსაც "საშუალო ფენის ახალი ფორმატი" ეწოდა. მან საავტომობილო წარმოებაში ახალი, სპორტული სახე დაამკვიდრა. მას შემდეგ ამ სერიის თითოეული თაობა ავტომოყვარულთა გულებს ადვილად იპყრობს.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი მეხუთე თაობის ავტომანქანა, ძრავის, სავალი ნაწილებისა და კომფორტაბელურობის თვალსაზრისით ბევრი ინოვაციით იქნება აღჭურვილი.

მისი განსაკუთრებული თავისებურება უნიკალური დიზაინია, რაც დინამიურ და ელეგანტურ სპორტულ ფორმაში გამოიხატება. ნათელი და ფართო სალონი, გრძელი კაპოტი, ექვსსაფეხურიანი ავტომატური ყუთი, ბენზინის ძრავის სამი ვარიანტი და ერთი ოთხცილინდრიანი დიზელის გაძლიერებული აგრეგატი - ეს BMW მესამე სერიის ახალი თაობის ავტომანქანის თავისებურებებია. "ომეგა მოტორსში" BMW მესამე სერიის მეხუთე თაობის ავტომანქანის პრეზენტაცია 8 ივნისს გაიმართება. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "თურქი მესხების" დაბრუნება - დარჩენილი კითხვები




სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, მიუხედავად უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვებისა, კვლევის შედეგებით კმაყოფილია.

პირველი გვერდიდან

ავტორი, იმავდროულად, აცხადებს: **"ამ კვლევით კმაყოფილი ვარ. რაღაც სურათი დაიდო არსებული მდგომარეობის შესახებ."**

კონფერენციის დასრულების შემდეგ გიორგი ხაინდრავამ პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებში რამდენიმე საკითხი ფიგურირებდა, მათ შორის - ხმები იმის შესახებ, რომ მესხების კომპაქტურად ჩასახლება სურთ. ხაინდრავა ამის შესახებ განმარტავს: **"ეგ არავინ იცის, რას მოითხოვენ ისინი. ამგვარი მცდარი კითხვები და მოსაზრებები ზუსტად იქიდან მომდინარეობს, რომ საქართველოს საზოგადოებას ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ გააჩნია."**

გიორგი ხაინდრავას განცხადებით, მესხების ჩასახლება განიხილება მესხეთსა და სამცხე-ჯავახეთშიც, ისე, როგორც გურიაში, იმერეთში, კახეთში. ხაინდრავა მესხების სამცხე-ჯავახეთში ჩასახლების შემთხვევაში ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავს.

მესხების რეპატრიაციის საკითხთან დაკავშირებით მუშაობას გააგრძელებს სახელმწიფო კომისია. როგორც ცნობილია, ქართველ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვადებულებები, თურქი მესხების დაბრუნების თაობაზე, გადავადებას საჭიროებს. ალექსანდრე რუსეცკის აზრით, საქართველოს წინაშე დროის პრობლემა ნაკლებად დგას: **"ჩვენ უფრო უცოდინრობის პრობლემა გვაწუხებს. ეს საკითხი ზედმეტად პოლიტიზებულია. საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება მესხების რეპატრიაციის საკითხისადმი ზერელეა."**

# "საქართველოს უნდა ჰქონდეს ცხადი და ნათელი "საგზაო რუკა"

პირველი გვერდიდან

**- თქვენი აზრით, როგორ შეიცვალა ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ თბილისში პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის შემდეგ? დომინანტურია თუ არა ვაშინგტონში ისევ ის მოსაზრება, რომ მიუხედავად "ვარდების რევოლუციისა", საქართველო მაინც არ არის იმდენად მნიშვნელოვანი ამერიკისთვის, რომ ის რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებად ღირდეს?**

- ვაშინგტონში ბევრი ორგანიზაციაა, მაგალითად "ნიქსონის ცენრი", რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებში რეალიზმის პოლიტიკის მიმდევრები არიან. მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთს ამერიკამ ანგარიში უნდა გაუწიოს, რადგან ის უზარმაზარი ბირთვული სახელმწიფო, ენერგო გიგანტი და მსოფლიო პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მოთამაშეა. და თუ ამერიკას მასთან სხვადასხვა საკითხებზე თანამშრომლობა უნდა, მაშინ ვაშინგტონმა არ უნდა გაალიზიანოს რუსეთი ისეთ საკითხებში ჩარევით, რომელიც მოსკოვისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. ასეთივე რეალისტური პოლიტიკის მიმდევარია ადამიანთა გარკვეული ჯგუფი. ამიტომ, აქ ბევრს მიაჩნია, რომ საქართველო კრემლის გალიზიანებად და გამოწვევად არ ღირს.

მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმაში თავისუფლებისა და დემოკრატიის ადგილს, მაშინ ამერიკისთვის საქართველოს მნიშვნელობა ძალიან იზრდება.

თუმცა, საქართველოს, ზუსტად მისი პროდასავლური კურსის გამო, დიდი ყურადღება ექცეოდა კლინტონის ადმინისტრაციის დროსაც. მის დახმარებას ამერიკა ყოველთვის თავის ვალდებულებად მიიჩნევდა, რადგან შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ისიც არის, რომ ერთ ქვეყანას მეორე ქვეყნის დაჩაგვრის საშუალება არ მისცეს, მით უმეტეს მაშინ, თუ ეს ქვეყანა მისი მეგობარია.

საქართველოში სტუმრობის დროს პრეზიდენტმა ბუშმა აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს. ამდენად, საქართველომ თავისი მნიშვნელობა რომ შეინარჩუნოს, ძალზე ფრთხილად უნდა იმოქმედოს - არ გააკეთოს პროვოკაციული განცხადებები და, მით უმეტეს, არ გადადგას პროვოკაციული ნაბიჯები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ის აღარ იქნება თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლი ქვეყანა. იგი იქცევა აგრესორად, რაც კარგ საბაბს მისცემს რუსეთს, საქართველოს ხელისუფლება არაგონივრულ ქმედებებში დაადანაშაულოს.

**- მაგრამ შეიძლება არაერთი ქვეყნის დასახელება, რომელთა მნიშვნელობა ამერიკის ხელისუფლებისთვის, ხშირად, ამ ქვეყნებში დემოკრატიის ხარისხით არ განისაზღვრება. ძალიან ხშირად სწორედ ეს არის მთავარი პრეტენზია თეთრი სახლის მიმართ.**

- ამ დროისათვის ვაშინგტონს, შესაძლოა, არ უნდოდეს აბსოლუტური დემოკრატია პაკისტანში ან ეგვიპტეში, რადგან ამ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოება ძალზე სუსტია და ხელისუფლებაში მოსვლის დიდი შანსი ექნებათ არა დემოკრატიულ ძალებს, არამედ რადიკალ ისლამისტებს. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება ავტორიტარულია, სადაც არსებობს აქტიური სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიული ოპოზიცია, რა თქმა უნდა, დემოკრატია ძალზე სასურველია.

მე ვფიქრობ, რომ საქართველო ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების სიის სათავაშია. და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ახალი ხელისუფლება სწორ ნაბიჯებს გადადგამს.

**- სტაბილურობა ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია დემოკრატიის მისაღწევად. ამიტომ, დღეს საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრიორიტეტად კონფლიქტების მოგვარება რჩება. იმის ილუზია, რომ ამერიკის ხელისუფლება პირდაპირ ჩაერევა აფახაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარებაში, არავის აქვს, მაგრამ რა შეიძლება იყოს ყველაზე სასურველი და შესაძლო დახმარება, რომელიც შეუძლია ამერიკას, აღმოუჩინოს საქართველოს ხელისუფლებას?**

- ამერიკას რამდენიმე მიმართულებით შეუძლია დახმარება.

პირველი - ეს არის "ათასწლეული გამოწვევის პროგრამა", რომლის ფარგლებშიც ძალზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტები უნდა განხორციელდეს. ეს პროექტები, ძირითადად, საქართველოში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდება. ეს კი ქვეყანას უფრო მიმზიდველს გახდის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის.

გარდა ამისა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გზების დაგება კარგი სიგნალი იქნება იმისა, რომ საქარველოს ხელისუფლებას ნამდვილად აღელვებს ეთნიკური ჯგუფები და მათი ინტეგრაცია დანარჩენ საქართველოსთან.

მეორე - მე ვფიქრობ, რომ ამერიკას შეუძლია უშუალოდ ჩაერთოს საქართველოში სეპარატისტული კონფლიქტების მოგვარებაში, რაც სამმხრივ ფორმატში (საქართველო-ამერიკა-რუსეთი) მონაწილეობას და ამ ფორმატში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხებზე მუშაობას გულისხმობს. რამდენიმე წლის წინ, როდესაც ვითარება ძალზე გამწვავებული იყო პანკისის ხეობაში, ამერიკის ხელისუფლება ამ პრობლემით უშუალოდ დაინტერესდა. შედეგად, რუსეთისა და საქართველოს მთავრობებთან ამერიკის მჭიდრო თანამშრომლობით, პანკისში სიტუაციის გამოსწორება მოხერხდა.

ასე რომ, ვფიქრობ, ახლაც შეიძლება, ველოდოთ ამერიკის ხელისუფლების უფრო აქტიურად ჩართვას კონფლიქტების მოგვარების პროცესში. ვაშინგტონი გააააქტიურებს რუსეთთან მუშაობას კონკრეტული მიმართულებებით, რომლის მთავარი მიზანი იქნება რუსეთის დარწმუნება იმაში, რომ კონფლიქტები მის საზღვრებთან მის ნაციონალურ ინტერესებს აზარალებს.

**- თუმცა პრეზიდენტმა ბუშმა ჩვენთან ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვა იმას, რომ კონფლიქტები ეს ის პრობლემაა, რომელიც მხოლოდ რუსეთს, საქართველოს და სეპარატისტული რეგიონის ლიდერებს შორის უნდა გადაწყდეს.**

- მე, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ იმის თქმას, რომ პრეზიდენტი შეცდა, როცა ასეთი რამ თქვა. მაგრამ ჩემი აზრით, თუ პრეზიდენტი ბუში კარგად ხვდება, რომ ეს პრობლემები უნდა გადაიჭრას, და ის მართლაც ასე ფიქრობს, მაშინ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ პრობლემა არასოდეს გადაწყდება, თუ მხოლოდ რუსეთ-საქართველოს და სეპარატისტ ლიდერებს შორის მოლაპარაკებების იმედად დარჩება.

ეს პრობლემა მხოლოდ მაშინ მოგვარდება, თუ რუსეთის პრეზიდენტი და პოლიტიკური ელიტა კარგად გააცნობიერებს, რომ სეპატრატიზმის დაშვება მის საზღვრებთან დიდი პოლიტიკური შეცდომაა. ამის გაცნობიერებას მოსკოვი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ის დიდ საერთაშორისო ზეწოლას იგძნობს.

მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტ ბუშსა და პრეზიდენტ სააკაშვილს ძალზე კარგი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ. მანამ, სანამ სააკაშვილი და მისი გუნდი კონსტრუქციულად მიუდგებიან ქვეყნის ტერიტორიული პრობლემის მოგვარების საკითხს, ამერიკის ხელისუფლება მათ ყოველთვის დაეხმარება.

**- პრეზიდენტი ბუში ძალზე პოზიტიურად არის განწყობილი პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი გუნდის მიმართ, მაგრამ თეთრი სახლის მიღმა, ვაშინგტონის ანალიტიკურ წრეებში, უკვე ახალი ხელისუფლების შეცდომებზეც აქტიურად ლაპარაკობენ. რა არის ის პრობლემები, რომელზეც აქ განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ?**

- ეს, ერთი მხრივ, არის ის, მიჰყვება თუ არა საქართველოს ხელისუფება თანმიმდევრულად და მიზანდასახულად მის მიერ დეკლარირებულ დემოკრატიულ კურსს. იმ პრობლემებზე, რომელიც დემოკრატიას შეექმნა საქართველოში, უკვე ძალზე ხშირად გაიგონებთ პრესის საშუალებით. სააკაშვილის მთავრობა, ბუნებრივია, ყოველთვის უარყოფს ამ ბრალდებებს და აცხადებს, რომ ეს სიუჟეტები ან სტატიები არაობიექტური და მიკერძოებულია.

ქართული დემოკრატიის წინაშე გაჩენილ საფრთხეებს დიდი ყურადღება ეთმობა ვაშინტონში, რადგან ის ფაქტი, რომ დღეს საქართველო დასავლეთში ძალიან დიდი მხარდაჭერითა და აღფრთოვანებით სარგებლობს, დემოკრატიის მიმართ მისი ერთგულებით აიხსნება. თუ ეს იმედი გაცრუვდა და თუ ადგილი ექნა უკან - სვლას დემოკრატიის თვალსაზრისით, მაშინ, ბუნებრივია, საქართველოსთან ურთიერთობებში სერიოზული პრობლემები გაჩნდება.

მეორე საკითხია ის, რომ ქვეყნის ინსტიტუციონალიზება ჯერ არ მომხდარა, რაც ძალიან აფერხებს რეფორმების და პროგრესის ტემპს. გარდა ამისა, აქ ჯერ კიდევ არის განცდა, რომ საქართველოდან მოულოდნელ გადაწყვეტილებებს უნდა ველოდოთ.

ვაშინგტონი, ბუნებრივია, აფასებს იმ ძალისხმევას, რომელსაც ხელისუფლება იღებს, რომ პროგრესი ხელშესახები გახადოს, მაგრამ ამ ძალისხმევის შედეგები ჯერჯერობით არც ისე ნათელია.

რა თქმა უნდა, ახალ ხელისუფლებას წარმატებები აქვს, მაგრამ ყველაზე საინტერესო არის ის, რამდენად შეუქცევადია ეს წარმატებები, მაგალითად - იგივე ბიუჯეტის ზრდის ტენდენცია.

ჯერ ისევ გაურკვევლობაა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკაშირებით. ასე რომ, საქართველოში განვითარებულ მოვლენებს აქ ბევრი ისევ კითხვის ნიშნის პრიზმაში უყურებს - გაამართლებს თუ არა საქართველო იმ იმედებს, რომელსაც მასზე "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამყარებენ.

**ყველაფერი ის, რაზეც ახლა თქვენ ისაუბრეთ, არის თუ არა იმის მიზეზი, რომ დასავლელი ინვესტორები თავს იკავებენ საქართველოში ფულის ჩადებისგან?**

- გაურკვეველი სიტუაცია საქართველოში, რომელიც, პირველ რიგში, აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემის მოგვარებას უკავშირდება, ბუნებრივია, აფერხებს ინვესტიციების მოზიდვას. გასულ ზაფხულს ადგილი ჰქონდა შეტაკებებს სამხრეთ ოსეთში და ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა. ყველამ კარგად იცის, რომ სიტუაცია ისევ დაძაბულია, ამიტომ არავის აქვს სურვილი, ფული ისეთ ქვეყანაში ჩადოს, სადაც დესტაბილიზაციის დიდი საფთხე არსებობს.

გარდა ამისა, ბიზნესგარემო სხვა თვალსაზრისითაც დიდად არ შეცვლილა და ინვესტორებს ისევ ბევრი გაუთვალისწინებელი პრობლემა შეიძლება შეექმნათ. ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია თამაშის წესები. საქართველო ისედაც არ არის ძალიან მიმზიდველი ქვეყანა ინვესტიციებისთვის, ასე რომ, როცა ამას გაურკვევლობის განცდაც ემატება, მაშინ დასავლური ფულის მოზიდვა კიდევ უფრო რთულდება.

ამასთან, ათასგვარი სპეკულაციები იმის შესახებ, რომ საქართველოს სურს, მიჰყიდოს თავისი სტრატეგიული ობიექტები რუსეთს, გარიგების პროცესი რუსულ კომპანიებთან კი აბსოლუტურად არაგამჭვირვალედ მიმდინარეობს, ბევრ საეჭვო კითხვას ბადებს.

**- როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები?**

- საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ძალიან ცხადი და ნათელი "საგზაო რუკა", იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს ეკონომიკაში, ასევე - სხვა სფეროებში. ეს სტრატეგია კი, პირველ რიგში, თვითონ ხელისუფლების შიგნით უნდა შეთანხმდეს და მერე უნდა იქცეს საჯარო დოკუმენტად. ხშირად ხელისუფლების წარმომადგენლები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ, რაც მთავრობის შიგნით არაკოორდინირებულობაზე მიუთითებს. ეს კი გარეთ კიდევ უფრო ამძაფრებს გაურკვევლობის გრძნობას. ჩვენ, გარეთ მყოფები, როდესაც ამ ურთიერთგამომრიცხავ მესიჯებს ვიგებთ, ვეღარ ვხვდებით, ვინ არის მართალი და ვინ ადგენს ქვეყანაში თამაშის წესებს.





## "თიბისი ბანკის" ნაბიჯი მომხმარებლისკენ

*რამდენიმე თვეა, რაც "თიბისი ბანკმა" მარჯანიშვილის ქუჩის N7-ში მდებარე განახლებულ შენობაში დაიდო ბინა. ბანკის კლიენტურისათვის ახალ ოფისში განსაკუთრებით მყუდრო და კომფორტული გარემოა შექმნილი.*

*"თიბისი ბანკის" დაარსებიდან 12 წელი გავიდა, თუმცა მან მოკლე ხანში შეძლო საქართველოს საფინანსო ბაზარზე მნიშვნელოვანი პოზიცია დაეკავებინა. ბანკის მიერ არჩეული განვითარების პოლიტიკის ეფექტურობას მიღწეული პოპულარულობაც ადასტურებს. სპეციალისტების შეფასებით, საერთაშორისო საბანკო სტანდარტებზე გადასვლა და კლიენტების მოთხოვნილებაზე ორიენტირება "თიბისი ბანკის" წარმატებული საქმიანობის განმსაზღვრელი უპირველესი ფაქტორები აღმოჩნდა.*

*საქართველოს საბანკო სექტორში სიახლეების ძირითადი შემომტანი - "თიბისი ბანკი" ტრადიციულად ნოვატორის ამპლუაში გვევლინება და საზოგადოებას მორიგ ინიციატივას სთავაზობს. "თიბისი ბანკის" 9 ნაბიჯი მომხმარებლისკენ" - ასე ეწოდება ახალ კამპანიას, რომლის მიზანია 9 კონკრეტული სიახლის განხორციელება 9 კვირის განმავლობაში, მომხმარებლებისთვის მომსახურების გაუმჯობესებისა და ახალი სერვისების შეთავაზების მიზნით.*

*"თიბისი ბანკის" 9 ნაბიჯი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით გადაიდგმება. კერძოდ, ბანკის მიზანია მომხმარებელთან მაქსიმალური "მიახლოება" უშუალო კომუნიკაციის საშუალებით და მის მოთხოვნილებებზე მორგება, ახალი თანამედროვე საბანკო პროდუქტების დანერგვა და არსებული სერვისების დახვეწა მომხმარებელთა საჭიროების შესაბამისად.*

### "თიბისი ბანკის" ბოლო სიახლეები

"თიბისი ბანკის" აღნიშნული კამპანია ერთი თვის წინათ დაიწყო 20-წლიანი იპოთეკური სესხების შემოღებით, რამაც ბანკს მკვეთრად გაუმყარა კონკურენტული უპირატესობა ადგილობრივ ბაზარზე და ბინის შეძენა თუ აშენება ხელმისაწვდომი გახადა საშუალო ფენისთვისაც.

"თიბისი ბანკმა" იპოთეკური სესხები ქვეყნის საბანკო ბაზარზე ჯერ კიდევ 4 წლის წინათ დანერგა და ამ მიმართულებით ლიდერის პოზიციაც დაიმკვიდრა. იპოთეკური სესხების ვადის 20 წლამდე გაზრდას მოყვა ბანკის მორიგი ნაბიჯი - საკრედიტო ბარათების შემოღება. "თიბისი ბანკის" საკრედიტო ბარათი - ესაა სესხის აღების სწრაფი და მოხერხებული საშუალება, ფაქტობრივად უვადო კრედიტი, რომელიც მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერი საჭიროებისთვის გამოიყენოს.

"თიბისი ბანკის" ახალი კამპანია სამომხმარებლო სესხების პირობების გამარტივებასაც ითვალისწინებს. სამომხმარებლო სესხი გამოიყენება საოჯახო, პირადი აქტივების შესაძენად, ოჯახის და ნებისმიერი პირადი ხარჯების დასაფინანსებლად. სესხის მინიმალური მოცულობა 500 ამერიკული დოლარი ან 1000 ლარია. სესხის მაქსიმალური მოცულობა ადრე 25 ათასი აშშ დოლარი იყო 1 მაისიდან კი "თიბისი ბანკის" სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ოდენობა შეუზღუდავი გახდა, ანუ მოიხსნა ზედა ზღვარი.

"თიბისი ბანკის" ერთ-ერთი ნაბიჯი სადაზღვევო მომსახურებასთანაა დაკავშირებული. ერთი თვეა, რაც ბანკი თავის კლიენტებს საბანკო მომსახურებასთან ერთად, სადაზღვევო და საპენსიო პროდუქტებს კომპლექსური სახით სთავაზობს.

18 მაისიდან "თიბისი ბანკი", "თიბისი ტვ"-თან, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-სა და კომპანია "მაგი სტილთან" ერთად 4 თვის განმავლობაში განახორციელებს ერთობლივ აქცია-პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას და მათი პროდუქციის პოპულარიზაციას, შეღავათიანი პირობებით სარეკლამო მომსახურების გაწევის გზით.

**ახალი მომსახურებების შემოღება და არსებული სერვისების პირობების გაუმჯობესება ბაზარზე "თიბისი ბანკის" კონკურენტულ უპირატესობას ამყარებს. "თიბისი ბანკის" სიახლეები ამით არ სრულდება: სამომხმარებლო სესხის აღებიდან 3 თვის შემდეგ მომხმარებელს ბანკი საჩუქრად გადასცემს ვიზა საკრედიტო ბარათს, რომელიც მას საშუალებას მისცემს ნებისმიერ დროს ხელფასის სამმაგი ოდენობის ფარგლებში კრედიტით ისარგებლოს. გასათვალისწინებელია, რომ საკრედიტო ლიმიტი გაიზრდება ყოველ 6 თვეში ერთხელ. გარდა ამისა, "თიბისი ბანკი" უახლოეს ხანებში მომხმარებელს სხვა მომსახურებებსაც გამარტივებული და გაუმჯობესებული პირობებით შესთავაზებს.**

### "თიბისი ბანკი" წარმოგიდგენთ: დაუვიწყარი ფესტივალი ბავშვებისთვის

"თიბისი ბანკის" მორიგი ნაბიჯი კლიენტურის წახალისების აქციას ითვალისწინებს. ბანკი და კომპანია "ვიზა" წარმოგიდგენთ ვიზა ბარათების ფესტივალს დევიზით: მოუწყვეთ თქვენს შვილებს დღესასწაული, იმოქმედეთ მარტივად და გაატარეთ დაუვიწყარი არდადეგები ოჯახთან ერთად პარიზის დისნეილენდში.

კომპანია "ვიზა" 2005 წლის ზაფხულში მთელი მსოფლიოს მასშტაბით აწყობს მსგავს აქციას და გამარჯვებულს პარიზის დისნეილენდში აგზავნის.

"საქართველოში ამ პრიზის გამოყენების ექსკლუზიურ უფლებას "ვიზა" "თიბისი ბანკს" ანიჭებს. საპრიზო ფონდია 1 საგზური დისნეილენდში 2 მოზრდილისთვის და 2 პატარისთვის, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია წავახალისოთ ჩვენი კლიენტურა. რაც შეხება მოგზაურობის დაფინანსებასა და მის ორგანიზებას, ამას კომპანია "ვიზა" უზრუნველყოფს", - განმარტავს "თიბისი ბანკის" მარკეტინგის განყოფილების უფროსი ვაჟა ბერიაშვილი.

1 მაისიდან 15 ივლისამდე, "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათის მფლობელი, რომელიც საქართველოში ყველაზე მეტ სავაჭრო ობიექტში ბარათით შეიძენს პროდუქციას, ოჯახთან ერთად გაემგზავრება პარიზის დისნეილენდში. გამარჯვებულს ელის დაუვიწყარი ატრაქციონები, საღამოები და ფეირვერკები დისნეის გმირებთან ერთად. აქციის შედეგებს 2005 წლის 22 ივლისს "თიბისი ბანკი" შეაჯამებს.

"თიბისი ბანკის" საჩუქრები ამით არ სრულდება. მთავრი პრიზის გარდა ბანკის ხელმძღვანელობა კლიენტურას უამრავ სიურპრიზს სთავაზობს. აქცია მოიცავს ერთ მთავარ და 30 დამატებით პრიზს. ვიზა ელექტრონ ბარათით საქონლის შეძენა აბსოლუტურად უფასოა, ანუ საკომისიო გადასახადი 0-ის ტოლია. ბარათით გადახდა დღეს უკვე შესაძლებელია თბილისის 300-მდე მაღაზიაში, მათ შორისაა: ბატა, ბამბინო, ფეხსაცმლის გალერეა, პოდიუმი, პარნასი, რონიკო, სუპერი, დავითი, ფილიფსი, ბიგბენი, ზემელი, ბადენ-ბადენი, ევრომარკეტი, სალვე, კონტინენტალი, ისი-პარი, ლუტეცია, ვულე-ვუ, გუდვილი და სხვა.

ასე რომ, "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათის მფლობელებო, გადაიხადეთ "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათით და მიიღეთ საუკეთესო საჩუქრები თქვენი შვილებისთვის: 5 Sony playstation-2; 5 კონსტრუქტორი Lego; მაღაზია "სუპერბაბილონის" 100 ლარიანი 20 ვაუჩერი.

აქციაში მონაწილეობის უფლება აქვს 18 წლიდან ყველა ასაკის მოქალაქეს, რომელიც ფლობს "თიბისი ბანკის" ვიზა ან ვიზა ელექტრონულ პლასტიკურ ბარათს.

აქციის მონაწილე ავტომატურად გახდება ის მომხმარებელი, რომელიც ფესტივალის პერიოდში "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათით საქართველოს სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში 5 ლარის ან მეტი ღირებულების ნებისმიერი სახის საქონელს შეიძენს. ხოლო მთავარ პრიზს დაიმსახურებს აქციის მონაწილე, რომელიც აქციის პერიოდის განმავლობაში "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათით საქართველოს ყველაზე მეტ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში გააკეთებს შენაძენს. დაჯილდოვდება აგრეთვე საუკეთესო შედეგების მქონე 30 ადამიანი, რომლებიც შესაბამისი ადგილისთვის განკუთვნილ პრიზს მიიღებენ.

იმ შემთხვევაში, თუ ბარათის მფლობელი ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე სავაჭრო წერტილში გააკეთებს 3 ან მეტ ტრანზაქციას, შედეგების დათვლისას მისი მხოლოდ 2 ტრანზაქცის გათვალისწინება მოხდება. ამასთან, პლასტიკური ბარათების საშუალებით ბანკომატიდან ან ბანკის სალაროებიდან ფულის გატანის ოპერაციები, აგრეთვე ბანკომატით და ინტერნეტ ბანკით თანხის გადარიცხვები ტრანზაქციად არ განიხილება და, შესაბამისად, აქციაში არ მონაწილეობს.

" "თიბისი ბანკმა" ერთხელ უკვე გასული წლის დეკემბერში მოაწყო საახალწლო ფესტივალი. აქცია საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. შედეგი მნიშვნელოვანი იყო - სავაჭრო ცენტრის მომსახურე პერსონალი მიეჩვია ბარათის მიღებას, მომხმარებელი კი მის გამოყენებას, რაც პლასტიკური ბარათების ბიზნესის განვითარებასაც შეუწყობს ხელს", - აქციის ეფექტურობაზე მიანიშნებს "თიბისი ბანკის" მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელი.



# ადიარე, რომ ღატაკი ხარ და გეშველება

## ახალი სახელმწიფო პროგრამა ნოემბერში ამოქმედდება

*ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 40 პროცენტი ღარიბად მიიჩნევა, 10 პროცენტი კი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. ამ ადამიანთა ყოველთვიური შემოსავალი 65 ლარზე ნაკლებია. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე სახელმწიფო მათ დასაქმებას ვერ ახერხებს, თუმცა სთავაზობს სოციალური დაცვის ახალ მექანიზმს, რომელმაც სიღატაკის დონე მინიმუმამდე უნდა შეამციროს.*

ირმა კახურაშვილი
თამარ მაისურაძე

**"რთულია, იცხოვრო ქვეყანაში, სადაც შეძლებულსა და ღარიბს შორის დიდი დისპროპორციაა. საქართველოში არ უნდა არსებობდნენ შიმშილის ზღვარს ქვემოთ მყოფი და, მეორე მხრივ, ზღვარგადასულ ფუფუნებაში მცხოვრები ადამიანები,"** - სოციალური სფეროს "მკურნალობის" დაწყებამდე ასეთი "დიაგნოზი" დასვა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, რომლის მიერ შეფასებული რევოლუციური პროგრამის პრეზენტაცია ლიკანში შედგა. პროგრამისა და მასმედიისთვის განკუთვნილი სემინარის ავტორი კი სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო გახლდათ.

**"სოციალური დახმარება არ არის პენსია, რომელიც ყველასთვის კანონით არის გარანტირებული,"** - აცხადებენ სააგენტოს წარმომადგენლები. **"პენსიას და პირველად სამედიცინო დახმარებას ყველა იღებს. ფულად დახმარებებს კი - მხოლოდ ლატაკები,"** - ადასტურებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მეგრელიშვილიც. თავად ჯანდაცვის მინისტრი "არსენას პრინციპს" იხსენებს და აცხადებს, რომ მდიდარს წაართმევს და ღარიბს მისცემს. თუმცა, 120 მილიონ დოლარად შეფასებული პროგრამა სხვას გულისხმობს.

დღეისთვის საქართველოში მილიონ 79 ათასი ოჯახია, აქედან სოციალური დახმარებებს 79 ათასამდე ოჯახი იღებს. სიღატაკის ზღვარს ქვემოთ საქართველოში 150 ათასი ოჯახი ცხოვრობს, მათი ნახევარი ცილოვან შიმშილს განიცდის (არასრულფასოვნად იკვებება). თუმცა, არსებული სოციალური დაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს თანხების მიზანმიმართულ გადანაწილებას. დღეს საოჯახო დახმარება 5 ძირითად კატეგორიაზე გაიცემა. ესენია: მარტოხელა, უმუშევარ პენსიონერთა ერთი და მეტსულიანი ოჯახები; დედ-მამით ობოლი ბავშვები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, უმუშევარი, პირველი ჯგუფის უსინათლო პირები; 18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც 7 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ. ამ კატეგორიებზე გადანაწილებული საოჯახო დახმარებები 2005 წლის 1 ნოემბრამდე გაიცემა, ნოემბრიდან კი სოციალური დახმარების ახალი პროგრამა ამოქმედდება.

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ დამუშავებული ახალი კონცეფციის მიხედვით, დახმარებას მიიღებენ მხოლოდ ის ოჯახები, რომელთა კეთილდღეობის დონე საარსებო მინიმუმზე დაბალია.

სააგენტოს დირექტორ ლევან ფერაძის განცხადებით, სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ფორმირების სახელმწიფო პროგრამას ანალოგი არ გააჩნია, რადგან ის მხოლოდ ქართულ სინამდვილესაა მორგებული. **"მთავარია, შეიქმნას რეალურ მონაცემთა ბაზა, რომელიც გაგვარკვევს, ვის სჭირდება სახელმწიფოს დახმარება. ამისათვის კი ყველა რესურსი გაგვაჩნია,"** - დარწმუნებულია ფერაძე. მისი თქმით, საინფორმაციო ბაზა, რომელიც პერმანენტულად განახლდება, სახელმწიფოს სხვა სოციალური პროგრამების წარმატებით განხორციელებასაც წაადგება.

თუმცა, უკიდურეს სიღარიბეში მყოფი ოჯახების დასადგენად პროგრამის მესვეურებს სერიოზული გარჯა მოუწევთ, რადგან ეს საკმაოდ ხანგრძლივი და არც ისეთი უნაკლო პროცესია. ოჯახს, რომელიც აღიარებს თავის სიღარიბეს და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს განაცხადით (აუცილებელია პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) მიმართავს, სპეციალურ კითხვარს შეავსებს. ამ დოკუმენტის გადამუშავების შედეგად მიღებული საერთო კოეფიციენტი ოჯახის ეკონომიკურ-სოციალურ სტატუსს განსაზღვრავს. თუ დადგინდა, რომ ოჯახის წევრები (ან მარტოხელა წევრი) შიმშილობის ზღვარზე არიან, მცირე ხანში მათ მდგომარეობას სოციალური აგენტიც გადაამოწმებს.

ექსპერტ მამუკა ნადარეიშვილის განცხადებით, საქართველოს ყველა რაიონში 1150 საკომუნიკაციო პუნქტი გაიხსნება. თუმცა, პუნქტების სიმრავლე სულაც არ განაპირობებს იმას, რომ უმწეოთა სიაში ყველაზე გაჭირვებულები მოხვდებიან. განსაკუთრებით ეს ეხება მთაში მცხოვრებ, რაიონული ცენტრებისგან მოწყვეტილ ოჯახებს, რომელთა წევრებს ხშირად არც პირადობის დამადასტურებელი მოწმობა აქვთ და არც ინფორმაცია საოჯახო დახმარებების შესახებ. ამდენად, მათი ბედი მთლიანად ადგილობრივი თვითმმართველობის მოწადინებაზე იქნება დამოკიდებული.

მეორე სავარაუდო პრობლემა, რომელიც პროგრამის განხორციელებისას აუცილებლად იჩენს თავს, სოციალურ აგენტებს ეხება. გამორიცხული არაა, რომ ანკეტის შევსებისას სოციალური დახმარების მისაღებად ოჯახი რეალურ შემოსავალს დამალავს, სოცაგენტი კი, რომელიც კომპიუტერის მიერ დასმულ "დიაგნოზს" ოჯახის წევრების ინტერვიუებითა და სახლის დათვალიერებით დაამტკიცებს, არასწორ დასკვნას გამოიტანს. **"სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში მხოლოდ სოცაგენტს ვენდობით. "არასამთავრობოების" დახმარებით ჩვენ უკვე გვყავს 40 უფროსი სოცაგენტი, რომლებიც სხვებსაც გადაამზადებენ. მათი ხელფასი 300 ლარზე მეტი იქნება. ხარვეზებისგან დასაზღვევად "ცხელი ხაზიც იმუშავებს,"** - აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მეგრელიშვილი. მისი თქმით, დამცავ მექანიზმში მოიაზრება იმ კონტროლიორთა ჯგუფიც, რომელიც პერმანენტულად სოციალური აგენტის მუშაობას შეამოწმებს. რაც შეეხება რამდენიმე გვარის დუბლირების პრობლემას, ამას სპეციალური კომპიუტერული პროგრამა მექანიკურად მოაგვარებს.

სპეცილისტთა წრეებში დისკუსიის თემა იყო სერტიფიკატიც, რომელიც ადამიანის სიღატაკეს განსაზღვრავს და რომლის გარეშეც სოციალური დახმარება არ გაიცემა. ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, როგორც წესი, ღარიბი ოჯახი ხშირად თავმოყვარეცაა, რის გამოც საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას ერიდება. თუმცა, პროგრამის ავტორებს პასუხი ამაზეც მზად აქვთ - ახლა ის დროა, რომ მორალური პრობლემები წარსულს ჩავაბაროთ და შიმშილს გადავურჩეთ, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა კი ადრესატამდე მივიდეს და სხვის ჯიბეში არ დაილექოს.

# თანამოაზრე

*ყველასათვის ცნობილი ოფთალმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ჯავრიშვილი პირველი ქართველი ექიმია, რომელიც დიდი ოფთალმოლოგის სვიატოსლავ ფიოდოროვის სახელობის პრესტიჟული პრემიის ლაურეატი გახდა. პრემია დაწესდა ფიოდოროვის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ და, უკვე 5 წელია, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს გამორჩეულ ლიდერებს ენიჭებათ, დაწყებული პოლიტიკოსებიდან, კულტურის მოღვაწეებით დამთავრებული. გიორგი ჯავრიშვილმა გაიმარჯვა ნომინაციაში - "თანამოაზრე".*



*გიორგი ჭავრიშვილი და ირენ ფიოდოროვა დაჯილდოვების შემდეგ.*

ზაზა ფაჩუაშვილი

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ოფთალმოლოგის სვიატოსლავ ფიოდოროვის "თანამოაზრის" ნომინაციაში გამარჯვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მსოფლიო აღიარების ტოლფასია. ჯავრიშვილმა 1996 წელს საქართველოში დააარსა პირველი კერძო, თვალის მიკროქირურგიის კლინიკა - "ოფთალმიჯი". კლინიკაში კეთდება ყველაფერი - დიაგნოსტიკიდან პლასტიკამდე. აქ დაიდგა პირველად არგონლაზერი. 1997 წელს პირველად აქ გაკეთდა კატარაქტას ფაკოემულსიფიკაცია (უნაკერო ქირურგია), რქოვანას გადანერგვა. აქვე გაკეთდა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი უნიკალური ოპერაცია - კერატოკომპლექსის გადანერგვა, რომლის შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. "ოფთალმიჯი" ერთადერთი დაწესებულებაა, რომელსაც გააჩნია ფილიალები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში: ქუთაისში, გორში, რუსთავში, თელავში და მოძრავი საოპერაციო-მობილური კლინიკა ავტომისაბმელის სახით. მისი შექმნის მიზანი იყო ექიმისა და სამკურნალო ტექნოლოგიის მაქსიმალურად დაახლოება პაციენტთან, და ეს პირნათლად შესრულდა. "ოფთალმიჯის" მოძრავ კლინიკას საქართველოს ყველა კუთხეში შეხვდებით - მთაში და ბარში. სწორედ ეს ფაქტორები გახდა გამარჯვების საწინდარი.

გიორგი ჯავრიშვილი: **" დღეს ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ. ეს პრემია ჩემთვის ორმაგად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი, არა მარტო ჩემი, არამედ მთელი ჩემი კლინიკის მუშაობის შეფასება და დაფასებაა. და მეორე, ეს არის ჩემი მასწავლებლის, ფიოდოროვის სახელობის პრემია, ადამიანისა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ჩემს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და რომელთან ურთიერთობამაც მომცა ყველაფერი, რაც დღეს გამაჩნია. ჩვენ მამა-შვილური ურთიერთობა გვქონდა და სწორედ ამ მხრივ არის დღევანდელი პრემია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი. მადლობელი ვარ ყველასი - საორგანიზაციო კომიტეტის, ფიოდოროვის სახელობის აკადემიის, მისი პარტიის."**

ირენ ფიოდოროვა, სვიატოსლავ ფიოდოროვის მეუღლე და მისი ფონდის დირექტორი: **"გიორგი ჩვენთან 1987 წელს მოვიდა. შვილივით გვყავდა და როგორც შინაური ისე დადიოდა ჩვენს სახლში. სლავას განსაკუთრებულად უყვარდა. 1992 წელს იტალიაშიც წაიყვანა, სადაც ფიოდოროვის მეთოდების დანერგვაში თავისი წვლილი შეიტანა. მერე თბილისში წავიდა და იქ გააკეთა კლინიკა ფიოდოროვის მაღალი ტექნოლოგიებით. სლავა ძალიან ამაყობდა, როცა იგებდა, თუ რა რთულ ოპერაციებს აკეთებდა გიორგი და ცდილობდა, ყველაფერში დახმარებოდა. მე მას ყოველთვის ველოდები კლინიკაში."**

# Mercy Corps-მა წარმატებული პროგრამა დაასრულა

თამარ მაისურაძე



ვარკეთილში მდებარე №180 საშუალო სკოლა ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებიც სწავლობენ. ადაპტირებული სწავლების პარალელურად, ბავშვებს, მათ შორის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელებსაც, არასამთავრობო ორგანიზაცია Mercy Corps -ის დახმარებით კომპიუტერის სწავლაც შეუძლიათ.

რამდენიმე დღის წინ, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ სკოლისთვის საჩუქრად გადაცემული ხუთი კომპიუტერი ცალკე ოთახში განათავსეს. "კომპიუტერებს გაკვეთილების პროცესში ვიყენებთ. სასკოლო პროგრამის თანახმად, კომპიუტერზე სწავლას მე-7, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები, დაახლოებით 400 აღსაზრდელი ეუფლება," - გვითხრა სკოლის დირექტორმა ნინო ქუმსიაშვილმა. № 180 სკოლაში ფუნქციონირებს ახალგაზრდა ლიდერთა ცენტრი (მოსწავლეთა თვითმმართველობა). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, რომელთაც სასკოლო პროგრამის ფარგლებში არ უწევთ კომპიუტერის შესწავლა და არ ეძლევათ მასთან მუშაობის საშუალება, თვითმმართველობის ინიციატივითა და უფროსკლასელთა დახმარებით, კომპიუტერის შესასწავლი კურსის გავლის საშუალება მიეცათ. **"ბავშვებს არაჩვეულებრივი რეაქცია ჰქონდათ, ძალიან გაუხარდათ. Mercy Corps-ის მიერ გაკეთებული საჩუქრით ბედნიერები არიან, მით უმეტეს, უმცროსკლასელები, რომელთაც გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კომპიუტერთან მუშაობის საშუალება მიეცათ,"** - გვითხრა სკოლის დირექტორმა.

რაც შეეხება თავად არასამთავრობო ორგანიზაცია Mercy Corps-ის საქმიანობას, ზემოთნახსენები პროექტი ამ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოთხწლიანი პროგრამის "ბოლო აკორდი" გახლდათ. 1979 წლის შემდეგ, Mercy Corps -მა 72 ქვეყანაში 500 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების პროექტი განახორციელა. ამჟამად პროგრამები 25 ქვეყანაში ხორციელდება და 4 მილიონამდე ადამიანს ეხმარება.

ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელიც გაჭირვების, სილატაკისა და შევიწროების აღმოფხვრას ემსახურება, პარალელურად კი უსაფრთხო, სამართლიანი და ნაყოფიერი საზოგადოების შექმნაზეც ზრუნავს, აღმოსავლეთ საქართველოში სათემო მობილიზაციის ინიციატივას GCMI-E ახორციელებდა. 4-წლიანი პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით განხორციელდა. პროგრამის სამიზნე რეგიონები კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთ ოსეთი და თბილისის გარეუბნები გახლდათ. **"მომსახურებით უზრუნველყოფა გადაუდებელი საჭიროების აღმოსაფხვრელად - ეს მოკლევადიანი მიზანია, ხოლო უფრო ხანგრძლივმოქმედია ამოცანაა -საზოგადოების ისეთი მობილიზება და გაძლიერება მოხდეს, რომ თვითონ შეძლონ საკუთარი პრობლემების გადაჭრა და იყვნენ პასუხისმგებელი მოქალაქეები,"** - ასეთი გახლავთ სათემო მობილიზაცია GCMI-E -ს ცენტრალური სტრატეგია. პროგრამა ხორციელდებოდა ფართო მასშტაბის სათემო განვითარებით, ტექნიკური დახმარებით და სათემო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გრანტების გაცემით. პროექტის განხორციელებისას გაიცა დაახლოებით 400 გრანტი სათემო ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

№ 180 საშუალო სკოლის გარდა, კომპიუტერები და პრინტერები Mercy Corps -მა საქართველოს რეგიონებშიც დაარიგა. GCMI-E -ს ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციის საჩუქარი საქართველოს დაახლოებით 18 რაიონის საშუალო სკოლებს ერგოთ წილად. სკოლების გარდა, Mercy Corps -ის დახმარება ცხრა არასამთავრობო ორგანიზაციამაც მიიღო, რის შედეგადაც, საბოლოო ჯამში, 17 ათას 910-მა ბენეფიციარმა ისარგებლა.


## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

# განცხადება

### სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი ინსტიტუციური რეფორმის კომპონენტი

საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტს, რომელსაც აფინანსებს საერთაშორისო განვითარების ასოციაცია და გარემოს დაცვის გლობალური ფონდი. პროექტი უზრუნველყოფს ეფექტური სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის ჩამოყალიბებას შემდეგი კომპონენტების მეშვეობით: (ა) საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიებისა და ადაპტირებადი კვლევის შედეგების დანერგვას ფერმერულ მეურნეობებში; (ბ) სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმა მაღალპრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების - მევენახეობისა და მეხილეობისათვის; (გ) გარემოს დაბინძურების შემცირება, რომელიც ითვალისწინებს შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების სასოფლო სამეურნეო წარმოებიდან დაბინძურების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმის პილოტირებისთვის შერჩეულია მევენახეობისა და მეხილეობის პრიორიტეტული მიმართულებები. რეფორმა ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტსა და საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის კათედრებზე.

პროექტების საკოორდინაციო ცენტრს დაგეგმილი აქვს საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის სახსრების ნაწილის გამოყენება საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტის თელავის, საქარისა და სკრის საცდელი სადგურების შენობათა ასაგებად საინჟინრო და და არქიტექტურული პროექტირებისათვის კონსულტანტის (იურიდიული პირის) დასაქირავებლად. კონსულტანტის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს შემდეგი: არქიტექტურული კონცეფციის შექმნა საცდელი სადგურებისათვის, მათი

არქიტექტურული და საინჟინრო პროექტების შემუშავება, მშენებლობის ოფიციალური ნებართვების მოპოვების უზრუნველყოფა, დახმარების აღმოჩენა კლიენტისათვის სამშენებლო კომპანიის შერჩევასა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე კონსულტანტებს (იურიდიულ პირებს), რათა მათ გამოხატონ ინტერესი ზემოაღნიშნული მომსახურების განსახორციელებლად.

კონსულტანტის შერჩევა განხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის სახელმძღვანელოში "კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებების მიერ", (გამოცემულია 1997 წლის იანვარში, გადასინჯულია 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში) მითითებული კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დამყარებული შერჩევის პროცედურების თანახმად.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა (იურიდიულმა პირებმა) უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს კონსულტანტის ქვემოთ მითითებულ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესაბამისობას. ამ ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს კონსულტანტის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიულად დამოწმებული წესდება, სასამართლოს დადგენილება).

კონსულტანტი (იურიდიული პირი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
სახელმწიფო ლიცენზია მშენებლობის პროექტებისთვის. (დაურთეთ ასლი);
- მშენებლობის პროექტირების სამწლიანი გამოცდილება.
სამი მსგავსი სამუშაოს წარმატებით შესრულების გამოცდილება (კლიენტს წარედგინოს დამადასტურებელი დოკუმენტები და ნიმუშები).
- საკონსულტაციო ჯგუფის მთავარი არქიტექტორი შვიდწლიანი პროფესიული გამოცდილებითა და ჯგუფის ძირითადი წევრები ხუთწლიანი გამოცდილებით საქმიანობის მოცემულ სფეროში.

კონკურსით დაინტერესებულ იურიდიულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 12 საათიდან 17 საათამდე.

საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 23 ივნისი, 15.00 სთ.

**მისამართი:**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი; კოსტავას ქ. N 41, III სართული, ოთახი 327.
ელ-ფოსტა: office@adpcc.org.ge
საკონტაქტო პირი: თამარ ცინცაძე, ტელ: 93 46 51/92 20 38



# კონკურსი

### საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლოგოს შესაქმნელად

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი სასოფლო სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში აცხადებს კონკურსს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლოგოს შესაქმნელად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროფესიონალ დიზაინერებს, რომელთაც გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება.

ლოგოტიპის სრული პაკეტი წარმოდგენილი უნდა იყოს დახურულ კონვერტებში. მათი წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 8 ივლისი, 17.00 სთ.

კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს დამოუკიდებელი კომისია და მას ჯილდოს სახით გადაეცემა 1000 ლარი.

ტექნიკური დავალების, საკონკურსო მასალებისა და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად (სამუშაო დღეებში, 10-დან 13 საათამდე) მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

**მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი, სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი**

**თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, ოთახი 337; ტელ: (99532) 92-20-41. ელ-ფოსტა: office@adpcc.org.ge საკონტაქტო პირი: მარიკა მოსაშვილი**

# "სრებრენიცა: სერბი მღვდელი, რომელიც ბოევიკებს აკურთხებდა"

ქ. ზურკოვიჩი
მ. ილეტიჩი

**გაზეთმა "DANAS"-მა იპოვა ის მღვდელი, რომელიც აკურთხებდა ლეგიონ "მორიელის" ბოევიკებს, რომლებმაც დაუნდობლად დახოცეს მუსლიმი ტყვეები. ამ დანაშაულის ამსახველმა ვიდეომასალამ უდიდესი სკანდალი მოახდინა ბელგრადში. ერისკაცი ღვთისმეტყველის, მირკო ჯორჯევიჩის აზრით, ეს დოკუმენტები აჩვენებენ, რომ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია იყო იუგოსლავიის სამოქალაქო ომის არა მხოლოდ მოწმე, არამედ თანამონაწილეც.**



*ჰააგის ტრიბუნალის მიერ ძებნილი რატკო მლადიჩი და რადოვან კარაჯიჩი მღვდელმსახურთა გარემოცვაში.*

სრებრენიცაში 6 მუსლიმი ტყვის ლიკვიდაციის ამსახველი ვიდეომასალის ჰააგის ტრიბუნალზე ჩვენების შემდეგ, საზოგადოება დაინტერესდა იმ მღვდლის ვინაობით, რომელიც აკურთხებდა, ბრძოლის წინ, ლეგიონ "მორიელის" წევრებს. "რათა შენმა ერთგულმა მხედრობამ შეძლოს დამორჩილება მტერი ერისა... სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, წარმატება და კეთილად დაბრუნება...". ასე აკურთხებდა ერთი მღვდელი "მორიელებს", სრებრენიცაში, ბოსნიელი ტყვეების დახოცვის წინ.

სარწმუნო წყაროებიდან დავადგინეთ, რომ ვიდეოკასეტაზე ასახული მღვდელი არის მამა გავრილო მარიჩი, ამჟამად პრივინა გლავას მონასტრის წინამძღვარი. მონასტერი ვოევოდინის ოლქში, ბელგრადიდან 50 კილომეტრზე მდებარეობს.

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია ამ მოვლენების შესახებ დუმილს ამჯობინებს: ადგილობროვ წრეებში მამა გავრილო საეჭვო რეპუტაციით სარგებლობს. მრავალი ფიქრობს, რომ მისი მთავარი "ცოდვა" მდგომარეობს იმაში, რომ უკვე რამდენიმე წელია იგი "სასწაულმოქმედ მკურნალად" ასაღებს თავს. ყოველდღე მონასტერთან უამრავი ადამიანი იყრის თავს და საათობით დგას რიგში, რათა მიიღოს "სასწაულებრივი" დახმარება.

პარასკევს ხალხის განსაკუთრებით დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი, რადგან ამ დღეს წმიდა მეფის კონსტანტინესა და დედოფალ ელენეს ხსენება იყო და რეგიონის მოსახლეობაც მოვიდა სალოცავად, თანაც რამდენიმე დღის წინ მთელი მოსავალი საშინლად დაისეტყვა და ადგილობრივი გლეხები საეკლესიო დღესასწაულზე მუშაობას მოერიდნენ.

მამა გავრილო ძალზე დაკავებული აღმოჩნდა მონასტრის საქმეებით, ამიტომ არავითარი განცხადება არ გაუკეთებია.

დანამდვილებით ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში პრივინა გლავას მონასტერში დიდი სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა და ახალი შენობებიც აშენდა. ეს სამუშაოები შესრულდა, ერთი მხრივ, მამა გავრილოს "სასწაულებრივი განკურნებებიდან" შემოსული თანხებით, ხოლო მეორე მხრივ — მთელი მსოფლიოდან სხვადასხვა სპონსორების დახმარებით. გავრილო, ერისკაცობაში ვიდოსლავ მარიჩი, უკვე კარგა ხანია მონასტრის წინამძღვარია. ის ვიჟნიჩევში დაიბადა, ძალიან ადრე დატოვა მშობლიური სახლი და ბელგრადში გაემგზავრა, შემდეგ კი მაკედონიაში, საიდანაც, როგორც თვითონ ამბობს, პრივინა გლავას "სასწაულმოქმედ" მონასტერში დაბრუნდა.

გასული წლის 25 დეკემბერს მონასტერი გაიძარცვა. ქურდებმა წაიღეს 25000 ევრო, 3000 შვეიცარიული ფრანკი, მილიონ ნახევარი დინარი, დუკატები და ოქროს სამკაულები.

"დადგა ჟამი, რომ სერბეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ თვალი გაუსწოროს წარსულს. ეს მისი ქრისტიანული მოვალეობაა," - ამბობს პუბლიცისტი მირკო ჯორჯევიჩი ლეგიონ "მორიელის" ბოევიკების კურთხევის ამსახველი ვიდეოკადრების კომენტირებისას. მისი აზრით, სერბეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ არა მარტო მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია, არამედ დამნაშავე მღვდლებიც უნდა დასაჯოს. სრებრენიცაში მუსლიმების დახოცვისა და მღვდლის მიერ "მორიელის" წევრების კურთხევის ამსახველი ვიდეომასალის ნახვის შემდეგ მირკო ჯორჯევიჩი აღნიშნავს: "ეს არის მტკიცებულება, რომ ეკლესია იყო არა მხოლოდ ომის მოწმე, არამედ თანამონაწილეც".

"ამ საშინელ და შემაძრწუნებელ ვიდეომასალაში ისმის მღვდლის ხმა, რომელიც მოუწოდებს ომისაკენ, სისხლისღვრისა და ბოროტებისაკენ, ეს სცენები შუა საუკუნეებს გვაგონებს," - აცხადებს მირკო ჯორჯევიჩი და დასძენს, რომ არსებობს მრავალი დოკუმენტი, რომლებიც მოწმობენ, რომ სლობოდან მილოშევიჩის მმართველობის დროს წარმოებულ ომებში ეკლესიის მონაწილეობა გამოიხატებოდა "არმიის მეთაურებისათვის სულიერი ლეგიტიმაციის მინიჭებაში". მირკო ჯორჯევიჩი იხსენებს ეკლესიის მიერ აღვლენილ ქება-დიდებას "იმ მოღვაწეობისა, რომელიც მილოშევიჩმა დაიწყო" და ეკლესიის ფუნდამენტალისტური ფრთის მრავალი წარმომადგენლის განცხადებებს, რომ "მილოშევიჩი იყო გმირი", ხოლო "რადოვან კარაჯიჩი უბიწო და უდანაშაულო."

მირკო ჯორჯევიჩი ამბობს, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განკვეთა ის სასულიერო პირები, რომლებიც სრებრენიცაში მუსლიმების დახოცვის ვიდეოკადრებზე აღბეჭდილი მღვდლის მაგვარად მოიქცნენ.

მირკო ჯორჯევიჩი უკვე მრავალი წელია სწავლობს მდგომარეობას ეკლესიის შიგნით და ოპტიმისტურად არის განწყობილი. ის ფიქრობს, რომ ეკლესია ერთხელაც იქნება და ხმას ამოიღებს, მაგრამ ეჭვი ეპარება, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება. თუმცა ამჩნევს იმედის მომცემ ტენდენციებს, რომელთაც ჰერცოგოვინის ეპისკოპოსს გრიგოლს უკავშირებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ფუნდამენტალისტური ფრთა ეკლესიაში ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია.

*სერბული ყოველდღიური გაზეთი "DANAS"*
*4 ივნისი, 2005.*

## მოკლედ

### ნისლიან ალბიონზე რეფერენდუმს აღარ ჩაატარებენ

გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ევროპის კონსტიტუციის შესახებ რეფერენდუმისთვის სამზადისი შეაჩეროს.

ბრიტანეთში ევროკავშირის კონსტიტუციური შეთანხმების შესახებ რეფერენდუმი მომავალი წლის გაზაფხულზე უნდა გამართულიყო, თუმცა მას შემდეგ, რაც ფრანგებმა და ჰოლანდიელებმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს აღნიშნული დოკუმენტის მიმართ, დაუნინგ სტრიტზე გადაწყვიტეს, რომ "აზრი არ აქვს" რეფერენდუმის ჩატარებას. გუშინ დილით პრემიერ-მინისტრის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტონი ბლერი "არ გაურბის" რეფერენდუმს, მაგრამ "აზრი აღარ აქვს" ევროპის ძირითადი დოკუმენტის რატიფიცირების მცდელობას საფრანგეთისა და ნიდერლანდების უარის შემდეგ.

გასულ კვირას ბერლინში გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერების მოულოდნელ შეხვედრაზე შრიოდერმა და შირაკმა ევროკავშირის ქვეყნებს მოუწოდეს, განეგრძოთ დოკუმენტის რატიფიცირების პროცესი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ, წინასწარი პროგნოზებით, არც ბრიტანელები იყვნენ ევროკონსტიტუციის მიმართ სიმპათიით განწყობილნი. ასე რომ, ტონი ბლერის მთავრობის გუშინდელი გადაწყვეტილება, ერთგვარად, უხერხული სიტუაციაში ჩავარდნისგან თავის დაღწევის მცდელობას უფრო ჰგავდა.

შეგახსენებთ, იმისთვის, რომ ევროპის კონსტიტუცია ძალაში შევიდეს, 25-ივე წევრი-სახელმწიფოს თანხმობაა საჭირო. ჯერჯერობით ათმა ქვეყანამ მოახდინა დოკუმენტის რატიფიცირება, მათგან მხოლოდ ერთმა (ესპანეთი) - რეფერენდუმის საშუალებით. **24 საათი**

### სამხრეთ ლიბანში არჩევნებს შიიტი რადიკალები იგებენ

კვირას სამხრეთ ლიბანში გაიმართა საპარლამენტო არჩევნების მეორე ეტაპი. წინასწარი მონაცემებით, პროსირიულად განწყობილ შიიტთა ბლოკმა დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა. რეგიონში, რომელშიც შიიტი მუსლიმები დომინირებენ, პარლამენტის 23 მანდატის მოპოვება იყო შესაძლებელი და ყველა "ჰეზბოლა-ამალის" ალიანსმა მიიღო. შეგახსენებთ, ეს არის პირველი საპარლამენტო არჩევნები ლიბანში მას შემდეგ, რაც აპრილში ამ ქვეყნის ტერიტორია სირიის ჯარებმა დატოვეს. არჩევნები, რეგიონების მიხედვით, ოთხ კვირას ტარდება და 19 ივნისს დასრულდება. პირველ ტურში, ლიბანის დედაქალაქში გამართული კენჭისყრის დროს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა ანტისირიულმა ოპოზიციამ მიიღო. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**პოლონეთი.** საფრანგეთსა და ნიდერლანდებში ევროპის ახალი კონსტიტუციის პროექტის ჩაგდების მიუხედავად, ამ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვა პოლონეთში მაინც იგეგმება. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ადამ როტფელდის თქმით, უმჯობესი იქნება, თუკი რეფერენდუმი მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს ჩატარდება. ამ დღეს საპრეზიდენტო არჩევნებია დაგეგმილი, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ელექტორატის მაღალ აქტივობას. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**ახლო აღმოსავლეთი.** აშშ-ს საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობებით, ქვეყნის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ისრაელსა და პალესტინას 18 ივნისს ეწვევა. რაისი ჯერ პალესტინის ნაციონალური ავტონომიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას შეხვდება, ხოლო შემდეგ მოლაპარაკებებს იერუსალიმში ისრაელის მხარესთან განაგრძობს. ისრაელის საინფორმაციო წყაროების თანახმად, ახლო აღმოსავლეთში რაისის მეორე ოფიციალური ვიზიტი პირველის ანალოგიური იქნება. კერძოდ, ისრაელის მედია მიუთითებს რაისის საშუამავლო როლზე - რაისი რეგიონს შარმ აშ-შეიხში პალესტინა-ისრაელის მეთაურთა შეხვედრამდე ეწვია. ახლაც, ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი და პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის მეთაური მაჰმუდ აბასი ერთმანეთს 21 ივნისს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან კონსულტაციების გავლის შემდეგ შეხვდებიან. **24 საათი**





ATHENS UNIVERSITY OF ECONOMICS & BUSINESS
(AUEB)
MBA International Program

ათენის ბიზნესისა და ეკონომიკის მოწინავე უნივერსიტეტი გთავაზობთ საერთაშორისო MBA (მაგისტრატურა ბიზნესის ადმინისტრირებაში) პროგრამას.

ეს ნოვატორული და წარმატებული MBA-ს პროგრამა (მხოლოდ ინგლისურენოვანი) დიდი შანსია იმ სტუდენტებისა და ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან ლიდერობის თვისებებით და ცოდნის მაღალი აკადემიურობით; მათთვის, ვინც ეძებს საკუთარი თავის განვითარებისა და საერთაშორისო კარიერის გაკეთების შესაძლებლობას.

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს პრესტიჟული უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხის დიპლომი, CV (curriculum vitae), ორი სარეკომენდაციო წერილი და ჩვენს ვებ-გვერდზე მოთავსებული შევსებული აპლიკაციის ფორმა (www.i-mba.aueb.gr). ამასთან საჭიროა ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

სავალდებულოა მინიმუმ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება.

MBA საერთაშორისო პროგრამის წარმომადგენლების ნახვა შეიძლება "თბილისი მერიოთში", 6-დან 8 ივნისის ჩათვლით.
პერსონალურ გასაუბრებაზე სურვილის შემთხვევაში გამოგვიგზავნეთ მოთხოვნა შემდეგ ინტერნეტ მისამართზე:
i-mba@aueb.gr

აპლიკაციის ფორმის გადმოწერა შესაძლებელია ჩვენი ვებ-გვერდიდან
www.i-mba.aueb.gr
აპლიკაციის წარდგენის ბოლო ვადაა : 20 ივნისი

# ელექტროკავშირის ტარიფები 1 ივლისიდან იცვლება

სს "საქართველოს ელექტროკავშირის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, პირველი ივლისიდან კომპანიის აბონენტებისათვის სხვა სატელეფონო ოპერატორების აბონენტებთან დაკავშირება ფასიანი ხდება. როგორც კომპანიის დირექტორმა ნანა ადეიშვილმა ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სხვა სატელეფონო ოპერატორებთან დაკავშირება ელექტროკავშირის აბონენტებისათვის 8-22 კოდით გახდება შესაძლებელი, ხოლო 1 წუთის ღირებულება 2 თეთრი იქნება. ნანა ადეიშვილის განმარტებით, კომპანიამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაკოტრებისაგან თავის დასაცავად მიიღო, ვინაიდან კავშირგაბმულობის დარგის რეგულატორის, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, ოპერატორი კომპანიების ერთმანეთთან დაკავშირება ფასიანია (ამოქმედდება ურთიერთჩართვის ტარიფი). ადეიშვილის თქმით, შეღავათებით მოსარგებლე სოციალურად დაუცველი ფენებისათვის 100 წუთი სატელეფონო საუბარი უფასო იქნება. სს "საქართველოს ელექტროკავშირს" სატელეფონო საუბრებზე ტარიფის დაწესების მცდელობა გასულ წელსაც ჰქონდა, თუმცა, პარლამენტის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ურთიერთჩართვის ტარიფი გააუქმა და, შესაბამისად, ზარები უფასო დარჩა.

*პრაიმ-ნიუსი*

# აზერბაიჯანი ნავთობის ექსპორტს რკინიგზითაც იწყებს

აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერაციული კომპანია (ის აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის ნავთობსაბადოების გადამამუშავებელი ოპერატორი კომპანიაა) ივნისში, რკინიგზის საშუალებით, დღეღამეში ორმოცი ათასი ბარელი ნავთობის ექსპორტის დაიწყებას აპირებს, - ამის შესახებ კომპანიის პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა განაცხადა. მისი თქმით, აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერაციული კომპანია, ასევე, "ჩრდილოეთის" მარშრუტით, ანუ ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით დღე-ღამეში 80 ათასი ბარელი ნავთობის გადაქაჩვას გეგმავს.

დევიდ ვუდვორდი აცხადებს, რომ ნავთობი, პირველ რიგში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით გადაიქაჩება, ხოლო რკინიგზითა და "ჩრდილოეთის" მარშრუტით მისი ექსპორტირება პარალელურად მოხდება. ბაქო-ნოვოროსიისკთან შედარებით, რკინიგზით ნავთობის ექსპორტირება ბარელ ნავთობზე ოთხი-ხუთი დოლარით იაფი ჯდება. აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერაციულმა კომპანიამ ჩირაგის საბადოდან ნავთობის ექსპორტისთვის ბაქო-სუფსას მილსადენს იყენებდა, ხოლო აზერის საბადოდან ნავთობის მოპოვების დაწყების გამო, კომპანიამ აპრილ-მაისში, როგორც "დასავლეთის" (ბაქო-სუფსა), ისე "ჩრდილოეთის" (ბაქო-ნოვოროსიისკის) მილსადენი სრული დატვირთვით აამოქმედა.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გადაუღებელი წვიმების გამო, ჟინვალჰესის წყალსაცავში ორშაბათს წყლის დონემ მაქსიმალურ ნიშნულს (810 მეტრი) მიაღწია, თუმცა წყალსაცავიდან წყლის გადმოდინების საშიშროება არ არსებობს. ჰესის ტექნიკური დირექტორის დავით არაბულის განმარტებით, გადაუღებელი წვიმების გამო შევსებული წყალსაცავიდან წყლის გაშვება ნორმირებულ რეჟიმში ხდება, ასევე, მაქსიმალური დატვირთვით მიმდინარეობს ელექტროენერგიის გამომუშავება. არაბულის თქმით, ჟინვალჰესი 80 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მისი შეფასებით, ჰესის წყალსაცავში ამგვარი ჭარბწყლიანობა ბოლოს 1997 წელს დაფიქსირდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ერევანში შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს მეშვიდე კრება გაიმართა. ფორუმზე მიწვეულნი იყვნენ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების, ასევე საერთაშორისო და ფინანსური ორგანიზაციების - ევროკავშირის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის წარმომადგენლები. კრებამ 2004 წელს ბანკის საქმიანობის წლიური ანგარიში და ბანკის განვითარების საკვანძო საკითხები განიხილა. ფორუმის დისკუსიის მთავარი თემები გახდა კავკასიის რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზება და ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, ასევე ფინანსური სექტორის განვითარების პრობლემები და სომხეთსა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში მცირე ბიზნესის ხელშეწყობასთან დაკავშირებული საკითხები. **მედიანიუსი**


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება N271

06,06,2005 წ.
ქ. თბილისი

### ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინების (18.05.05 №09/4371) შესაბამისად, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის "ი" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 37-ე დადგენილებით დამტკიცებული "განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის 127-ე ბრძანებით დამტკიცებული "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების" დებულების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი განისაზღვროს შემდეგი სახით:
ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში - 11-12 ივლისი;
ბ) ზოგად უნარებში - 14-15 ივლისი;
გ) უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) - 18-19 ივლისი;
დ) მათემატიკაში - 21 ივლისი;
2. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების თარიღი ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის -შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ აბიტურიენტთათვის გაცემული საგამოცდო ბარათის მიხედვით.
3. დაევალოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომუნიკაციების დეპარტამენტს ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა.
4. დაევალოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის შესრულებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების გამოყოფა.

**მინისტრი ალექსანდრე ლომაია**


# "საქართველოს რკინიგზა" რეკორდულ მაჩვენებელს აღწევს

## როგორი იყო გასული ხუთი თვე რკინიგზისთვის?

*სულ ორიოდე კვირა დარჩა იმ დღემდე, როცა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ნავთობკომპანია "ექსონ მობილი" საქართველოში შემოვა. მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, "ექსონ მობილი", საქართველოს რკინიგზის გავლით, დასავლეთში ყაზახური ნავთობის გადატანას იწყებს, რაც რკინიგზის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მტკიცებით, საწარმოს და, ზოგადად, ქვეყანას დამატებით რამდენიმე მილიონ ლარს მოუტანს. ამ და გასული ხუთი თვის განმავლობაში მიღწეული შედეგების შესახებ, გუშინ ჟურნალისტებს ონოფრიშვილმა თავად მოუთხრო.*



*ონოფრიშვილი გასულ ხუთ თვეს აჯამებს.*

ეთერ მამულაშვილი

თუ რამდენ ტონა ნავთობს გადაქაჩავს ამერიკული "ექსონ მობილი" საქართველოს რკინიგზის გავლით, ეს ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, როგორც დავით ონოფრიშვილი ირწმუნება, წლის ბოლომდე დარჩენილ შვიდ თვეში რკინიგზა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სახით, დაახლოებით 8 მილიონი ტონა ტვირთის მოზიდვას გეგმავს.

ონოფრიშვილის განმარტებით, "ექსონ მობილის" საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალით დაინტერესების მთავარი მიზეზი ის სატარიფო პოლიტიკაა, რომელსაც ამჟამად რკინიგზის ხელმძღვანელობა ატარებს და რამაც ბოლო ხუთი თვის განმავლობაში საქართველოზე გამავალი ტვირთების მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობა.

"ექსონ მობილის" შემდეგ, შესაძლოა, საქართველოში მეორე დიდი კომპანია "შევრონი" შემოვიდეს, რომელთანაც რკინიგზის დეპარტამენტი ამ ეტაპზე აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. დავით ონოფრიშვილს იმედი აქვს, რომ "შევრონის" ნავთობი საქართველოზე მომავალი წლის დასაწყისში გაივლის.

მანამდე კი, საქართველოს რკინიგზით გადაზიდული ტვირთების, როგორც მშრალი, ასევე ნავთობპროდუქტების, მოცულობა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში რეკორდულ მაჩვენებელს აღწევს. გასული ხუთი თვის მანძილზე რკინიგზით გადაზიდული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მოცულობამ 6 მილიონ-ნახევარ ტონას გადააჭარბა. **"სარკინიგზო გადაზიდვებზე ტარიფის შემცირებით, საქართველოზე გამავალი ევრაზიის სატრანზიტო კორიდორი სრულად ამოქმედდა. ბოლო ხუთი თვის განმავლობაში, მხოლოდ ნედლი ნავთობის სახით, 6 503 000 ტონა ტვირთი გადავზიდეთ. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოს რკინიგზას ასეთი მაჩვენებელი არ ჰქონია,"** - აღნიშნა ონოფრიშვილმა

ტვირთების პარალელურად გაიზარდა რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაც. თუკი შარშან, პირველი ხუთი თვის განმავლობაში, საქართველოს რკინიგზით დაახლოებით 2 მილიონ 500 ათასმა მგზავრმა ისარგებლა, წელს ანალოგიურ პერიოდში მათმა რაოდენობამ თითქმის 4 მილიონი შეადგინა. ასეთი მკვეთრი, თითქმის 100-პროცენტიანი ზრდის მიზეზად დავით ონოფრიშვილი სამგზავრო გადაზიდვების ადმინისტრაციის შეცვლასა და კორუფციის შემცირებას ასახელებს. **"შესაძლოა, რეალურად ამდენი ან ოდნავ ამაზე ნაკლები ბილეთი იყიდებოდა, თუმცა ძალიან დიდი ნაწილის აღრიცხვა არ ხდებოდა. წელიწადში დაახლოებით 700 ათასი 1 მილიონი ლარი "მარცხენა" ფული კეთდებოდა ბილეთების რეალიზაციით,"** - განაცხადა რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა.

როგორც იქნა, "საქართველოს რკინიგზა" და სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო ბიუჯეტში ჩასარიცხი დივიდენდის მოცულობაზეც შეთანხმდნენ. 2004 წლის მოგებიდან რკინიგზა სახელმწიფო ხაზინაში წელს მხოლოდ 5 მილიონ 500 ათას ლარს ჩარიცხავს, რაც შარშანდელთან შედარებით თითქმის 2 მილიონ 500 ათასი ლარით ნაკლებია. ეს და სხვა დანაზოგი ფული, რაც მთლიანობაში, დავით ონოფრიშვილის თქმით, 20 მილიონ ლარამდე აღწევს, რკინიგზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და რეკონსტრუქციას მოხმარდება.

კიდევ ერთი სიახლე, რაც გუშინდელ პრესკონფერენციაზე გაჟღერდა, რკინიგზაზე ახალი სამგზავრო ვაგონების შემოყვანას ეხება. ონოფრიშვილის თქმით, ივლისის თვიდან თბილისსა და ბათუმს შორის ახალი, საერთაშორისო სტანდარტების მქონე 21-ვაგონიანი მატარებელი იმოძრავებს. "საქართველოს რკინიგზას" მატარებლის განახლება 6,5 მილიონი დოლარი დაუჯდა. მისი მოდერნიზება უკრაინაში, დნეპროპეტროვსკის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში განხორციელდა. ონოფრიშვილის თქმით, მატარებელი ბათუმის მიმართულებით თბილისიდან საღამოს გავა, ბილეთის მაქსიმალური ფასი კი 45-50 ლარი იქნება. **"მგზავრობის ღირებულებაში შედის მომსახურების სრული სერვისი. მომსახურე პერსონალი შესაბამისი ტექნიკით და ახალი უნიფორმებით აღჭურვილი იქნება,"** - აღინიშნა გუშინდელ პრესკონფერენციაზე. რკინიგზის დეპარტამენტში იმედოვნებენ, რომ ახალი მატარებელი მომხმარებელთა კომფორტულ და უსაფრთხო მგზავრობას უზრუნველყოფს.

# დსთ-ს ქვეყნები საგადასახადო დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებიან

*თბილისში გამართულ დსთ-ს მთავრობის მეთაურთა შეხვედრის ფარგლებში განხილულ წინადადებებს შორის იყო ერთ-ერთი ინიციატივა, რომელსაც ნაკლები გამოხმაურება მოჰყვა. როგორც გუშინ რუსულმა საინფორმაციო სააგენტომ "პრაიმ-ტასმა" გაავრცელა ინფორმაცია, მთავრობის მეთაურთა შეხვედრაზე რუსეთის ფედერაციამ დსთ-ს ქვეყნებს საგადასახადო დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად შეთანხმების გაფორმება შესთავაზა.*

რუსეთის ხელისუფლებამ მოიწონა შეთანხმების პროექტი, რომელიც დსთ-ს ქვეყნების საგადასახადო დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად თანამშრომლობას გულისხმობს. ამის შესახებ გუშინ რუსეთის ხელისუფლების პრესსამსახურმა განაცხადა, - იუწყება რუსული საინფორმაციო სააგენტო "პრაიმ-ტასი".

"პრაიმ-ტასის" ინფორმაციით, შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობას საგადასახადო დანაშაულების გამოვლენის, მათ შესახებ ინფორმაციის გაცვლის და აღმოფხვრის სფეროში. კერძოდ, ხელშეკრულების თანახმად, თანამშრომლობა შემდეგი მიმართულებებით წარიმართება: გადასახადების სფეროში დანაშაულების დონის ანალიზი, საგადასახადო დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, ამ სფეროს კანონმდებლობის საერთაშორისო შეთანხმებებთან ჰარმონიზაცია, საგადასახადო დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად ერთობლივი პროგრამების შემუშავება და სხვა.

შეთანხმების მხარეთა თანამშრომლობა კი შემდეგი ფორმებით იგეგმება: ოპერატიული და კრიმინალური ინფორმაციების გაცვლა, მოთხოვნილი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარება, კოორდინირებული ოპერატიულ-სამძებრო და პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, კადრებში მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, და სხვა.

ხელშეკრულების მონაწილეები კომპეტენტური ორგანოების საშუალებით ითანამშრომლებენ. ამ ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ იმ მონაცემთა კონფიდენციალურობა, რომელსაც ის სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოდან მიიღებს, მათ შორის, მიღების ფაქტი და მოთხოვნის შინაარსიც, თუ ინფორმაციის მომთხოვნი მხარე მათ გახმაურებას სასურველად არ მიიჩნევს.

*24 საათი*

# სემინარი დეპუტატებისთვის

გუდაურში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ქართველი პარლამენტარებისათვის ორგანიზებული სემინარი გაიმართა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე.

სემინარის ძირითადი თემა იყო "საქართველო: ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და სიღარიბის დაძლევის საკითხები". ორი დღის განმავლობაში საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოში ფისკალურ და ფულად-საკრედიტო სფეროში მიმდინარე რეფორმებს, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის მიმდინარეობას განიხილავდნენ. ამ თემაზე მოხსენება გააკეთა საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივმა წარმომადგენელმა რობერტ კრისტიანსენმა. მან ვრცლად მიმოიხილა ძირითადი მონეტარული მოვლენები 2004-2005 წლებში. სავალუტო ფონდის წარმომადგენლის შეფასებით, ეკონომიკის ლეგალიზებამ და დიდი ოდენობით უცხოური კაპიტალის შემოდინებამ გასულ წელს ქვეყანაში ლარის რეალური გამყარება და ინფლაციის ზრდა გამოიწვია. რობერტ კრისტიანსენის პროგნოზით, ფისკალური დეფიციტის ფონზე, 2005 წელს საქართველოში მოსალოდნელია სარეზერვო ფულის ზრდა. ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციასა და ლარის კურსის რეალურ გამყარებას შორის რთული არჩევანის წინაშე დგას. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ 2005 წელს ინფლაცია ერთნიშნა ციფრით უნდა გამოისახებოდეს, ხოლო ლარის კურსი - ზომიერად გამყარდეს.

რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ აღნიშნულმა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარებას ხელი არ უნდა შეუშალოს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ისაუბრა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ახალ მიდგომებზე, რომელსაც ეროვნული ბანკი პრივატიზაციიდან მიღებული დიდძალი შემოსავლების ინფლაციურ პროცესებზე უარყოფითი ზემოქმედების გასანეიტრალებლად იყენებს.

ეროვნული ნაკის ხელმძღვანელმა სემინარის მონაწილეებს გააცნო ბანკის წინადადება - ეტაპობრივად, 40 მლნ ლარამდე გაიზარდოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ოდენობა. აღნიშნული მაჩვენებელი დღეისათვის 15 მლნ ლარს შეადგენს, რაც მისი აქტივების მხოლოდ ერთი პროცენტია. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია დსთ-ს სივრცეში.

ძირითადი მოხსენებების დასრულების შემდეგ რობერტ კრისტიანსენმა და რომან გოცირიძემ დეპუტატების შეკითხვებს პასუხი გასცეს.

*24 საათი*


## ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" აცხადებს ღია აუქციონს

I ლოტი

1. ავტომანქანა "AUDI A6"; სახ/ნომერი IOO-181; საიდენტიფიკაციო კოდი: WAUZZZ4BZWN088106; გამოშვების წელი - 1998; ფერი - მუქი მწვანე; ძრავის მოცულობა - 2,4; გადაცემათა კოლოფი - მექანიკური; სრული ელ. პაკეტი; კონდენციონერი; მდგომარეობა - კარგ მდგომარეობაში. გარბენი: 142000კმ; საწყისი ფასი 12 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

II ლოტი

2. ავტომანქანა "WV T-1" ბუსი; სახ/ნომერი GGG-549; საიდენტიფიკაციო კოდი: WV2ZZZ25ZKH087188; გამოშვების წელი - 1989; ფერი - ღია ლურჯი; ძრავის მოცულობა - 1,6 (ჟიგული 2106) ძრავა - N5335230; გადაცემათა კოლოფი - მექანიკური; მდგომარეობა - კარგ მდგომარეობაში. გარბენი: 194000კმ; საწყისი ფასი 2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

III ლოტი

3. ავტომანქანა "გა -2107"; სახ/ნომერი STS-079; გამოშვების წელი - 1999; ფერი - თეთრი; ძრავის მოცულობა - 1,5; ძრავა - N5528884; ძარა - NX1259675 გადაცემათა კოლოფი - მექანიკური; მდგომარეობა - კარგ მდგომარეობაში. გარბენი: 90000კმ; საწყისი ფასი 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს განცხადების საფუძველზე.

აუქციონში მონაწილეობა უფასოა.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია პროცედურის დამთავრებისთანავე გადაიხადოს შესასყიდი ობიექტის სარეალიზაციო ფასის 20%, ხოლო დავალიანება მთლიანად დაფაროს, აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან, არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ობიექტის საბოლოო გადაცემა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა 2005 წლის 8 ივნისიდან 2005 წლის 11 ივლისამდე ჩათვლით, 10 სთ-დან 16 სთ-მდე მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი N6. "საქპატენტი"

აუქციონი გაიმართება 2005 წლის 12 ივლისს, 17.00 საათზე. მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი N6. "საქპატენტი"

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება. სავაჭრო ბიჯი I ლოტზე 200 აშშ დოლარი. II და III ლოტზე 100 აშშ დოლარი.

**დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე:**
**ი. ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი N6. "საქპატენტი", ტელ./ფაქსი: 24 10 31**

# ახალი კადრები იუსტიციის სამინისტროში

გუშინ იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ ჟურნალისტებს სამინისტროში ახალი დანიშვნების თაობაზე აუწყა - კერძოდ, თავად მინისტრს ახალი პირველი მოადგილე ეყოლება. ამ თანამდებობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე კონსტანტინე კორკელია დანიშნა. კემულარიას თქმით, მისი პირველი მოადგილე ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში იმუშავებს.

**"კონსტანტინე კორკელია ნიჭიერი იურისტია და განსაკუთრებით დიდი გამოცდილება აქვს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში"**, - განაცხადა გუშინ კემულარიამ.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ახალ უფროსს, მას წარდგენა ნაკლებად სჭირდება. ირაკლი კლდიაშვილს ცოტა ხნის წინ მაღალი თანამდებობები ეკავა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში; კერძოდ, რევოლუციის შემდეგ, იმ პერიოდში, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე გახლდათ, ის ჯერ სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილედ, შემდეგ მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, გარკვეული პერიოდის მანძილზე კი მინისტრის მოადგილეობას თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსობასაც უთავსებდა.

თანამდებობრივი გადაადგილებების შემდეგ კლდიაშვილი ამერიკაში გაემგზავრა სასწავლებლად და იქიდან ჩამოსული იუსტიციის სამინისტროში დაინიშნა.

ირაკლი კლდიაშვილის ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელის პოსტზე წარდგენამდე კოტე კემულარიამ მისი წინამორბედი, ლევან სამხარაული გაიხსენა.

**"კიდევ ერთხელ მინდა, ჩემი მწუხარება გამოვთქვა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის ლევან სამხარაულის ტრაგიკულად დაღუპვის გამო. დარწმუნებული ვარ, ირაკლი კლდიაშვილი გააგრძელებს იმ რეფორმებს, რომელიც ამ სტრუქტურაში ლევანმა დაიწყო. მან ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ჩამოყალიბების გზაზე არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა"**, - აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.



*კოტე კემულარიამ იუსტიციის სამინისტროს ახალი კადრები წარადგინა.*

გუშინდელ პრესკონფერენციაზე კოტე კემულარიამ სტრასბურგში დაგეგმილი ვიზიტის შესახებაც ისაუბრა, სადაც იუსტიციის მინისტრი 9-10 ივნისს შეხვედრებს გამართავს -ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან ტერი დევისთან, სამართლებრივ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორ გი დეველთან, პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორ კლაუს შუმანთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე ლუციუს ვილდჰაბერთან, ვენეციის კომისიისა და ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის წარმომადგენლებთან.

კემულარიას თქმით, ვიზიტისას განიხილება საქართველოში სამართლებრივი, მათ შორის იუსტიციის სისტემის, სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლო სისტემის რეფორმირების საკითხები; ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით თანამშრომლობის საკითხები და სხვა.

ამასთანავე, სტრასბურგში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრებენ საქართველოში სისხლის სამართლის სფეროს რეფორმის კონცეფციაზე, რომელიც იუსტიციის სამინისტროს თაოსნობითა და ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის EUJUST THEMIS-ის დახმარებით მომზადდა.

*24 საათი*

# აზერბაიჯანელი სამართალდამცველები ქართველ კოლეგებს დახმარებას არ სთხოვენ

**"თუ აზერბაიჯანი დაინტერესებულია, საქართველო დაეხმაროს ჟურნალ "მონიტორის" რედაქტორის ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობის საქმეში, აზერბაიჯანელი სამართალდამცველები ვალდებულნი არიან, ოფიციალურად მოგვმართონ, მით უმეტეს, როცა ისინი ბრალს საქართველოს მოქალაქეებს სდებენ,"** - აცხადებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანს საქართველოსთვის ოფიციალურად არ მიუმართავს ოპოზიციონერი ბაქოელი ჟურნალისტის ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობის საქმეში დახმარებისთვის. ბაქოში მომხდარი საზარელი მკვლელობიდან რამდენიმე დღეში აზერბაიჯანის გენერალურმა პროკურატურამ მკვლელობაში ეჭვმიტანილებად დაასახელა - ტაჰირ ბაირამ ოღლი ხუბანოვი და თეიმურაზ ადილ ოღლი ალიევი, რომლებიც, ოფიციალური ბაქოს მტკიცებით, საქართველოს მოქალაქეები არიან. აზერბაიჯანმა მათზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის ოპოზიციური ჟურნალის "მონიტორის" მთავარი რედაქტორი ელმარ ჰუსეინოვი საკუთარი სახლის მახლობლად მოკლეს. ბაქოს პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მაგერამ ალიევის ინფორმაციით, 38 წლის ელმარ ალიევს შვიდჯერ ესროლეს. ორი ტყვია მას გულ-მკერდის არეში მოხვდა.

ჟურნალისტის მკვლელობის გამო, ბაქოში მაშინ არეულობასაც ელოდნენ. აზერბაიჯანის ხელისუფლება და სამართალდამცველები მაშინვე შეეცადნენ, გაენეიტრალებინათ ის ბრალდებები, რომლებიც მათ ოპოზიციონერი ჟურნალისტის მკვლელობის გამო წაუყენეს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სასწრაფოდ მოწვეულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ჟურნალისტის მკვლელობას სახელმწიფოს წინააღმდეგ დაგეგმილი სერიოზული პროვოკაცია და აზერბაიჯანის დემოკრატიულ განვითარებაზე თავდასხმა უწოდა. მანვე აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში თითოეული ჟურნალისტის უფლებებს, მიუხედავად მისი პოზიციისა, სახელმწიფო იცავს.

ერთი სიტყვით, აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა განაცხადეს, რომ მკვლელობა პროვოკაციის მიზნით მოხდა და ის სახელმწიფოს იმიჯის წინააღმდეგ იყო მიმართული. **"დაჩქარდეს ამ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის გახსნა და გამკაცრდეს კონტროლი ქვეყანაში ოპერატიულ სიტუაციაზე"**, - ასეთი ბრძანება გასცა მაშინ ილჰამ ალიევმა.

აზერბაიჯანულმა ინტერნეტ-გამოცემებმა მკვლელობიდან რამდენიმე დღეში გაავრცელეს ინფორმაცია, რომ "ჟურნალ "მონიტორის" რედაქტორის მკვლელობაში ეჭვმიტანილი საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დააკავა და ის ბაქოს გადასცა. იმავე ინფორმაციით, დადგენილი იყო ჰუსეინოვის მკვლელობის შემკვეთიც - ეროვნებით სომეხი, რომლესაც აზერბაიჯანში სერიოზული კავშირები ჰქონდა. ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო აზერბაიჯანის უშიშროების სამინისტრომ. მოგვიანებით კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჰუსეინოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილები საქართველოს მოქალაქეები არიან. თუმცა, მეზობელ ქვეყანას ოფიციალურად დღემდე არ მიუმართავს არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და არც ინტერპოლის საქართველოს ბიუროსთვის. შესაბამისად, დასახელებულ პიროვნებებს საქართველოში არავინ ეძებს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მკვლელობაში ეჭვმიტანილად დასახელებული ალიევი თეიმურაზ ადილ ოღლი რეგისტრირებულია თბილისში, კონკრეტულ მისამართზე. თუმცა, ეს ის პიროვნებაა თუ არა, რომელსაც აზერბაიჯანი ეძებს, არავინ იცის. რაც შეეხება ტიჰარ ბაირომ ოღლი ხუბანოვს, ჩვენი ინფორმაციით, ის საქართველოში არ არის რეგისტრირებული.

*24 საათი*

# სახალხო დამცველის რეკომენდაციით, საქმის ხელახალი გამოძიება დაიწყო

ექვსი წლის წინ სამართალდამცველთა მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნა და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შემდეგ, დაიშალა და თბილისის პროკურატურამ საქმის ხელახალი ძიება დაიწყო.

ნუგზარ ავალიანმა სახალხო დამცველის აპარატს ჯერ კიდევ 2000 წელს მიმართა და მისი შვილის, უჩა ავალიანის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქმე ისაა, რომ 1999 წლის 26 ოქტომბერს უზენაესმა სასამართლომ უჩა ავალიანი დამნაშავედ ცნო და 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საინტერესოა, რომ ავალიანი ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისთვის გაასამართლეს, მაშინ, როცა მასთან ერთად დანაშაულში ბრალდებული პირების (ჯგუფის წევრების) წინააღმდეგ გამოძიებამ საქმის წარმოება შეწყვიტა. საქმეში არსებული საპროცესო დარღვევებისა და ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, ხუთი წლის განმავლობაში ავალიანმა არაერთხელ მიმართა გენერალურ პროკურატურას და საქმის ხელახალი გამოძიება მოითხოვა, მაგრამ პროკურატურას ყველა თხოვნაზე საქმის არაღძვრის დადგენილება გამოჰქონდა. პროკურატურის გადაწყვეტილებები სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ უქმდებოდა და უზენაესი სასამართლო საქმეს განსახილველად ისევ პროკურატურას უბრუნებდა, რომელიც, თავის მხრივ, ისევ არაღძვრის დადგენილებას იღებდა.

2000 წლიდან ავალიანის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან გენერალურ პროკურატურას არაერთი რეკომენდაცია და წერილი გაეგზავნა, მაგრამ - უშედეგოდ.

15 აპრილს ნუგზარ ავალიანმა კვლავ მიმართა სახალხო დამცველს და დახმარება სთხოვა. სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა წერილი გენერალური პროკურორის მოადგილის გიორგი ჯანაშიას სახელზე, პროკურატურას სთხოვა, საფუძვლიანად შეესწავლა ავალიანის საქმე და მიეღო კანონით გათვალისწინებული ზომები.

გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ სახალხო დამცველს გაუგზავნა პასუხი, რომლის მიხედვითაც, მსჯავრდებული უჩა ავალიანის საქმეზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, წარმოება აღიძრა და ხელახალი გამოძიების ჩატარება თბილისის პროკურატურას დაევალა.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

__________________________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**.......................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..............................

**საკონტაქტო ტელეფონი**..............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "[illegible] II", (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "[illegible] I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" შენობის [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

---

### მოკლედ

#### ერთი კვირის დანაშაულებრივი სტატისტიკა

27 მაისიდან 3 ივნისამდე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის მიერ ქვეყნის საავტომობილო გზებზე გამოვლენილია მოძრაობის წესების დარღვევის 1038 ფაქტი, მათ შორის ავტომანქანის მართვა არაფხიზელ მდგომარეობაში - 60, გადაჭარბებული სიჩქარით - 58, გასწრების წესების დარღვევით - 128, გზაჯვარედინზე გავლის წესების დარღვევით - 81, ავარიული სიტუაციის შექმნის - 39, საგზაო ნიშნის ან მონიშვნის ხაზის მოთხოვნათა დაუცველობის - 192, ტექნიკურად გაუმართავი - 27, არდამორჩილება - 6, ტექნიკური დათვალიერების გარეშე - 182, სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე - 40, მართვის მოწმობის გარეშე - 49, სხვა დარღვევები - 226. დაკავებულია ძარცვის ფაქტზე 1 პირი, ხულიგნობაზე - 8, ქურდობაზე - 4, გაუპატიურების მცდელობაზე - 1, ქონების განზრახ განადგურების ფაქტზე - 3, იარაღის უკანონოდ შენახვისთვის - 1. ამოღებულია ერთი გაზის პისტოლეტი, ერთი რეკვიზიტშეცვლილი ავტომანქანა და ერთი გატაცებული ავტომანქანა; გამოვლენილია 3 პირი, რომლებიც იმყოფებოდნენ ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ.

*მედიანიუსი*

#### უკანონო საქონელი გადაჰქონდათ

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა უაქციზო სიგარეტის გადაზიდვისას რამდენიმე ადამიანი დააკავეს. მოქალაქეების - ჯუმბერ გელაშვილის, მევლუდ ლაღოშვილის, ალექსი ლაღოშვილის და გიორგი მიქელაძის მიმართ დაწყებულია წინასწარი გამოძიება - "აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის" მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე. ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველომ გარდაბანი-რუსთავის გზის მონაკვეთზე დააკავეს მოქალაქე ავთანდილ ბერძენიშვილი, რომელსაც რამდენიმე სახის დიდი ოდენობით უსაბუთო საქონელი გადაჰქონდა. დაკავებულია მოქალაქე ალიხან კარაევიც, რომელსაც, ასევე, უსაბუთო საქონელი გადაჰქონდა. ფინანსურმა პოლიციამ, ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, მასალები საგადასახადო ინსპექციას გადაუგზავნა. **მედიანიუსი**

### უცხოეთი

#### აზერბაიჯანის ელჩის მრჩევლის შვილი მოკლეს

მოსკოვში, საკუთარ ბინაში 26 წლის თემურ ნაიბოვი მოკლეს. იგი რუსეთში აზერბაიჯანის ელჩის მრჩევლის შვილია. ელჩის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში, ვაჰიდ ნაიბოვმა ადგილობრივ მილიციას გუშინწინ მიმართა. მისი თქმით, მან შვილის ცხედარი სახლში აღმოაჩინა. რა შეიძლება იყოს აზერბაიჯანის ელჩის მრჩევლის შვილის მკვლელობის მიზეზი, ამის შესახებ სამართალდამცველები ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. "მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია. ჯერ არანაირი ვერსია არ გვაქვს", - ასეთი გახლავთ ოფიციალური კომენტარი. თემურ ნაიბოვი ერთ-ერთი კომერციული კომპანიის თანამშრომელი იყო. გავრცელებული ხმებით, გამორიცხული არ არის, მკვლელობა სწორედ მის კომერციულ საქმიანობას უკავშირდებოდეს.

#### სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებული მფრინავები შეიწყალეს

ეკვატორული გვინეის პრეზიდენტმა თეოდორო ობიანგ ნგუემამ შეიწყალა სომხეთის ის ექვსი მფრინავი, რომლებსაც ეკვატორულ გვინეაში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ედებათ ბრალი. შარშან ნოემბერში მათ ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიესაჯათ. როგორც სააგენტო "მედიამაქსი" იუწყება, ეკვატორული გვინეის პრეზიდენტმა კეთილი ნება თავის დაბადების დღის გამო გამოიჩინა და მფრინავები შეიწყალა. სომხეთის მფრინავებს, რომლებიც ყველა ბრალდებას უარყოფენ, სასწრაფოდ გაათავისუფლებენ და სომხეთში გადააფრენენ. რამდენიმე დღის წინათ რუსეთის სომხური კავშირის პრეზიდენტი, ბიზნესმენი არა აბრამიანი აცხადებდა, რომ ის აქტიურად არის ჩართული სომეხი პილოტების გათავისუფლების საქმეში და იმედოვნებს, რომ უახლოეს დღეებში ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. მფრინავების გათავისუფლების მიზნით, მალაბოში მოლაპარაკებებს რამდენიმე თვის წინ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვარდან ოსკანიანიც აწარმოებდა. ***პრაიმ-ნიუსი***

### ორი სიტყვით

**თბილისი.** კასპის პირველი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი, კარგარეთელის ქუჩაზე მცხოვრები, 18 წლის ნიკა პირტახია - მეტსახელად "მურთხი", რომელმაც გიორგი ზაქარეიშვილთან და დაკავებულ ლევან ჯამელაშვილთან ერთად ალმაშენებლის გამზირზე, სადღეღამისო ლომბარდიდან ნატალია ქველიძეს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, გასტაცა მობილური ტელეფონი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს, ადამიანის ღირსებისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებისა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში, ინდმეწარმე " ირაკლი გვარამაძის" ბენზინგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს ვალეში მცხოვრები, 39 წლის რატი კაპანაძე და ახალციხეში მცხოვრები, 25 წლის სამველ აბრეიანი, რომლებმაც ვალეში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლებით სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება მიაყენეს 28 წლის კობა ხითარიშვილს. **მედიანიუსი**


## მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე სასამართლო რეფორმის პროექტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობის (ზუბალაშვილების ქ. N32) ნაწილში შიდა ბზარების გამაგრების პროექტის მომზადების მიზნით პროექტის განმახორციელებელი რგოლი იწვევს საპროექტო ფირმებს.

საპროექტო ფირმა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. გააჩნდეს სახელმწიფო ლიცენზია პროექტირებაში;
2. მინიმუმ 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
3. მინიმუმ 3 მსგავსი ტიპის განხორციელებული პროექტი;
4. ფირმის ძირითად პერსონალს გააჩნდეს საკმარისი გამოცდილება შესაბამის დარგში;
5. სასურველია სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში (ArchiCad/AutoCad) ნახაზების შესრულების გამოცდილების ქონა.

კონტრაქტის სავარაუდო პერიოდია 5.5 თვე (მათ შორის 2თვე - პროექტირება, 0.5თვე - სატენდერო მასალის მომზადება, 3 თვე - საავტორო ზედამხედველობა).

დაინტერესებულმა ფირმებმა ინტერესის გამოხატვის მიზნით წერილობით უნდა მიმართონ პროექტის განმახორციელებელ რგოლს 2005 წლის 16 ივნისის 12 საათისათვის. ფირმის მიმართვა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ფირმის გამოცდილების შესახებ, შესაბამის დამადასტურებელ მასალას და პროექტირებაში ჩართული ძირითადი პერსონალის სრულ რეზიუმეებს. ფირმის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების მიხედვით.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, მოგვმართოთ:**
**ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა.**
**მე-5 სართული ოთახი N501**
**ტელეფონი/ფაქსი. 95-08-65, 95-52-68**
**პროექტის განმახორციელებელი რგოლის შესყიდვების სპეციალისტი ლიკა დოლიძე.**

# რა უფრო საშიშია: ქართველი ფლებოტომუსი თუ ახალი პალტო?

*ზამთარში გვეშინია გრიპის, ზაფხულში - მალარიისა თუ ლეიშმანიოზის და მთელი წლის განმავლობაში ელეთმელეთი მოგვდის ცოფის ხსენებისას. როცა თბილისში რომელიმე ავადმყოფობის შესახებ ხშირად უსაფუძვლო ხმები ვრცელდება, როგორც წესი, ეკრანზე ჩნდება პაატა იმნაძე და ჩვენს დამშვიდებას ცდილობს. ეს მისი მოვალეობაა - იგი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელია. მაგრამ "სეზონურზე" მეტად "არასეზონური" დაავადებებია საშიში, თუმცა მათი გავრცელების სიხშირეზე ადრე არავინ ლაპარაკობდა. არადა, ყველა ავადმყოფობა - ინფექციურიც და არაინფექციურიც, საშიშიც და ნაკლებად საშიშიც, ძველიც და ახალიც - გაცილებით იოლი გადასატანია, როცა მისი კონტროლი ხერხდება. ადამიანს შეუძლია, მართოს კულტურა და ამით ცხოვრება გაილამაზოს, მაგრამ ადამიანმა უნდა მართოს ავადმყოფობა და ამით სიცოცხლე გაიხანგრძლივოს.*

სოფიო თოდუა

**- რას ნიშნავს ავადმყოფობის მართვა?**

- როცა ავადმყოფობის მართვაზე ვსუბრობთ, უნდა განვასხვავოთ დაავადების კონტროლი და დაავადების პროფილაქტიკა. კონტროლი ნიშნავს, რომ პრობლემა უკვე არსებობს და ამ პრობლემის გადასაჭრელად გზა უნდა გამოინახოს. პროფილაქტიკაზე კი მაშინ ვლაპარაკობთ, როცა შეგვიძლია ესა თუ ის დაავადება თავიდან ავიცილოთ. ერთადერთი, რისი კონტროლი და პროფილაქტიკა ჯანდაცვის სისტემამ შეძლო, ეს იმუნიზაციით მართვადი დაავადებებია. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, არსებობს ვაქცინა, რომელიც მყარ გარანტიებს იძლევა. მაგრამ მედიცინაში, ისევე როგორც სხვა სფეროში, ასპროცენტიანი გარანტია არ არსებობს, ამდენად, როცა ვამბობთ, რომ ვაქცინა ეფექტურია, ეს ნიშნავს შემდეგს: თუ, მაგალითად, ასი ბავშვიდან ოთხმოცი აიცრება პროფილაქტიკის მიზნით, მათგან 70 მაინც ავად აღარ უნდა გახდეს. აქედან გამომდინარე, ჩვენი სამსახურის უმთავრესი ამოცანაა, ვიყოთ იმუნიზაციის "იდეოლოგიური" ცენტრი ფართო გაგებით. ვაქცინა არ არის ჩვეულებრივი წამალი, რომელსაც ერთხელ მიიღებ და განიკურნები. ვაქცინაცია - ეს არის უწყვეტი ჯაჭვი მწარმოებლიდან ბავშვამდე, სადაც ყველა რგოლი ერთმანეთზეა გადაბმული და უმნიშვნელო ნიუანსის დაცვაც კი აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში პროფილაქტიკა აზრს კარგავს. ეს, რაც იმუნიზაციით მართვად დაავადებებს შეეხება. არის დაავადებების მეორე დიდი ჯგუფი, რომელთა კონტროლი და პროფილაქტიკა, პრინციპში, შესაძლებელია, ოღონდ მძლავრი ინტერსექტორალური სტრუქტურების ჩართვით. საბჭოთა სტერეოტიპის თანახმად, ყველაფერი ვიღაცას უნდა ეკეთებინა. დასავლური მიდგომა სხვაგვარია - იქ წინა პლანზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი დგას, ანუ პიროვნებამ თავის თავს თავადვე უნდა მიხედოს. მაგალითად, როცა ვლაპარაკობთ თამბაქოს დაავადებების კონტროლზე, უპირველესად ვგულისხმობთ, რომ მე უარი უნდა ვთქვა მოწევაზე. "დაავადების კონტროლი" - ეს განმარტება შედარებით ახალია ჩვენთვის, ადრე ამას "დაავადებებთან ბრძოლა" ერქვა.

**- უფრო კონკრეტულად, რა შეგიძლიათ თქვენ გააკეთოთ დამოუკიდებლად და რა სხვებთან ერთად?**

- მარტივ მაგალითს მოვიხმობ. წყალდიდობების დროს მოსახლეობა უნდა გავაფრთხილოთ, რომ აუდუღარი წყლის დალევა საშიშია და ნაწლავურ დაავადებებს იწვევს. მაგრამ შესაბამისმა სამსახურებმა, ამ შემთხვევაში წყალსადენმა, მოსახლეობას სუფთა წყალი უნდა მიაწოდოს. როცა სანიტარიული ნორმები ირღვევა, როგორც წესი, შედეგები ექიმებმა უნდა ზღონ. ავიღოთ ცხოველებთან დაკავშირებული დაავადებები - იქნება ეს ცოფი, ლეიშმანიოზი თუ ჯილეხი. მუნიციპალურმა სამსახურებმა რამენაირად უნდა გადაჭრან პრობლემა, რომ ქუჩაში არ დარბოდნენ უპატრონო ძაღლები. არსებობს ვეტერინარული სამსახური, რომელმაც ადგილობრივ მმართველობასთან ერთად უნდა უზრუნველყოს ყველა პატრონიანი ცხოველის აცრა. უპატრონო ძაღლებზე გამახსენდა; ჰოლანდიაში ყოფნისას, ერთმა ჩემმა იქაურმა ნაცნობმა ამაყად მიჩვენა ძაღლი, რომელიც საქართველოდან წაუყვანია. ეს ცუგა აქ ერთი საწყალი უპატრონო ძაღლი იყო, იქ ქერის ორმოში ჩავარდა, მაგრამ "ხასიათი", როგორც ჩანს, ქართული დარჩა. ტექსელზე რომ მივდიოდით, ბორანზე ისეთი ამბავი ატეხა, სხვა ძაღლებს გასაქანი არ მისცა.

**- მაგრამ ჩვენთან თუ აცრილმა ძაღლმა დაგკბინა, ცოფზე მაინც გცრიან, რატომ?**

- იმიტომ, რომ ცოფის ცირკულაცია მთლიანად უნდა შეწყდეს, ასე რომ, ვაქცინაცია მაშინაც სავალდებულოა, როცა ცხოველი ცოფზე აცრილია. ცხადია, ამ შემთხვევაში კურსი შემცირებულია. დასავლეთში არათუ შინაურ ცხოველებს, ტყეებში ტურებსა და მგლებსაც ცრიან. შედეგიც სახეზეა: მთელ ევროპაში წელიწადში ცოფის თითო შემთხვევა გვხვდება (ისიც უმთავრესად აღმოსავლეთ ევროპაში), ჩვენთან კი დროის იმავე პერიოდში 10 შემთხვევა ფიქსირდება. ჩვენი მასშტაბების გათვალისწინებით, ეს საკმაოდ ბევრია. 10 000 მოსახლეზე საშუალოდ 500 კაცი იცრება და ჩვენც საპატიო პირველი ადგილი გვიჭირავს მსოფლიოში. სომხეთში, მაგალითად, წელიწადში მხოლოდ 700 კაცს ცრიან, მაშინ, როცა ჩვენთან დაახლოებით 22 000 კაცს უკეთდება ვაქცინა. ვეტერინარი კი არ უნდა დასდევდეს პატრონს, როგორც ეს ჩვენთან ხდება, პატრონი უნდა იყოს დაინტერესებული, შინაური ცხოველი დროულად აცრას.

**- საერთოდაც თუა შესაძლებელი, რომ რომელიმე დაავადება მთლიანად აღმოიფხვრას?**

- ყვავილი ერთადერთი დაავადებაა, რომელის მართვა ადამიანმა შეძლო. დღეს ეს დაავადება მსოფლიოში არსად გვხვდება. ახლა პოლიომიელიტის ჯერი დადგა. ამ ავადმყოფობის ბოლო შემთხვევა საქართველოში 1992 წელს აღინიშნა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიომიელიტი თავს აღარასოდეს შეგვახსენებს. ასე მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ეს დაავადება მთელ მსოფლიოში მოისპობა. სავსებით შესაძლებელია, პოლიომიელიტის მატარებელი სხვა ქვეყნიდან შემოვიდეს და ხელახლა გაჩნდეს ამ დაავადების პრობლემა. ამიტომაცაა, რომ რომელიმე კონკრეტული ავადმყოფობის ლიკვიდაცია მთელ მსოფლიოში უნდა მოხდეს. როცა აცხადებ, რომ შენს ქვეყანაში საერთოდ აღარ გვხვდება ესა თუ ის დაავადება, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ეს მართლაც ასეა. ამდენად, ჩვენი ერთი-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, ვიცოდეთ, რა ავადმყოფობებია ჩვენთან გამოვლენილი და რა მასშტაბით.

**- სანამ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი დაგერქმეოდათ, აქაურობა შავი ჭირის სადგურად მოიხსენიებოდა...**

- ასე იყო, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ შავი ჭირის პრობლემებით არ ვყოფილვართ დაკავებული. სახელის გადარქმევას ფუნქციების გაფართოებაც მოჰყვა - ახლა ჩვენ ვართ სამეცნიერო, კვლევითი, ანალიტიკური და სტატისტიკური ცენტრი. ჩვენ ვაწვდით ინფორმაციას არა მხოლოდ მოსახლეობას, არამედ სახელმწიფო ორგანოებსაც. ექიმი ავადმყოფს უყურებს, ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ, რა ხდება საზოგადოებაში. ამდენად, ჩვენ მარტო ეპიდემიოლოგიას არ ვჯერდებით და მედიცინის უკლებლივ ყველა სფეროს ვაკონტროლებთ. მაგალითად, ფსიქიატრს ჩვენ უნდა მივაწოდოთ ციფრები - ასე ვთქვათ, ზემოდან დავანახოთ, რა ხდება მის სფეროში და გავცეთ საჭირო რეკომენდაციები. რადგან ინფექციური დაავადებები უშუალოდ ჩვენი სფეროა, ინფორმაციული უზრუნველყოფის გარდა, ჩვენ თვითონვე ვცდილობთ პროგრამების შემუშავებას. ცხადია, გასათვალისწინებელია, რომ გადამდები დაავადებები დროსა და სივრცეში სწრაფად იცვლება, არაგადამდები კი პრაქტიკულად არ იცვლება. არ შეიძლება, ვთქვათ, უცებ დაიწყოს ინფარქტების ეპიდემია.

**- ინფარქტის ეპიდემია ყურს ხვდება. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ეპიდემია ჩვენთვის გადამდები სენის ფართოდ გავრცელებას ნიშნავდა. რამე შეიცვალა?**

- შეიცვალა მიდგომა. ეპიდემიოლოგიის საბჭოთა სკოლა, რომელიც, სხვათა შორის, უძლიერესი იყო, განსხვავდება დასავლურისაგან მთელი რიგი კრიტერიუმებით. დღევანდელი განმარტებით, ეპიდემია არ არის მხოლოდ იმ დაავადების ფართოდ გავრცელება, რომელიც ინფექციური გზით გადადის. მაგალითად, ახლა ვამბობთ, რომ ჩერნობილში იყო სხივური დაავადებების ეპიდემია. ასევე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ: საქართველოში გრძელდება აბორტების ეპიდემია. იმ მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, რომელიც ჩვენთან შეიქმნა, ინფექციური დაავადებები ისეთი პრობლემა აღარ არის, როგორც არაინფექციური. ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც პირველი ადგილი უკავია გულსისხლძარღვთა დაავადებებს, ამას მოჰყვება ზოგან ონკოლოგიური დაავადებები, ზოგან - ტრავმატიზმი. მახსოვს, ახალი შექმნილები ვიყავით, როცა ამერიკელებთან ერთად კონფერენცია ჩავატარეთ. ერთმა ამერიკელმა ექიმმა ასეთი მოხსენება წაიკითხა: ავიაკატასტროფების ეპიდემიოლოგია ალასკაში. ჩვენი ეპიდემიოლოგებისთვის ეს იმდენად უცხო თემა იყო, ყურებს არ ვუჯერებდით. იმ კაცს რომ მოვუსმინეთ, ყველაფერი გაირკვა - იგი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემებზე მუშაობდა. ალასკაში ავიაკატასტროფა იმიტომაა პრობლემა, რომ ერთი მეზობელი მეორისგან 200 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს და ერთმანეთთან დაფრინავენ. იქ თვითმფრინავი საზოგადოებრივი ტრანსპორტივითაა. დილით ჩამოიფრენს სკოლის თვითმფრინავი და ბავშვებს ჩამოარიგებს, მერე შუადღეს ჩამოიფრენს და სახლებში დააბრუნებს და ასე შემდეგ. ბუნებრივია, კატასტროფების რიცხვი დიდია, რაც, რასაკვირველია, ექიმის შეშფოთებას იწვევს. რაღა შორს წავიდეთ - პირველად მსოფლიოში უსაფრთხოების ღვედები ამერიკაში იმიტომ დაინერგა, რომ სწორედ ამერიკელმა ეპიდემიოლოგებმა დაადგინეს, რამდენად მცირდება ტრავმების რაოდენობა ასეთი ღვედების გამოყენების შემთხვევაში.

საქართველოში აღინიშნება იოდის ნაკლებობით გამოწვეული დაავადების ფართოდ გავრცელება, ანუ საქმე გვაქვს ეპიდემიასთან. უფრო სწორად, გვქონდა, ახლა მდგომარეობა გამოსწორდა, თუმცა ეს პრობლემა მაინც არსებობს. ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებით ერთი მინდა ვთქვა: ეპიდემიის შემთხვევაში ავტორიტარულ და ტოტალიტარულ ქვეყნებში სიტუაციის მართვა გაცილებით ადვილია, ვიდრე დემოკრატიულში. მიზეზი მარტივია - ეპიდემიის დროს ავადმყოფის იზოლაცია და კარანტინი აუცილებელია, ამის შესაძლებლობა კი ტოტალიტარულ ქვეყნებს, სადაც იოლია მოქალაქეების გადაადგილების გაკონტროლება, მეტი ძალა შესწევთ, ვიდრე დემოკრატიულ სახელმწიფოებს. მაგალითად, ატიპურ პნევმონიასთან გამკლავება ვიეტნამმა და ჩინეთმა, სადაც თავი იჩინა ამ ვირუსმა და, შესაბამისად, მასშტაბიც დიდი იყო, შედარებით იოლად შეძლო, ვიდრე კანადამ, სადაც ეს ვირუსი შეიტანეს.

**- ინფექციურ დაავადებებს რომ მივუბრუნდეთ: არის თუ არა იმის საშიშროება, რომ ჩვენს საუკუნეშიც დაემართოს ადამიანს შავი ჭირი?**

- ადამიანში შავი ჭირის ბოლო შემთხვევა საქართველოში 1924 წელს აღინიშნა. საქართველოს სამხრეთით არსებობს და ყოველთვის იარსებებს შავი ჭირის ბუნებრივი კერა. ამდენად, ეს დაავადება მღრღნელებში პერიოდულად გავრცელდება. როცა დაავადება ცხოველებში ვრცელდება, ამას ეპიზოოტია ჰქვია. ჩვენი საქმეც ესაა, არ დავუშვათ ეპიზოოტია, რომ შემდეგ იგივე დაავადება ადამიანზეც არ გავრცელდეს. რწყილს, რომელსაც გადააქვს ეს ინფექცია, ადამიანის სისხლი არ უყვარს, ის მღრღნელების სისხლით იკვებება. მაგრამ მღრღნელები თუ შემოაკლდება, ანუ ირგვლივ გაწყდება ყველა თაგვი და ვირთხა, ამ შემთხვევაში უკვე ადამიანს უკბენს და ეს ადამიანი აუცილებლად დაავადდება. ამიტომ ვაფრთხილებთ მონადირეებს, მეცხვარეებს, მოერიდონ იმ ზონებს, სადაც არის შავი ჭირის მღრღნელებში გავრცელების საშიშროება, ყოველ შემთხვევაში, ღამე ღია ცის ქვეშ ნუ დაიძინებენ. ყაზახეთში იყო ასეთი შემთხვევა, მამა-შვილი აქლემს დაეძებდა და ღამე მინდორში გაათიეს - ორივე დაავადდა. დღევანდელ პირობებში შავი ჭირი იკურნება, თუმცა უსაფრთხოების ზომების მიღება აუცილებელია.

**- დღეს უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ შავი ჭირი, რომელიც შუა საუკუნეებში მუსრს ავლებდა კაცობრიობას, შეიძლება სულაც სხვა დაავადება ყოფილიყო. არც იმას გამორიცხავენ, რომ ჩვენს პლანეტაზე ხელახლა გავრცელდეს რაღაც ამდაგვარი ავადმყოფობა.**

- შავი ჭირი კონკრეტულად ერთ დაავადებას ჰქვია, მაგრამ ჟამი, ჟამიანობა, რაც მოიხსენიება კიდეც ქართულ წყაროებში, კრებითი სახელია. სავსებით შესაძლებელია, აქ იგულისხმებოდეს საკუთრივ შავი ჭირიც და რომელიმე სხვა საშიში ინფექციური დაავადებაც - მაგალითად, ყვავილი. ისევ ბუნებრივ კერებს მინდა მივუბრუნდე. მათაც მოევლება, თუ ამ პრობლემას კომპლექსურად მივუდგებით. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ყველა ძროხა აიცრება, მაშინ ჯილეხის სპორა საშიში აღარ იქნება და ეს დაავადებაც აღარავის შეუქმნის საფრთხეს. რაც შეეხება ლეიშმანიოზს, რომელიც ცხოველიდან ადამიანზე ფლებოტომუსს გადააქვს, აქაც იგივე უნდა ითქვას - არ იქნებიან მაწანწალა ძაღლები, არც ლეიშმანიოზი გავრცელდება. ისე, რომ იცოდეთ, ფლებოტომუსის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ყველაზე გავრცელებულია ჩვენთან, თავის დროზე სიმონ კანდელაკმა აღმოაჩინა და მას ფლებოტომუსი-კანდელაკი ეწოდება. ასე რომ, მაისიდან სექტემბრამდე საქართველოში ფლებოტომუს-კანდელაკს უნდა ვერიდოთ.

**- რა ვქნათ - ძაღლები გავწყვიტოთ და მერე ეკოლოგიურ კატასტროფაზე ვილაპარაკოთ?**

- კი არ უნდა გავწყვიტოთ, უნდა ავცრათ - სულ ესაა და ეს. ევროპის ქალაქებში უპატრონო ძაღლები არ დარბიან. ბოლოს და ბოლოს, ძაღლი შინაური ცხოველია, შინაურ ცხოველს კი პატრონი ჰყავს. სადმე გინახავთ უპატრონო ძროხები?

**- როგორ არა, ინდოეთში.**

- ინდოეთი, ცნობისათვის, ცოფის მხრივ მთელ მსოფლიოში ლიდერობს, ასე რომ, ეს ქვეყანა მაგალითად არ გამოდგება. მაწანწალა ძაღლები იმ მიზეზით უნდა გადაირჩეს, რომ მათ უკვე დაკავებული აქვთ ეკოლოგიური ნიშა. ამ ნიშის შენარჩუნება აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ მათი ადგილი აუცრელმა ძაღლებმა არ დაიკავონ.

**- გველები, მორიელები?**

- "მგელი, მგელის" ძახილში შეიძლება, მართლა გამოგვეპაროს მგელი. რასაკვირველია, გიურზას ნაკბენი ძალიან საშიშია და სასწრაფო ზომების მიღება აუცილებელია. გველის ეს სახეობა აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება, აქედან გამომდინარე, საშიშროებაც არსებობს, მაგრამ ისეთ სურათს ნუ დავხატავთ, თითქოს ყოველი მეორე კაცი გიურზამ უნდა დაკბინოს. რაც შეეხება მორიელის ნაკბენს, მინდა დაგამშვიდოთ: საქართველოში მორიელის ნაკბენი არ კლავს.

**- ჩვენ შეგვიძლია, თავი დავიცვათ შიდსისგან, C-ჰეპატიტისგან, თავიდან ავიცილოთ ტუბერკულოზი, მაგრამ რა ვუყოთ გრიპის ეპიდემიებს, მით უფრო, როცა გვესმის, რომ "ახალი გრიპი" სიკვდილის მიზეზი შეიძლება გახდეს?**

- ნიღაბი გაიკეთეთ - ეს ყველაზე იოლი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე საიმედო საშუალებაა გრიპის თავიდან ასაცილებლად. არის ალბათობა, რომ უახლოეს წლებში დედამიწაზე დატრიალდება გრიპის ახალი ვირუსი. კაცის მოკვლა ყველა გრიპს შეუძლია. აქ გასათვალისწინებელია, თუ რამდენს შეეყრება ეს ვირუსი, შესაბამისად, რამდენი პაციენტის მდგომარეობა გართულდება. ჩვეულებრივ სეზონზე გრიპით 30-40 ათასი კაცი ავადდება. მაგრამ ახალი გრიპის გავრცელების შემთხვევაში დაავადდება არ ორმოცი ათასი, არამედ მოსახლეობის 30 პროცენტი იქნება. სიკვდილიანობის მაჩვენებელი გრიპის ეპიდემიის დროს ჩვეულებრივ 0,1 პროცენტია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დაავადდება ბევრი, ვთქვათ, მილიონი კაცი, ბუნებრივია, მილიონის 0,1 პროცენტი მეტი გამოვა და სიკვდილიანობის მაჩვენებელიც გაიზრდება.

**- ანუ ჩვენ საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როცა რაოდენობრივი ცვლილებები თვისობრივს არ იწვევს?**

- მთლად ასეც ვერ ვიტყვით. თვისობრივი ცვლილებები მაინც მოსალოდნელია. ვეცდები, განვმარტო: დედამიწაზე დაახლოებით 30 წელია, ძირითადად, დადის ორი სახეობის გრიპი. ეს ნიშნავს, რომ უმრავლესობას ოდესღაც ამ გრიპთან კონტაქტი ჰქონია, რომელიღაც წელს დაემართა, იმუნიტეტი გამოიმუშავა და, ამდენად, საფრთხე აღარ ემუქრება. გრიპი იმიტომაა საშიში ბავშვებისთვის და ხანდაზმულებისთვის, რომ პატარები მას არ შეხვედრიან და იმუნიტეტის გამომუშავება ვერ მოასწრეს, მოხუცებს კი იმუნუტეტი დაქვეითებული აქვთ. მოდი, ასე ვთქვათ: ეს ორი ვირუსი ყოველწლიურად იცვლის ჰალსტუხს, მაგრამ 30 წელიწადში ერთხელ პალტოსაც იცვლის. გაიხედა ჭუჭრუტანაში ჩვენმა ორგანიზმმა, ახალი ჰალსტუხი ვერ იცნო, ეს ტიპი სახლში შემოუშვა და გრიპი შეეყარა. პალტოც რომ გამოიცვალა, სულ მთლად ვერ იცნო და ... "ისპანკა" სწორედ ახალ პალტოში მოსული ვირუსი იყო. დღეს საფრთხეს ქმნის სამხრეთ აზიაში გავრცელებული ე.წ. ფრინველის გრიპი. ფრინველის გრიპი ჩვეულებრივ პირობებში ადამიანს არ ემართება, მაგრამ 50 კაცი, ვისაც უშუალო შეხება ჰქონდა ბევრ დაავადებულ ფრინველთან, მაინც დასნეულდა. დაავადებული ადამიანისაგან ეს ვირუსი მეორე ადამიანზე არ გადადის, მაგრამ ღორს ემართება ორივე - ფრინველის გრიპიც და ადამიანისაც. თუ ერთი ღორი ერთდროულად ორივე გრიპით გახდება ავად და ეს ორი ვირუსი ერთმანეთთან შეჯვარდება, ახალი ვირუსი უკვე ადამიანსაც გადაეცემა. აი, ეს არის ის ალბათობა, რაც ამ ვირუსთან დაკავშირებით კაცობრიობას ემუქრება. ლეიშმანიოზმა ტყუილუბრალოდ იმხელა პანიკა გამოიწვია, ბავშვები აღარ გაყავთ გარეთ და ნიღბების გაკეთება რაღა გახდა?

**- ესე იგი, ამ გრიპს უნდა ველოდოთ?**

- ასე ვიტყოდი: კი არ უნდა ველოდოთ, მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ შეიძლება, მოვიდეს.

**- და პროფილაქტიკური აცრებიც ჩავიტაროთ?**

- სამწუხაროდ, ამ გრიპის ვაქცინა ჯერაც არ არის, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ იმ უმძიმესი დაავადებების წინააღმდეგაც კი, რომელთა ვაქცინები არსებობს, ყველა მაინც არ იცრება. აცრებთან დაკავშირებით პრობლემები ჯერ კიდევ ჯენერის დროს დაიწყო. ეს ის ჯენერია, რომელმაც ყვავილის ვაქცინა დაამზადა. 250 წლის წინ ინგლისურ პრესაში იწერებოდა სტატიები, ბავშვები არ აცრათ, ვაქცინა ძროხისგან არის დამზადებული და ჩვენს შვილებს რქები და ჩლიქები ამოუვათო. მინდა მჯეროდეს, რომ ჩვენი საზოგადოება სხვაგვარად აზროვნებს.



პაატა იმნაძე ჩვენს დამშვიდებას ცდილობს.

## ქართული დიზაინი

### მეორე კონკურსის გამარჯვებულები

*არქიტექტორთა და დიზაინერთა ყოველწლიური კონკურსი - "ქართული დიზაინი" არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია "არსის" ინიციატივითა და სტუდია "ორისთან" თანამშრომლობით, წელს მეორედ ჩატარდა. "ქართული დიზაინის" არსი 21-ე საუკუნის ადამიანის გემოვნებასა და მოთხოვნილებებთან შეხამებაში, ქართული ტრადიციული სახლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების თანამედროვე ვარიაციების შექმნაში მდგომარეობს.*

*გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები მოიცავდა ქართული სახლის გარე თუ შიდა სივრცის ორგანიზებასა და დაგეგმარებას, ინტერიერისა და ექსტერიერის ცალკეული ელემენტისა თუ საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინს. "ქართული დიზაინი" ერთადერთი კონკურსია საქართველოში, რომელიც დიზაინის ყველა სფეროს მოიცავს.*

### კომპეტენტური ჟიური და გულუხვი სპონსორები

კონკურსის გამარჯვებულები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები.

სახლის არქიტექტურა და დიზაინი საკმაოდ ძვირადღირებული სამუშაოა. აქედან გამომდინარე, პროქტები საკმაოდ სოლიდური თანხით იყო პრიზირებული. კონკურსს უამრავი სპონსორი ჰყავდა: კომპანია "არსი", სტუდია "ორი", "თიბისი ბანკი", კომპანია "ორრი", სტუდია "ჩემი სახლი", კიდ-არქიტექტურა, საადვოკატო ბიურო "პატარაია და პარტნიორები", "ცენტრ-პოინტ ჯგუფი", საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა".

### "ქართული სახლი", "ჩუქურთმა" და "ოდა" - I ნომინაციის გამარჯვებულები

კონკურსი 3 ნომინაციაზე გამოცხადდა. თითოეული მათგანი პირველ, მეორე და მესამე პრემიებს შეიცავდა. პარალელურად, არჩევანი გააკეთა ჟურნალისტების ჟიურიმ, რომელმაც მხოლოდ ერთი გამარჯვებული დაასახელა.

I ნომინაციაში "სტრუქტურული წყობის, სივრცის ორგანიზებისა და დაგეგმარების იდეა" **I პრემია** - ნამუშევრით "ქართული სახლი" - ირაკლი კალანდარიშვილმა და ირაკლი ანდღულაძემ დაიმსახურეს. მათ 1500 ლარი "თიბისი ბანკმა" გადასცა.



**მოკლე ანოტაცია:** ნამუშევარს საფუძვლად უდევს არქეტიპი "სახლი" - სახლის განზოგადებული ფორმა და, ამავდროულად, ქართული ორნამენტული მოტივების "ნაკრები". ეს ერთგვარი "ფილტრია" ამ გარე გარსის შიგნით მოთავსებულ მოცულობასა და გარემოს შორის. აივანი გარდამავალი სივრცეა, რომელიც განსაზღვრავს ქართულ დამოკიდებულებას გარემოსადმი და ამავე დროს, ჰქმნის სახლის გარე გარსს, რაც თანამედროვე სახლის მიმართ ჩვენი დამოკიდებულების გამომხატველია: გარსი მთლიანად დამოუკიდებელია სახლის სივრცული თუ მოცულობითი მახასიათებლებისგან.

"ქართული დიზაინი" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, რაც დღეს საქართველოში ხორციელდება. კონკურსზე ისიც გამოიკვეთა, რომ ქართული ყოფითი კულტურის მიმართ ინტერესი იმ ადამიანებსაც გააჩნიათ, რომლებიც ამ სფეროს უშუალოდ არ უკავშირდებიან, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გულგრილნი არ არიან", - კონკურსის მნიშვნელობაზე მიანიშნებს "თიბისი ბანკის" იმიჯის მართვის სამსახურის უფროსი **მაია ძირკველიშვილი**.

**II პრემია** ნამუშევრისათვის "ჩუქურთმა" თორნიკე ასაბაშვილმა აიღო, რომელიც სტუდია "ორისგან" 1000 ლარით დაჯილდოვდა.




**მოკლე ანოტაცია:** ქართული ეკლესია ტრადიციულად გამოირჩეოდა დახვეწილი არქიტექტურით და ყოველთვის იმ ეპოქის თანამედროვე იყო, რომელშიც იქმნებოდა. პროექტში სიმბოლურად გამოხატულია ავტორების დამოკიდებულება, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს შეხედულება ეკლესიის არქიტექტურაზე ჩუქურთმის მეშვეობით, რომელიც ტრადიციულად ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე გეომეტრიულ ჩარჩოებშია მოქცეული და მას არ სცდება. პროექტში ნაჩვენებია ჩუქურთმის ჩარჩოებიდან გამოსვლა და სივრცეში მოძრაობა - გზის ძიება შემდგომი განვითარებისთვის.

"კონკურსის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი პროცესის აღდგენა და შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირება. ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა უზარმაზარი რეზერვია ერის განვითარებისათვის. კონკურსის მიზანი სწორედ ამ ცნობიერების ამაღლებაა ახალ თაობაში. შარშანდელთან შედარებით, წელს წარმოდგენილი ნამუშევრები პროგრესზე მეტყველებს, ეს მისასალმებელია", - აღნიშნავს სტუდია "ორის" დირექტორი, კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე **გივი მეტრეველი.**

**III პრემია** ერგო დიმიტრი შაფაქიძეს პროექტისათვის "ოდა".




**მოკლე ანოტაცია:** ერთი ძალიან ძველი ქვეყნის, ძალიან ძველი სოფლის, ძალიან ძველ ეზოში ყოველთვის იდგა, დგას და კიდევ დიდხანს იდგება ძალიან ძველი მუხა. სულ მალე მის ჩრდილში - ისევე, როგორც ძველად - დაიდგება გრძელი სკამი, ოღონდ - ახალი, მის ახლოს კი - ოდა სახლი, ოღონდ ისიც ახალი. ოდას ექნება გრძელი აივანი და დიდი, ნათელი ოთახი დიდი, ახალი მაგიდით. ოთახში - კედელთან - იქნება ტახტი, ზედ - ფარდაგი, მასზე ფილთა და ხანჯალი, ოღონდ ესენი ძველი, დიდი ბაბუის მამის...

III პრემიის სპონსორია კომპანია "ორრი", რომელსაც დიმიტრი შაფაქიძე 500 ლარით დააჯილდოვა.

*კონკურსის ორგანიზატორები: სტუდია "ორი" და კომპანია "არსი"*

სიმღერისთვის დაბადებული

B2

ჩამოვიყვანოთ ტარანტინო და ქალებს მივაწვეთ!

B4

ცაციების ფინალი

B5

ნომრის სტუმარი

# საქართველოში ადამიანები ისეთივე დიდი აქტივია, როგორც ბუნება, ლანდშაფტი, ტურიზმი...



*იუმიო აოკი*

მაია ჭალაგანიძე

*ყველაფერი ოთხი წლის წინ დაიწყო, როდესაც საქართველოს კულტურისა და ვაჭრობის ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე იუმიო აოკი საქართველოთი დაინტერესდა.*
*"აიჩი ექსპო-2005" - გამოფენა, რომელიც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება და რომელსაც წელს ტოკიო მასპინძლობს, ძველმოდურად რომ ვთქვათ, სახალხო მეურნეობის მსოფლიოს მიღწევევათა და ახლებურად - უბრალოდ, მსოფლიო გამოფენაა. წელს ამ ექსპოზიციაზე, რომელიც 11 ივნისს გაიხსნება, მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ და პატარა ქვეყანასთან ერთად საქართველოც მონაწილეობს. გამოფენაზე წარმოდგენლია ყევლაფერი - ეკონომიკა, ადამიანი, ბუნება, ხელოვნება, ეთნოგრაფია... მოკლედ, ყველა დარგი. საქართველოს ასეთი მასშტაბის გამოფენაზე დამოუკიდებლად მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს და ამ საქმეში დახმარება იაპონელებმა ითავეს. ამ ჯერზე საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს საერთო პავილიონი აქვთ. აზერაიჯანლებმა ნავთობზე გააკეთეს აქცენტი. წარმოადგინეს დიდი მილი, რომელშიც ნავთობის იმიტაცია მოედინება და ჩაედინება დიდ ვაზაში, იქიდან კი ისეთი ფერადოვნებისა და სახეობის ყვავილები ამოდის, რომელიც იკებანას ქვეყანაში არც უნახავთ. ეს ეხამება აზერბაიჯანულ ნაციონაურ ხალიჩებსა და თუნგებს.*
*სომხებთან, ცხადია, ნოეს კიდობნის თემაა წამოწეული. ეს ექსპოზიცია გვამცნობს, რომ ტრანსკავკასია სომხეთიდან იწყება და ყველაფერი, რასაც იქ დამთვალიერებელი ხედავს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ხდება. ამავე პავილიონში ნახავთ აივაზიანის (აივაზოვსკის), ფარაჯანოვისა და საროიანის ნამუშევრებს. ნახავთ აგრეთვე სომხურ საკვებ პროდუქტებსაც.*
*საქართველოს ექსპოზიციის იდეა ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლის, ბატონ საბა კიკნაძეს ეკუთვნის. ეს არის ტრადიციული ქართული სახლი დედაბოძით, აივნით და სხვა საჭირო ელემენტებით. მოსჩანს ყაზბეგის წმინდა სამების ეკლესიის ხედი, უშგულის დიდი ფოტო. იაპონელების თხოვნით, ექსპოზიციის ერთ-ერთ კუთხეში ფიროსმანის "აქტრისა მარგარიტას" ასლია, თუ რატომ, ამის შესახებ ქვემოთ წაიკითხავთ. იქვეა მაღაზია, სადაც სუვენირებიც იყიდება და კავკასიური პროდუქტებიც, მათ შორის ქართული მაწონი, თაფლი, ღვინო და წყალი. ეს გამოფენა ნებისმიერი ქვეყნისთვის უდიდესი შანსია, მსოფლიოს გააცნოს ის, რითიც მდიდარია, და რაც მსოფლიომ აქამდე არ იცის. თუმცა, ბატონი აოკის ეს კეთილშობილური იდეა საქართველოში ყველამ ერთნაირი აღფრთოვანებით არ აიტაცა. ან იმიტომ, რომ ჩვენს ჩინოვნიკებს და ბიზნესმენებს იაპონურ ბაზსარზე გასვლა წარმოუდგენლად მიაჩნიათ, ან (და უფრო სავარაუდოდ), ყოველი ახალი არჩევანი ძველი გზის და აწყობილი სქემების მიტოვებას გულისხმობს და ქართველებს რომ ახალი ნაბიჯების თამამად გადადგმა გვიმძიმს, აოკი სანმა თუ არა, ჩვენ ხომ კარგად მოგვეხსენება.*

- ამ გამოფენის ძირითადი დევიზი "ჯანმრთელი დღეგრძელობაა". ჯანმრთელი, ხანგრძლივი პროდუქტის საფუძვლად ჩვენ სამი ძირითადი პროდუქტი შევარჩიეთ - მაწონი, რომელიც იქვე იაპონიაში იწარმოება; ღვინო, რომელიც ქართველთა დღეგრძელობისა და ჯანმრთელობის ერთ-ერთი საფუძველია და რომელსაც ქართველი კაცი საუკუნეების მანძილზე აწარმოებს. მესამე პროდუქტი არის თაფლი, რომელიც განსაკუთრებული გემოთი და სურნელებით განსხვავებულია იმ თაფლისგან, რომელსაც ჩინეთი აწარმოებს და რომელიც იაპონიისთვის არის ხელმწისაწვდომი.

საქართველოსთან ჩემი ურთიერთობა დადებით მხარეებთანაც არის დაკავშირებული და და უარყოფითთანაც. ამაზე საუბარი ძალზე რთულია... თუმცა, უფრო მეტი დადებითია, ვიდრე უარყოფითი.

**- რა აირჩიეთ საქართველოს "სახედ?"**

- აუცილებელი იყო საქართველო იმით წარმოგვეჩინა, რაც იაპონიაშია ცნობილი. ამიტომ ფიროსმანის "აქტრისა მარგარიტა" შევარჩიეთ. საქმე ის არის, რომ იაპონელი მომღერალი, კატო და მისი სიმღერა "მილიონი ალისფერი ვარდი" დღეს და უკვე დიდი ხანია, უპოპულარულესი ჰიტია იაპონიაში. გვინდოდა გვეჩვენებინა ისტორია, რის გამოც ეს სიმღერა შეიქმნა. სურათის ორიგინალის ჩატანა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ გაკეთდა საკმაოდ მაღალი ხარისხის ასლი, რომელიც ექსპოზიციას ამშვენებს.

ზემოთ უარყოფითი ემოციები ვახსენე და ამის დასტურად "მილიონი ვარდის" მაგალითს მოგიყვანთ. აქ, საქართველოში მიაჩნდათ, რომ ეს რუსული სიმღერაა და ქართულ ექსპოზიციაში პიარის თვალსაზრისით გამოყენებული ვერ იქნება. ჩემი აზრით კი, არ აქვს მიშვნელობა, ვინ ასრულებს სიმღერას და ვინ დაწერა იგი. იაპონელებისთვის ეს არ არის რუსული სიმღერა, რადგან ის ლიტველმა კომპოზიტორმა დაწერა, მღერიან იაპონურად და მონათხრობია ქართველი მხატვრის სიყვარულის რომანტიკული ისტორია. მსოფლიო დონის ქართველ მხატვარს კი ამ სიმღერის საშუალებითთ გაიცნობენ. იაპონიაში არც არავინ იცის ამ სიმღერის შემსრულებელ პუგაჩოვასა და რუსებზე.

**- ახალი პროდუქციის გასვლას იაპონურ ბაზარზე რა სირთულები ახლავს?**

- მე დაგპირდით, რომ თქვენი გაზეთისთვის სვეტებს დავწერდი. სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო მხოლოდ ერთი სტატიის დაწერა მოვახერხე. სამაგიეროდ, ახლა გეტყვით, რისი დაწერაც მსურდა.

საქართველო უძველესი ქვეყანა, ქართველები კი კაცობრიობის უძველესი ერია. კარგი იქნება, თუ საქართველო ეკონომიკის მინიმუმ სტანდარტებს უზრუნველყოფს და ჩემი აქტივობით ამაში წვლილის შეტანა მინდა. აქ საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია მსოფლიოსთვის და იაპონიისთვისაც. ამის ხელშემწყობი კი უცხოური ვალუტაა. საქართველოში ასეთი შემოსავლის გამომუშავების გზა ტურიზმი და ექსპორტია. მაგრამ, ექსპორტი იაფფასიან, უხარისხო პროდუქციაზე არ უნდა გათვალოთ და ქართველები ამას არ უნდა შესწიროთ. ისეთი რამ უნდა აწარმოოთ, რასაც მაღალი ფასი ექნება, რადგან დიდი რაოდენობით პროდუქციის წარმოების საშუალება თქვენ არ გაქვთ. უნდა ღირდეს ძვირი და იყოს მცირე რაოდენობით, ჩინეთივით იაფი პროდუქციის წარმოების გზას არ უნდა დაადგეთ. ამისთვის უნდა შეიქმნას რაღაც ისეთი, როგორიც პატარა ქვეყნებს - დანიას, შვედეთს, ან შვეიცარიას აქვს და რომელთა შესახებაც მთელ მსოფლიოს მაღალი წარმოდგენა აქვს. ისინი ძვირადღირებულ ექსპორტს აწარმოებენ. შვეიცარიაში საბანკო მომსახურება, საათები, ზუსტი ჩარხები, დანებია და ეს ყველაფერი ხარისხით არის მიმზიდველი.

**- რას იტყვით ხალხზე? ქართველები ისეთივე სიმდიდრეა, როგორც თაფლი, ან ღვინო?**

- რამდენიმე წლის წინ საქართველოში ერთმა იაპონელმა იმოგზაურა. მისი გვარი ნაკამურაა და იგი პოლიტიკოსი გახდა. ამ მოგზაურობის შესახებ დაწერილ წიგნში მან თქვა, რომ საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს და ეს განსაკუთრებით, ადამიანები არიან. ნაკამურა თავის წიგნში ერთ ასეთ ისტორიას იხსენებს. მთელი დღის სიარულის შემდეგ დაღლილები და მშივრები რომელიღაც სოფელში ერთ სახლს მიადგნენ. ეზოში შეიპატიჟეს, დასხდნენ. მათთან ბავშვი მოვიდა და თავისი ნახატები აჩვენა, მერე მამამაც რაღაცაზე გაუბა საუბარი. არადა, ნაკამურას შიოდა და მაინცდამაინც არც სურათები აინტერესებდა და არც ამბები. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მამაც და შვილიც მის გართობას ცდილობდნენ იქამდე, ვიდრე დიასახლისი ვახშამს მომზადებდა. ნაკამურას შერცხვა კიდეც, ასეთი რამ რომ იფიქრა.

ეზოში მანქანა იდგა. ოჯახის უფროსი მთელი ღამე მოუსვენრად მიდი-მოდიოდა. ნაკამურამ დიასახლისს ჰკითხა, რას აკეთებსო. ქალმა აუხსნა, რომ მისი ქმარი სტუმრების მანქანას დარაჯობდა... კეთილმა მასპინძლებმა ესეც საკუთარ თავზე აიღეს.

ნაკამურას ისიც უწერია, რომ ეს სოფელი მსოფლიოში ბოლო სოფელია, სადაც ადამიანები სიკეთეს ისე აკეთებენ, სანაცვლოს არაფერს ელიანო.

ჩემი შთაბეჭდილებებიც ამას ემთხვევა. საქართველოში ადამიანები ისეთივე დიდი აქტივია, როგორც ბუნება, ლანდშაფტი, ტურიზმი და სხვა. გაქვთ დიდი რაოდენობით ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტი, აგრეთვე მაღალი დონის განათლება. საქართველოს აქვს რეალური, მატერიალური საფუძველი იმისა, რომ მაღალი იმიჯით წარსდგეს მსოფლიოს წინაშე. გჭირდებათ ლიდერი, რომელიც ამას განახორციელებს.

სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამ დადებითად განმაწყო. რა თქმა უნდა, კორუფცია ისევ არსებობს, მაგრამ ეს წარმავალია. მაგალითისთვის აეროპორტი ავიღოთ - შეუდარებლად გაადვილდა პროცედურები. გაუმჯობესებას სხვა სფეროებშიც ვხედავ. კორუფცია ახალი იდეების განვითარებას ძალიან უშლის ხელს. მნივნელოვანია, რომ სააკაშვილი მშვიდობიანად ცდილობს კონფლიქტების მოგვარებას და რუსეთთან მოლაპარაკებას. თუ იარაღზე იფიქრებთ და თქვენს ენერგიას ამისკენ მიმართავთ, ვერაფერს მიაღწევთ.

ზოგიერთი ჩინოვნიკი ახალგაზარდაა, მაგრამ დოგმატიზმი აზროვნებაში აქვს გამჯდარი. ძველი რეჟიმის დროს ხშირად მხვდებოდნენ ჩინოვნიკები, რომელთაც ვესაუბრებოდი და ვხედავდი, რომ ვერ ხვდებოდნენ, რა მინდოდა. შევხვდი ქალაქის მერს, კულტურის მინისტრს, პეტრე მამრაძეს, გია ბარამიძეს - ამ ადამიანებმა პირველ ჯერზე გადაწყვიტეს მთელი წლის დაგროვილი პრობლემები. მათ იქვე მიღეს გადაწყვეტილება და იქვე დანიშნეს პიროვნებები, რომელიც ამ პრობლემის გადაწყვეტას შეუწყობდნენ ხელს. ძველი რეჟიმის ჩინოვნიკებთან შედარებით დიდი სხვაობა დავინახე. სწორედ ასეთი პიროვნებები შეუწყობენ ხელს იმას, რომ შესაბამისი იმიჯით გამოჩნდეთ მსოფლიოში, თქვენს პროდუქციას მაღალი ფასი დაადოთ და ამით გასწიოთ კონკურენცია. ამით შეგიძლიათ უზრუნველყოთ მაღალი ხელფასები და ცხოვრების მაღალი დონე და ამაში მონაწილეობის მიღება მეც მინდა.




საქართველოში უცხოური ვალუტის შემოსვლის გზა ტურიზმი და ექსპორტია. მაგრამ, ექსპორტი იაფფასიან, უხარისხო პროდუქციაზე არ უნდა გათვალოთ და ქართველები ამას არ უნდა შესწიროთ. ისეთი რამ უნდა აწარმოოთ, რასაც მაღალი ფასი ექნება, რადგან დიდი რაოდენობით პროდუქციის წარმოების საშუალება თქვენ არ გაქვთ.



საქართველოს აქვს რეალური, მატერიალური საფუძველი იმისა, რომ მაღალი იმიჯით წარსდგეს მსოფლიოს წინაშე. გჭირდებათ ლიდერი, რომელიც ამას განახორციელებს.



გარდაიცვალა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ღვაწლმოსილი მეცნიერი, არქეოლოგი, იტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი **ლილი ღლონტი**.

იგი იყო ადრებრინჯაოს ხანის, მტკვარ-არაქსის კულტურის, ერთ-ერთი ბრწყინვალე სპეციალისტი, ავტორი არაერთი სამეცნიერო ნაშრომის. ჰქონდა ველზე მუშაობის არაჩვეულებრივი გამოცდილება. მუზეუმის არქეოლოგებთან ერთად წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლების - ქვაცხელა, შულავერი, ხრამის დიდი გორა და სხვ. - გათხრა-შესწავლაში. იყო გამორჩეული სამუზეუმო თანამშრომელი, მუზეუმის უძველესი ფონდის მცველი. დამსახურებისათვის მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. იყო კარგი ადამიანი და მეგობარი.

მისი ნათელი ხსოვნა
მუდამ დარჩება მეგობრების და კოლეგების გულში.
საქართველოს ეროვნული მუზეუმი,
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი.



# აფიშა

### კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"სუხიშვილები - 60"
საიუბილეო კონცერტები
დას: 20:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"ინსტიქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"დონ ჟუანი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 11:45; 13:30; 15:15; 17:00 სთ.

"ვარსკვლავური ომები - ეპიზოდი III"
დას: 19:00; 21:30 სთ.

**ახმეტელი**
"ვარსკვლავური ომები - ეპიზოდი III"
დას: 14:00 სთ.

"ცოდვების ქალაქი"
დას: 16:30 სთ.

"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 19:00 სთ.

**ამირანი**
"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

"მისს კონგენიალობა"
დას: 20:00; 22:15 სთ.

### გამოფენები

**ქარვასლა**
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის წარმოქმნა"
(გამოფენა ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითია; წარმოდგენილია 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

**ეროვნული გალერეა**
საიუბილეო გამოფენა
"სუხიშვილები - 60"
(საცეკვაო კოსტიუმები და ფოტოები)

**ხელოვნების მუზეუმი**
"ისლამური კოლექციები ხელოვნების მუზეუმიდან"

**TMS**
"მე ვარ რევოლუცია"
(პლაკატების გამოფენა)

**ცენტრ-პოინტ გალერეა**
გალერეა "ადამიანი და ზღვა"

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

**პრეზენტაციები**
**ლიტერატურული კაფე**
გივი ალხაზიშვილის ახალი პოეტური კრებულის პრეზენტაცია
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

### თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ "საჩუქრის" პროგრამა
**7 ივნისი**

**კინომსახიობთა თეატრი**
ე. სკრიბი
"ჭიქა წყალი, ანუ მიზეზები და შედეგები"
(წარმოადგენს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი)
რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი
დას: 19:00 სთ.
**პატარა თეატრი**
კაუნასის სახელმწიფო დრამატული თეატრი
"იუდას ღალატი"
რეჟისორი: ვალიუს ტერტელისი
დას: 19:00 სთ.

# სიმღერისთვის დაბადებული

## ევროპიდან სამშობლოში და უკან

*ამაღლებული სცენა და ტრიუმფალური თაღის მსგავსი დეკორაცია. სადირიჟორო პულტთან ზაზა აზმაიფარაშვილი და სულ მალე რუჯერო ლეონკავალოს "ჯამბაზების" პროლოგი. ასე დაიწყო 4 ივნისის კონცერტი ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში. კონცერტში მონაწილეობდა ქალბატონი მაყვალა ქასრაშვილი. როგორც აღმოჩნდა, თბილისს ის ძალიან მონატრებია.*
*მსოფლიოს საოპერო სცენებზე ათწლიანი მოგზაურობის შემდეგ ლადო ათანელი ისევ იმ სცენაზე დადგა, რომელზეც შეასრულა პირველი საოპერო როლი. იმ საღამოს ათანელმა ისევ იმ მაყურებელს უმღერა, რომელმაც ყველას დაასწრო და იგი პირველმა აღიარა.*

სოფო კილასონია

მას სურდა, რომ დრამის მსახიობი გამხდარიყო, თუმცა, მალე მიხვდა, რომ სწორედ ოპერა იყო მისი მომავალი. ლადო ათანელის შემოქმედებითი აღმასვლა წარმოუდგენელი ტემპით ვითარდებოდა. დღეს მისი სახელი უდიდეს ვარსკვლავთა შორის მოიხსენიება. ლადოს შემოქმედებას უმაღლეს შეფასებას აძლევენ მსოფლიო ვოკალური სკოლის კორიფეები. მას იწვევენ პრესტიჟულ ფესტივალებზე, საღამოებსა და სპექტაკლებზე ისეთ ცნობილ საოპერო თეატრებში, როგორებიცაა მილანის "ლა სკალა", პარიზის "ბასტილიის თეატრი", ნიუ იორკის "მეტროპოლიტენ ოპერა", ლონდონის "სამეფო თეატრი", ბერლინის "დოიჩე ოპერა" და ვენის "შტატსოპერა". გამორჩეულად ლამაზი და ძლიერი ხმის მქონე მომღერალი ერთნაირად შთამბეჭდავია როგორც საოპერო სცენაზე, ისე კამერულ კონცერტებში. მისი რეპერტუარი ბარიტონისთვის შექმნილ ყველა მნიშვნელოვან პარტიას მოიცავს, ამიტომ მას საოცნებო როლი არა აქვს, საერთოდაც, ოცნება უცხოა მისთვის. ფიქრობს, რომ წარმატების მიღწევა დიდი შრომის გარეშე შეუძლებელია. მისთვის ყველაზე ძვირფასი საკუთარი საქმე და ევროპულ სცენებზე გატარებული ბოლო ათი წელია. სიმღერის დაწყებიდან დღემდე მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა და დღესაც ასეა - პირნათელი იყოს საკუთარი ხელოვნებისა და საკუთარი თავის წინაშე.

ათმა წელიწადმა თავბრუდამხვევი წარმატებები მოუტანა ქართველ ბარიტონს. ყველაფერი კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დაიწყო. მისი დებიუტი 1989 წელს შედგა. აღიარების პირველი სიტყვები და პირველი "ბალ-მასკარადი", სპექტაკლი, რომელსაც ვერც თავად მომღერალი და ვერც ოპერის მოყვარული თბილისი ვერ ივიწყებს. წარმატებას სამშობლოში მალე საერთაშორისო აღიარებაც მოჰყვა. ლადო ათანელი სამი საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელი და პირველი პრემიის ლაურეატი გახდა (ესპანეთი, ბარსელონა - 1989, გერმანია, კიოლნი - 1996, ავსტრია, ვენა - 1996).

"საცხოვრებლად, ევროპის ქვეყნებს შორის, პრიორიტეტი გერმანიას მივანიჭე" - ამბობს ლადო ათანელი ერთ-ერთ ინტერვიუში. გერმანიაში იწყება ათანელის ცხოვრების დაძაბული, რთული და საინტერესო ათწლეული. სწორედ ის ათი წელი, როცა ქართველმა ბარიტონმა უმაღლეს შემოქმედებით მწვერვალებს მიაღწია. ეს კი იოლი არ ყოფილა. უდიდეს ნიჭთან და შრომისმოყვარეობასთან ერთად, მას ღვთის წყალობაც სდევდა თან, რის მთავარ ნიშნადაც მომღერალი თავის მეუღლეს, კონცერტმაისტერსა და მთავარ მრჩეველს მანანა ჩიქოვანს მიიჩნევს: "მანანა კონცერტმაისტერად მუშაობდა კონსერვატორიაში და როგორც კი დავინახე, მაშინვე შემიყვარდა. ის ძალზე მგრძნობიარე ხელოვანია და ძალიან კრიტიკულია ჩემ მიმართ. ეს კი ჩემი გამარჯვების საწინდარია."

გამარჯვება კი არაერთი იყო მის შემოქმედებით გზაზე. 1997 წელს მილანის "ლა სკალაში" მისი პირველი გამოსვლის შესახებ მისი მაესტრო, ბატონი ნოდარ ანდღულაძე წერდა: "ლადოს დებიუტი ვერდის ოპერაში "მაკბეტი", სადაც იგი მაკბეტის პარტიას ასრულებდა, 1997 წლის 28 დეკემბერს მრავალმხრივ გამორჩეული მოვლენა იყო; უწინარეს ყოვლისა, იმით რომ "ლა სკალას" სცენაზე მთავარ პარტიაში პირველად გამოვიდა ქართველი მომღერალი.

დიდი ხანია, ცნობილია "ლა სკალას" გუნდის ჟღერადობის სრულიად განსაკუთრებული ხარისხი - ტემბრალური სიმდიდრე და ერთგვაროვნება, მოქნილი ფრაზირება, დინამიკური ნიუანსების მართლაც გასაოცარი მრავალფეროვნება, ტონის კეთილშობილება, ორგანულობა, სუნთქვის ამოუწურაობა და ზემოქმედების გამაოგნებელი ძალა.



ლადოს ხმის ჟღერადობა ისეთივე ხარისხისა და ისეთივე მშვენიერი იყო, როგორითაც ჟღერდა "ლა სკალას" სახელგანთქმული გუნდი. ლადოს დებიუტს "ლა სკალაში" ტრიუმფალური წარმატება ხვდა წილად. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო "ლა სკალას ქანდარის მეგობრების" შეფასება. ისინი ხომ სოლისტებისთვის ყველაზე "სახიფათო" მსმენელად ითვლებიან. მათ მადლობა გადამიხადეს ლადოსთვის და განსაკუთრებით აღნიშნეს ის გარემოება, რომ ქართველი მომღერალი დიდი ოსტატობით ფლობს პიანოს.

ჩემი მხრივ, დავუმატებდი, რომ ლადოს შემოქმედებითი არსის მთავარი დამახასიათებელი თვისება მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ნოვატორულ ძიებებთან შედუღაბებაა. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ამის მხილველთათვის კი უდიდესი ბედნიერება. ლადოს მოაქვს ეს ბედნიერება."

ნამდვილად ვერდისეული ბარიტონის შემოქმედებაში ყველა დაძლეული სირთულე უკან დარჩა. პირველად შესრულებული იაგო, მაკბეტი, სკარპიო, ამონასრო, ალფიო და სხვები - წარსულია. უკვე განვლილი ეტაპია დებიუტები მსოფლიოს პირველ საოპერო სცენებზე, პირველი კომპაქტ-დისკების გამოშვება, პარტნიორობა სტაჟიან ვარსკვლავებთან, მუშაობა საოპერო რეჟისურის მეტრებთან. ლადო ათანელი უკვე ყველა მათგანმა აღიარა. ერთიმეორეს მოსდევს ჟურნალები, რომელთა გარეკანზე ქართველი, თუმცა, უკვე მსოფლიო ავანსცენაზე გამოსული ბარიტონი, ათანელი იმზირება. ხუთი-ექვსი წლით ადრე იგეგმება მისი ცხოვრების განრიგი, არ წყდება მიწვევები და საინტერესო პროექტები. წარმატების ათი წელი და ოცდახუთი წარმატებული პარტია განსაკუთრებული არტისტიზმის მქონე ვოკალისტისთვის მხოლოდ პირველი ეტაპია. ათანელი ევროპას უბრუნდება, "საკუთარ ხელოვნებას არასდროს ღალატობს" და წინ მიდის, ახალ სიმაღლეებზე ასასვლელად და ისევ ზღვა ოვაციის მისაღებად.

"ადამიანი შეიქმნა სიმღერისთვის. სიმღერამ შექმნა ადამიანი" - ნოდარ ანდღულაძის ეს სიტყვები დღეს არავის ისე არ შეშვენის, როგორც "ოქროს ყელისა და ხმის მქონე" ქართველ ბარიტონს ლადო ათანელს.

# ემოციური გამოხმაურება ხარისხიან მუსიკასთან დაკავშირებით

ივა მინდაძე

ჯგუფ "33 ა-ს" "ახალი ალბომის" გამოსვლა კარგი საბაბია იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ ვილაპარაკოთ თანამედროვე ქართულ მუსიკაზე. ნუ მიწყენს ქართული ესტრადის თანავარსკვლავედი, მაგრამ დიდი უმრავლესობა იმისი, რასაც ტელევიზიით ან კონცერტებზე ვისმენთ, არაფრად ვარგა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მამა დაბადების დღეზე შვილს კლიპის ჩაწერას ჩუქნის და გახარებული შვილიც მღერის ისე, როგორც შეუძლია, ან უპრიანი იქნებოდა გვეთქვა - ისე, როგორც არ შეუძლია. ცხადია, ყველგან და ყოველთვის მდარე ან საშუალო ხარისხის ხელოვნება უფრო დიდი რაოდენობით გვხდება, ვიდრე მაღალი დონის შემოქმედება, მაგრამ ვშიშობ, მსმენელთა (თუ მკითხველთა) ნაწილი დამეთანხმება, რომ უხარისხო სიმღერების მოცულობამ ჩვენში ყველა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა. თუნდაც ამიტომ, ხომ არ ღირს დავფიქრდეთ, თუ რა არის კარგი სიმღერა?

ტრივიალურია, მაგრამ სიმღერა ტექსტისა და მუსიკის სინთეზს წარმოადგენს, რასაც საშემსრულებლო ხელოვნება - პრეზენტაციაც - ემატება. სამწუხაროდ, ჩვენში სიმღერების შექმნისას ამ კომპონენტთა ხარისხს, როგორც წესი, სათანადო ყურადღება არ ექცევა. ჩემი აზრით, "ახალი ალბომი" ბედნიერი გამონაკლისია.

"ახალ ალბომში" შესულია 11 კომპოზიცია, რომელთა უმეტესობა მსმენელისთვის სიახლეა. გამორჩეულად განსხვავებული შესრულების გამო კარგად ნაცნობი სიმღერაც კი - "თბილოსო, მზის და ვარდების მხარეო", სრულიად ახალ და ორიგინალურ ნაწარმოებად მოგვევლინა. მართლაც, ამ სიმღერის შესრულება კარგი მაგალითია იმისა, რასაც ხარისხიანი საშემსრულებლო ხელოვნება შეიძლება ვუწოდოთ. მხოლოდ ხმის აწეულობისა და ტემბრის ვარირების შედეგად შესაძლებელი გახდა სიმღერაში აქცენტების ისე გადანაცვლება, რომ მსმენელს ახალი ქალაქი წარმოუდგება თვალწინ, სადაც "არ იმღერო, ძნელია". ძველი და თანაც კარგი სიმღერის ხელახლა შესრულებას დიდი გამბედაობა სჭირდება, მაგრამ, გამბედაობის გარდა, დიდი ნიჭია საჭირო იმისთვის, რომ ახალმა შესრულებამ ახალი სიცოცხლე მისცეს სიმღერას. ვფიქრობ, "თბილისოს" ნატიფმა შესრულებამ ეს მოახერხა. "33 ა"-მ მეტიც შეძლო - სიმღერა "გალაკტიონში" გალაკტიონის ხმის ჩანაწერი და მუსიკა ისე შეუთავსა ერთმანეთს, რომ შეიქმნა საოცარი განცდა, თითქოს სწორედ ამ მუსიკისთვის დაწერა გალაკტიონმა "მთაწმინდის მთვარე".

საბედნიეროდ, არ არსებობს მზა რეცეპტი კარგი სიმღერის ან ზოგადად ხელოვნების კარგი ნაწარმოების შესაქმნელად. ტოლსტოი იხსენებს ასეთ შემთხვევას: მოსწავლეების ეტიუდების შესწორებისას ბრიულოვმა რამდენიმე შტრიხით გააცოცხლა მანამდე "მკვდარი" ნახატი. ერთ-ერთ მოსწავლეს უთქვამს ბრიულოვისთვის, "ოდნავ შეეხეთ და ყველაფერი შეიცვალაო", რაზეც ბრიულოვმა მიუგო: "ხელოვნება იწყება იქ, სადაც იწყება ეს "ოდნავ" (Искусство начинается там, где начинается чуть-чуть). ჩემი აზრით, ეს "ოდნავ" ავტორის გემოვნებაში ძევს, სულ ერთია, მხატვარი იქნება ეს ავტორი თუ კომპოზიტორი. "33 ა"-ს სიმღერების წარმატების საიდუმლოც სწორედ ჯგუფის დახვეწილ გემოვნებაშია საძებნი. და კიდევ გაწეულ შრომაში, რადგან ცოტაა ისეთი ჯგუფი, რომელიც ასე გულდასმით ამუშავებს თითოეულ ბგერას, თითოეულ სიტყვას.

ჯგუფ "33 ა"-ს გამოარჩევს არა მხოლოდ სიმღერების განსაკუთრებული მელოდიურობა, არამედ ტექსტების ორიგინალურობაც. ორიგინალურია ტექსტი,




რომელიც მოულოდნელ, მაგრამ იმავდროულად ზუსტ, შინაგანი ლოგიკით გამართლებულ შედარებას ან ახალ ხატს, ახალ ხედვას შემოგვთავაზებს. კარგი შედარებაა, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს ვერ სცილდება, "როგორც მდინარე, თავს რომ ვერ ანებებს ზღვას". ორიგინალურია ტექსტი, რომელიც ნაცნობ თემებს, გრძნობებს ახლებურად, განსხვავებულად, გაცვეთილი ფრაზებისა თუ სიმბოლოების გარეშე წარმოგვიდგენს. სხვათა შორის, ეს ის საკითხია, რომელიც განსაკუთრებით მაღიზიანებს თანამედროვე ქართულ ესტრადაზე, რადგან მომღერალთა დიდი უმრავლესობა, მაგალითად, სიყვარულის გამოსახატავად სხვა სიტყვებს ვერ პოულობს, გარდა "მიყვარხარ", "მე შენ მიყვარხარ", "მინდიხარ", "ვიცი, რომ შენც გინდივარ"... არადა, ხელოვნება სწორედ ისაა, რომ სათქმელი შეფარვით, ხოლო ნაცნობი ახლებურად თქვას. ფორმანის ფილმი "თმა" იმიტომ არის განსაკუთრებით დასაფასებელი, რომ ვიეტნამის ომის თემაზე შექმნილ ამ ფილმში ერთი გასროლაც კი არ არის, თუმცა, მიუხედავად ამისა, მკაფიოდ ჩანს ომის საშინელება.

"ახალი ალბომი" სიყვარულზე და სიყვარულით დაწერილი ალბომია. სიყვარული და სიცოცხლე გაიგივებულია. უსიყვარულოდ ცხოვრება არ არსებობს. ამიტომ ბუნებრივია, რომ როდესაც "გზა დავინახე, ლექსად ვაქციე". ლექსი კი ერთია, რადგან მისი თემაც მუდამ ერთია: "ისევ შენ და მე". თუმცა, "შენ" არის არა მხოლოდ "ის", არამედ მეგობარიც, სამშობლოც და მთელი სამყაროც, რადგან "ერთი გვაქვს ცა და ერთი გვაქვს სიტყვა". უკანასკნელ დროს უადგილო და ზედმეტი ხმარებისგან გაცვდა სიტყვა ტოლერანტობა. "33 ა" არ "ლაპარაკობს" ტოლერანტობაზე, ის, უბრალოდ, ტოლერანტია და ეს სიმღერებშიც აირეკლება; არა იმიტომ, რომ სიმღერების ნაწილი ფრანგულ ენაზე სრულდება, არამედ იმიტომ, რომ ეს არის ის სულისკვეთება, რომლის გარეშე შეუძლებელია გიყვარდეს, "უბრალოდ, გიყვარდეს". მიწევს ვაჟა-ფშაველას გამეორება, მაგრამ ასეთი სიყვარულის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი პატრიოტიზმიც.

ცხადია, ორიგინალური შეიძლება იყოს არა მხოლოდ ტექსტი, არამედ მუსიკაც. "33 ა"-ს მუსიკა წარმოადგენს ხმების, მოტივების, ინსტრუმენტების ისეთ შეხამებას, რომლის შედეგად იქმნება სრულიად ახალი - არ მოვერიდები ამ სიტყვას - სიმფონია, რომელსაც საკუთარი, ორიგინალური, სხვებისგან განსხვავებული სახე აქვს. საერთო ფონზე შედარებით სუსტ სიმღერად მომეჩვენა "ёще раз", შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ ის "ოდნავი" არასტანდარტულობა აკლდა, რომელიც ახასიათებს "ახალ ალბომს". მინდა "33 ა"-ს მუსიკას "მეტყველი მუსიკა" ვუწოდო, რადგან ყოველი ნოტი, ყოველი ბგერა მრავლისმთქმელი და დამაფიქრებელია. ფანდურის პასაჟი ისევე დატვირთულია "ტექსტით", როგორც სხვა ნებისმიერი სიმღერა. ხოლო "ახალი ალბომი" არ არის სასხვათაშორისოდ მოსასმენი მუსიკა. ეს არის სერიოზული, მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული, ერთი სულისკვეთებით შეკრული ნაწარმოები, რომელიც ყურადღებით (უკეთესია - გულისყურით) მოსმენას მოითხოვს.

# სხეულის შემეცნება

ნია ნუცუბიძე

თბილისის კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზისთვის დამახასიათებელი საინტერესო მოვლენები თუ კონცერტები ტრადიციული გახდა. რამდენიმე დღის წინ დიდ დარბაზში ჩატარებული კონცერტი ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების კამერული ორკესტრის - "თბილისი კონცერტინოსა" (დირიჟორი გიორგი შილაკაძე) და ცნობილ პიანისტ ეთერ ჯაყელის მონაწილეობით ამის ნათელი დადასტურება გახდა.

კონცერტის სპონსორი გახლდათ შვეიცარიული ფონდი RAUM FUR KULTUR, ხოლო მუსიკოსებმა შეასრულეს ბახის ექვსხმიანი რიჩერკარი "მუსიკალური მიძღვნიდან", ბეთჰოვენის სიმებიანი კვარტეტი დო მინორი, თხზ. 18, №4 და მოცარტის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის რე მინორი.

**ეთერ ჯაყელი** 80 წლის წინ პარიზში დაიბადა. 1948 წელს დაამთავრა პარიზის ეროვნული კონსერვატორია და იმავე წელს პირველი პრემია დაიმსახურა. წარმატებული კარიერის მიუხედავად, შემოქმედებისთვის თანმდევი უკმარისობის განცდა აიძულებდა, მუდმივად ძიების პროცესში ყოფილიყო. ეთერ ჯაყელისთვის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გარდატეხა მოხდა, როდესაც იგი სრულიად შემთხვევით ბელგიის სამეფო კონსერვატორიის პროფესორს, ელისაბედ დედოფლის კონკურსის ჟიურის მუდმივ წევრს ედუარდო დელ პუეიოს შეხვდა. იგი დაინტერესდა ეთერ ჯაყელის შემოქმედებით და ლისტის მოწაფის მარი ჟაელის სწავლებას აზიარა.

სანამ განვსაზღვრავდეთ, რას ნიშნავს ეს მეთოდი და რაში მდგომარეობს მისი განსაკუთრებულობა, ცოტა რამ თვად მარი ჟაელის შესახებ.

"პიანისტის თითები და ფილოსოფოსის ტვინი" - ასეთი ეპითეტით შეამკო ფერენც ლისტმა თავისი მოწაფე და მეგობარი მარი ჟაელ-ტროტმანი, რომელიც მე-19 საუკუნეში პოპულარული პიანისტი და კომპოზიტორი გახლდათ. იგი, იმავდროულად, ვირტუოზი პიანისტის და ლისტის მეგობრის ალფრედ ჟაელის მეუღლე იყო.

მარი ჟაელის ევროპის დიდი ქალაქების: ბერნის, ჟენევის, ლოზანას, ჰაიდელბერგის, კარლსრუეს და ლონდონის სცენები ჰქონდა დაპყრობილი. ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსი მასზე წერდა: "მან სიახლის ნაწილი შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში. მისი ინდივიდუალური ბუნება, დაკვრის უმაღლესი მექანიზმი, კარგი სტილი, დელიკატური ნიუანსები, ხელშეუხებელი სიწმინდე, დახვეწილი გემოვნება, ელეგანტურობა აუდიტორიას აღაფრთოვანებს".



მარი ჟაელის დაკვრის მანერას, აზროვნებასა და სტილს მაშინ მუსიკაში ნოვატორობა ერქვა (შეიძლება ითქვას, დღესაც ნოვატორული და მიუწვდომელიცაა).

აღმოაჩინო დამალული რესურსები, ხელის ფიზიოლოგიის შესწავლა, ზუსტად აღადგინო ის, რაც ამა თუ იმ კომპოზიტორმა თავის ნაწარმოებში ჩადო, მუსიკის სუნის, გნებავთ, ფერის შეგრძნება, მუსიკა და ფსიქოფიზიოლოგია. შეხების მექანიზმი, რიტმი არტისტულ მოძრაობაში, სხეულის ახლებური შემეცნება - აი, ამას ეყრდნობა მარი ჟაელის თეორია, რომელსაც ეთერ ჯაყელის გარდა თავისი თანამედროვენი ჰყავდა მიმდევრებად. მაგალითად, ცნობილი პიანისტები: ელიზაბეტ კალანი, ალფრედ კოლტი, ლუტა ნუნებერგი, ედუარდო დელ პუეიო და სხვანი. თუმცა, მაშინაც არ იყო ადვილი ნოვატორობა და ჟაელსაც გამოუჩნდნენ ოპოზიციონერები.

იმისთვის, რომ ამ მეთოდს ბოლომდე ჩაწვდე, მხოლოდ კარგი ტექნიკა ან მუსიკალური ნიჭი არ კმარა, სხეულის და აზროვნების ურთიერთშერწყმისა და ურთიერთგაგების მიღწევაა საჭირო, რაც ეთერ ჯაყელმა უდავოდ შეძლო. ჩემთვის ამის დასტური მის მიერ დაკრული მოცარტის კონცერტი გახლდათ, ხოლო ფრანგებს უფრო ხშირად აქვთ ამის ბედნიერება.

წლების განმავლობაში ეთერ ჯაყელი ფრანგულ კამერულ ტრიოსთან Paskier-სთან თანამშრომლობდა. 1996 წლის 22 ოქტომბერს, მარი ჟაელის 150 წლისთავის აღსანიშნავ კონცერტზე, რომელიც პარიზის LIBAN-ის ეკლესიაში გაიმართა, მან შოპენის ნაწარმოებები და მორის რაველის "ღამის გასპარი" შეასრულა.

მარი ჟაელის თქმით, მუსიკა ყველაზე ამაღლებულია ენათა შორის. სწორედ ამ ამაღლებულ ხელოვნებას ემსახურება ეთერ ჯაყელი, რომლის შესრულებით კლოდ დებიუსის 24 პრელუდია კომპაქტ-დისკზე გამოიცა 1995 წელს. დისკზე წარწერაა: "კლოდ დებიუსის 24 პრელუდიით ეთერ ჯაყელი გვეპატიჟება ბგერათა სამყაროს აღსაქმელად"...

იმასაც აღვნიშნავთ, რომ ეთერ ჯაყელი კონცერტებს და მასტერკლასებს საფრანგეთსა და შვეიცარიაში დღემდე ატარებს. მისი მოწაფეა ცნობილი პიანისტი ირაკლი ავალიანი, ხოლო 5 ივლისს ეთერ ჯაყელს სტრასბურგში ელიან მასტერკლასის მოსასმენად.

რაც შეეხება "თბილისის კონცერტინოს", რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი შავლეგ შილაკაძე გახლავთ, ხოლო დირიჟორი - მისი ვაჟი გიორგი შილაკაძე, დიდი ტრადიციების მქონეა, თუმცა, პრობლემებიც აქვთ. შემოქმედებით კრიზისს კი ნამდვილად არ განიცდიან. ორკესტრს შესაბამისი პირობების შექმნა და დახმარება სჭირდება, რის შედეგადაც მათი შემოქმედების რეალიზება სრულყოფილად მოხდება. ამჟამად ორკესტრის დახმარება შვეიცარიულმა ფონდმა იკისრა. სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზის ამოქმედებით კი ორკესტრის პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

"თბილისის კონცერტინოსთან" ერთად ეთერ ჯაყელის გამოსვლაც შემთხვევითი არ გახლავთ. ორკესტრი და სოლისტი ერთმანეთს უნდა ავსებდეს, რაც ნათლად გამოიხატა მოცარტის სონატის შესრულებისას. მსმენელი კი მუსიკის ენის სრულყოფილებით დატკბა.

# ვინ აცმევს რომის პაპს

როდესაც საქმე ეხება ახალი პაპის არჩევას, ყველა გზას რომში მივყავართ, რომში კი - ვატიკანში, ვია დელ სესტარის ქუჩაზე. რატომ ვატიკანში - გასაგებია. იქ წმინდა პეტრეს ტაძრის სიქსტის კაპელაში კარდინალები ირჩევენ პაპს. მაგრამ რა შუაშია რაღაც ვია დელ სესტარი, და მთელი ვიაც კი არა, არამედ მხოლოდ მის ბოლოში მდებარე პატარა სკვერი?

და აი, რა შუაშია.

ვია დელ სესტარს რომის კათოლიკური ეკლესიის მედისონ ავენიუს ეძახიან. მის ბოლოში, პატარა სკვერში მდებარეობს მაღაზია Gammarelli Ecclesiastical Tailoring. ახლა გასაგებია? ისევ არა? მაშინ კიდევ წინ წავიწიოთ. მაღაზიის მფლობელი - 63 წლის მკერავი ფილიპო გამარელია. მისი წინაპრები, დაწყებული 1798 წლიდან, რომის პაპებს უკერავდნენ, თვითონ კი აწ გარდაცვლილი პაპის იოანე-პავლე II-ის კარის მკერავი იყო და ამ სამსახურში ალბათ ახალ პაპთანაც დარჩება.

ფილიპოს, რა თქმა უნდა, ჰყავს მეტოქეებიც და მოშურნეებიც. მკერავებისთვის, როგორც ყველა სხვა პროფესიის ხალხისთვის, არაფერი ადამიანური უცხო არ არის. მაგრამ შეეჯიბრო გამარელის - თითქმის უიმედოა. ყველა კარდინალი, რომელთაც მოუქნელი სიტყვით "პაპაბელურით" მოიხსენიებენ, ანუ რომელთაც შეუძლიათ გახდნენ პაპი და რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია, ფილიპოს კლიენტები არიან. პაპის გასვენებასა და ახალი პაპის არჩევნებზე ჩამოსვლისთანავე ისინი ვია დელ სესტარიზე ფილიპოსთან გაეშურენ. ვინ იცის?..

ფილიპო გამარელის თუ დავუჯერებთ, კარდინალები სტილიაგები არ არიან. დიზაინერული სუტანები მათ არ აინტერესებთ. ის გარემოება, რომ იტალია და მისი დედაქალაქი მსოფლიო მოდის ეპიცენტრია, მათზე გავლენას არ ახდენს. ვატიკანი მოდასთან ფრთხილადაა. ის მოდის ცვლილებებს საუკუნეებით ზომავს. ისეთი ცნებები, როგორიცაა გრიგორიანული კალენდრის მიხედვით საგაზაფხულო, ზამთრის და ა.შ. მოდა, მისთვის ისევე უცხოა, როგორც ერეტიკოსობა.



- ვატიკანში სტილი სულ ერთი და იგივეა, - ამბობს ფილიპო დაუფარავი სინანულით.

უფრო მეტიც, ახლა საეკლესიო იერარქია სულ უფრო გადავარდა მინიმალიზმში, შეწირა რა მისი ჩაცმულობის წარსული ექსტრავაგანტურობა თავისი მრევლის სიღარიბეს და ამით ნემსისა და მაკრატლის ოსტატებს არ დაუტოვა თავისი ხელოვნების გამოვლენის საშუალება, როგორც ეს პაპი პია VI-ის დროს იყო. მაშინ კარდინალები ატარებდნენ სუტანებს მოქარგული სახელოებით და ბეწვით მორთულ თავსაბურავებს. სუტანები იკერებოდა მოოქროვილი აბრეშუმისა და ფარჩისგან. ვატიკანის მეორე კრების და მასზე მიღებული რეფორმების შემდეგ (XX საუკუნის 60-იანი წლები) მოდაში შემოვიდა სისადავე, ყოველ შემთხვევაში, იერარქების გარეგნული მხარის. გაქრა სიასამური და თავსატეხი ნაქარგები. "ადრე ჩვენ უკეთესად ვცხოვრობდით, სამუშაო მეტი იყო", - აღშფოთებას ვერ მალავს გამარელი.

Gammarelli Ecclesiastical Tailoring ამის ნათელი მაგალითია. იმ დროს, როდესაც ფილიპოს მეთაურობით მკერავები ჭრიან და კერავენ "მინიმალისტურ" სუტანებს მაღაზიის პირველ სართულზე, მეორე სართულზე, სადაც მოსაზომი ადგილებია განლაგებული და სადაც პია XI-ის ზეთში შესრულებული პორტრეტით დამშვენებულ ხის კიბეს ავყავართ, გამოფენილია ძველი დიდების და ბრწყინვალების "ნამსხვრევები" - მინის ყუთებში დატყვევებული გამარელის თერძთა დინასტიის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები - მეწამულისფერი ანაფორები ოქროსა და ვერცხლის ჯვრებით. აქვე 24 ხის თაროზე გამოფენილია საუკეთესო იტალიური შალის ნიმუშები: მღვდელებისთვის - შავი, ეპისკოპოსებისთვის - იისფერი, კარდინალებისთვის - წითელი, თეოლოგ პროფესორებისთვის - ტვიდის და ფლანელის...

# ფრაგმენტები ძველი თბილისის ცხოვრებიდან

"მე თბილისი მიყვარს!..

ნინო სტავრიდი

*მე მხოლოდ სიყვარულით*
*დავიგემოვნე ქალაქის*
*ქართული პოეზიის სინოყივე,*
*რომელიც ნელ-ნელა*
*დავიწყებას ეძლევა და*
*რომელმაც არაერთი პოეტის*
*შთაგონება აამღელვარა...*
*მე თბილისი მიყვარს. მიყვარს*
*ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს*
*დარდიმანდული ბოჰემა,*
*დასაწყისი და დასასრული*
*ჩემი არსებობისა."*

*იოსებ გრიშაშვილი*

თბილისის მეხოტბე მგოსნის, იოსებ გრიშაშვილის განცდას ახლა მხოლოდ თბილისის ფოტომემატიანეთა ალბომებით თუ შევიგრძნობთ.

ძველი თბილისის განუმეორებელ იერსახეს სწორედ ეს კლდეზე მერცხლის ბუდესავით მიკრული ბანიანი სახლები, ვიწრო ქუჩებზე ჩამწკრივებული დუქან-სახელოსნოები და ხმაურიანი ბაზრები ქმნიდნენ. მეიდანთან - დედაქალაქის ყველაზე ხმაურიან და ჭრელ უბანში, დიდი აბრეშუმის გზა გადიოდა, რომელზეც სავაჭრო საქონლით დატვირთული სოვდაგართა აქლემების ქარავნები აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიემართებოდნენ... სწორედ აქ იყრიდა თავს მრავალი ერის, აღმსარებლობის ადამიანი, რომელთა ერთი ნაწილი თბილისში სამუდამოდ დამკვიდრდა.

შუა ბაზარში, ხელოსანთა უბანში, დაღამებამდე არ წყდებოდა მისვლა-მოსვლა და ფუსფუსი, მერე კი ძველ თბილისში, ამ "ღია ცის ქვეშ არსებულ თეატრში", გვიანობამდე გრძელდებოდა სიმღერა თუ სხვადასხვა კონცერტი. ძველ თბილისში მღეროდნენ ყველგან - ქუჩებსა თუ ბაღებში, დუქნებსა თუ სარდაფებში.

თბილისის მოსახლეობა ერთი დიდი მოზაიკა იყო. ქართველების გარდა აქ ცხოვრობდნენ სომეხი, რუსი, თათარი, სპარსი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, არაბი... ერთი სიტყვით, სხვადასხვა ერის შვილები, მაგრამ ყველა ერთად - თბილისელები. მხოლოდ ამ ქალაქისათვის დამახასიათებელი სულისკვეთებითა და წეს-ჩვეულებებით. ოვანეს თუმანიანი წერდა: "რადგან ქართული სული იყო ამ ხალხთა ტონის მომცემი, ამიტომ ძველი თბილისი ერთმანეთისათვის უცხო ელემენტთა ეთნოგრაფიულ კრებულს კი არ წარმოადგენდა, არამედ ერთ დიდ საქორწილო სუფრას ჰგავდა, სადაც კავკასიის ხალხები და ტომები ნადიმზე იყვნენ მიწვეული".

სიმღერასთან ერთად ძველ ქალაქში დიდი სიყვარულით სარგებლობდა ხალხური სამუსიკო საკრავები - თარი, სალამური, ჭიანური, ჩონგური, დაფდაფი. საქართველოში თარი, საზი და ქამანჩა (ჭიანურის მსგავსი) სპარსეთიდან შემოსულა, არაბეთიდან - დაფდაფი, ზურნა და დუდუკი, ინდოეთიდან კი - ნაღარა, მაგრამ



დროთა განმავლობაში აზიურ საკრავებს ნაწილობრივ დაუკარგავთ კიდეც პირვანდელი სახე და თბილისური რითმი და ხასიათი შეუძენიათ. ამ საკრავებზე თბილისში სრულიად განსხვავებული მრავალნაირი სასიამოვნო ჰანგი სრულდებოდა.- მგოსან-აშუღები ბაიათსა და მუღამათს მღეროდნენ ყველგან - აზერბაიჯანში, სომხეთში, მთელ აღმოსავლეთში, მაგრამ თბილისში...

თბილისური კოლორიტით დამუშავებული მუღამათი სულ სხვა იყო. მუხამბაზი თბილისში იშვა და მხოლოდ აქ იმღერებოდა. მომღერლები და მუსიკოსები გაერთიანებული ყოფილან სხვადასხვა ამქარში, რომლებსაც თავ-თავისი უსტაბაში ჰყავდათ. თბილისში არასოდეს ყოფილა მთავარი, სადაური იყო მგოსან-მომღერალი - სპარსი თუ არაბი, ინდოელი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი, იყო საყვარელი ჰანგები და ქალაქური ფოლკლორის ვირტუოზები - საიათნოვა, ჰაზირა, დიდი ბაგრატა, იეთიმ-გურჯი, გეორქა შულავერელი, სათარა, ანტონ განჯისკარელი, მეზურნეების ბოლო უსტაბაში - დათა ზუბიაშვილი, რომელიც რუსეთის იმპერატორს რუსეთში მიუწვევია თავისი დასტით. თარი, საზი, ჭიანური, სამძალი თუ სოინარი - ძველი თბილისის კოლორიტული სამუსიკო საკრავები - თბილისის ქუჩა-ბანდებიდან და ყავახანებიდან კარგახანია, თბილისის ისტორიის მუზეუმში გადაბარგდა...

იშვიათი მოსასმენი გახდა ერთ დროს თბილისის საყვარელი ჰანგები... უფრო იშვიათი კი - მათი შემსრულებლები...

ძველი თბილისის ერთ-ერთი აშუღის - ჰაზის გარდაცვალების შემდეგ 1922 წ. იოსებ გრიშაშვილი წერდა: "მოკვდა ჰაზის და დაიხურა ის ალაყაფის კარები, საიდანაც ქარავნებივით გამოდიოდა მისი გაწვრთნილი აშუღები. მოკვდა ჰაზის და აიმღვრა ის კამკამა წყარო, რომლის მინანქარშიც ქოჩორს ივარცხნიდა ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა".



## დავით კოვზირიძის სვეტი

### ჩამოვიყვანოთ ტარანტინო და ქალებს მივაწვეთ!

კომუნისტების დროს, დიადი უსაქმურობის, ფულის კეთებისა და ჭამა-სმის ხანაში, ის ქალი რა ქალი იყო, თუნდაც ღამის ხუთ საათზე ოცკაციან ხოშიან სუფრას თუ ვერ გაშლიდა რამდენიმე წუთში. გრგვინავდა პატრიარქატი! ჩემს ერთ ნაცნობ ოჯახში, როცა ოჯახის უფროსი შინ გალეშილი ბრუნდებოდა, ცოლი ვალდებული იყო, მკვირცხლად გაელვიძა, ენთუზიაზმით სავსე გამომეტყველებით მისჯდომოდა როიალს და დილამდე დაეკრა. დილამდე იმიტომ, რომ მხვრინავ მარჩენალს პატარა პაუზაზეც კი ელვიძებოდა და მადლიანი ქართული გინების აკომპანემენტით ამსხვრევდა ინვენტარს.

ახლა სხვა დროა. ქალებს არც პაპიროსის ქაჩვა ეთვლებათ ბოზობად, ქალიშვილობაც აღარაა აუცილებელი პირველი ღამის საშვად, ამაყი ქართველი ვაჟკაცებიც არ თაკილობენ ცოლის გამომუშავებული ფულებით გრიალს და საერთოდ, ნელ-ნელა მკვიდრდება აზრი, რომ ქალი კაცისა სწორია. პირადად მე ორივე ხელით ვემხრობი დიაცთა უფლებების ზრდას, მაგრამ არსებობს ერთი რამ, რაც ნაღდად არაა ქალის საქმე - ფეხბურთის თამაშს ვგულისხმობ.

მიუხედავად ამისა, ორი ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს და ბევრს დაარწმუნებს, რომ საქართველოში ამაოდაა მივიწყებული მსოფლიოში მზარდად პოპულარული ქალთა ფეხბურთი. ერთი ამბავი თბილისში მოხდა სწორედ კომუნისტური რეჟიმისას, მეორე კი - კიკეთში, ოღონდ მოგვიანებით.

ბურთს ღრმა ბავშვობიდან დავსდევთ მე და ჩემი ამფსონები. არ არსებობდა ადგილი, მომენტი და მეტოქე, უკან რომ დაგვახევინებდა. ერთხელაც კუს ტბის სიახლოვეს გავმართეთ პატარა სეანსი, რამდენიმე მოწინააღმდეგე მივალაგეთ ერთმანეთზე, მოვიგეთ სადილი ვაკის პარკში მდებარე კაფე "ნიავში", თუმანი, ძალიან ბევრი ნაყინი და ის იყო, უნდა წამოვსულიყავით, ვიღაც კაცი მოვიდა საქმიანი წინადადებით - ბავშვებს ფეხბურთში ვავარჯიშებ და იქნებ წაესპარინგოთო. რასაკვირველია, დავთანხმდით.

ცოტა კი გაგვიკვირდა, ეს ბავშვები გოგოები რომ აღმოჩდნენ, თან დაწკეპილი ულვაშებით, მაგრამ ეგზოტიკისადმი ლტოლვამ გვძლია და უკან აღარ დავიხიეთ. მინდა აქვე შემოგაპაროთ, რომ ეს იყო ყველაზე სამარცხვინო ლაქა ჩვენს სახელოვან სამოყვარულო კარიერაში. თავიდან ზოზინით და მაიმუნობით დავიწყეთ, მაგრამ მალე მივხვდით, რომ შემთხვევით არ ჰქონდათ ულვაშები და მთელი ჯიგრით შევუდექით საქმეს. ჩვენ იქ დღე გვაყარეს... 6:1 მოგვიგეს, ხალხო, 6:1! მაშინ მივხვდი პირველად, რომ უხეში და ჯანიანი გოგოებიც არსებობენ და, სხვათა შორის, გული დამწყდა მათთან დაკავშირებული სტერეოტიპის ნგრევის გამო.

რაც შეეხება კიკეთის მატჩს, იმ დროს უკვე მშვენივრად ვერკვეოდი ქალების კლასიფიკაციაში და გამთენიამდე ღრეობებშიც აქტიურად ვმონაწილეობდი. ერთ-ერთი ასეთი ალკოჰოლური ღამის შემდეგ, უმძიმესი პახმელიის ჟამს, უძინარები ვბჭობდით გამოსავლის თაობაზე და ვინაიდან მთელი ავლადიდება ღამის მხიარულებას მოხმარდა, ბეთანიის გადასახვევთან მდებარე სახინკლეში შეღწევა ზღაპრად გვეჩვენებოდა.

ამ დროს გამოგვეცხადა მეგობარ გოგონათა გამოძინებული დაჯგუფება და მეტად პერსპექტიული, მაგრამ პახმელიაზე ძნელად შესასრულებელი წინადადება შემოგვთავაზა - ფეხბურთი ბიჭები გოგოებზე. წაგებული ხინკალს კისრულობს მთელი თავისი თხევადი ატრიბუტებით. ცოტა კი წავიწუწუნეთ, უფეხბურთოოდ ვითხოვეთ შველა ("ისედაც მოგიგებთ, რას გვაწვალებთ"), მაგრამ ნურას უკაცრავად, წარბიც არ შეუხრიათ.

ალბათ ხვდებით, რა კოშმარია ლამენათევზე, ივლისის მურტალ შუადღისას მოშიშვლებულ "პალიანკაზე" ბურთის დევნა მაშინ, როცა ერთი სული გაქვს ჰორიზონტალური ნებივრობისა. თუმცა, სხვა გზა არ დაგვიტოვა განგებამ და დაიწყო შეხვედრა, რომლის სიმძიმე ახლაც საშინლად მახსენდება. ჯერ ჩვენ ვიგებდით, მაგრამ ხუთ წუთში ფიზიკურმა კონდიციებმა შეგვახსენა თავი და ბოძებივით გავშეშდით. ამით უმალ ისარგებლა ვერაგმა მეტოქემ, საქმე ბოლშე-მენშემდე მიიყვანა, ბოლშესაც გამოჰკრა ხელი და მაშინღა გამოვცოცხლდი, მათი თავდამსხმელი, სხვათა შორის, ჩემი ძმაკაცის საცოლე, ჩვენ მეკარესთან პირისპირ რომ გავიდა. ფიქრისა და სიზარმაცის დრო აღარ იყო, სასწორზე ჩვენი მომავალი იდო, მომენტალურად გავექანე მისკენ და ისეთი "პადკატი" გავუკეთე, კინაღამ ქორწინება ჩაიშალა. საწყალი გოგოს ძვლების ჭახაჭუხმა ზემო წყნეთშიც კი შეაღვიძა რამდენიმე პატიოსანი ოჯახი. სამაგიეროდ მოვიგეთ! იცით, რა ხინკალი იყო?

დასკვნა: სასწრაფოდ მივხედოთ ქალთა ფეხბურთს. იქნებ რამე გვეშველოს და საფეხბურთო სამყარომ ჩვენი მასხრად აგდება შეწყვიტოს.

ალბანელებთან შეხვედრის ყურებისას მაგრად მოვიწყინე. თავიდან ეს ცარიელ ტრიბუნებს მივაწერე, მერე მონაწილეთა უღონობას, მაგრამ თანდათან მივხვდი, რომ რაღაც აქამდე არნახულს ვუცქერდი. არც კი ვიცი, სპორტის რომელ სახეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ეს გუნდები, რადგან მოედანზე საერთოდ არაფერი ხდებოდა და ამ არაფერში მასპინძლებმა სამი პანღური ამოგვარტყეს, როგორც ბოლო გოიმებს.

ქართველი ვითომფეხბურთელების შემხედვარეს, სულ უფრო ხშირად მახსენდება ფედერიკო ფელინი, სწორედ არაფერზე ფილმების შემქმნელი კაცი, რომელიც უდროოდ წავიდა იმქვეყნად და დაკარგა ისეთი ძვირფასი, მდიდარი, ამოუწურავი მასალა, როგორიცაა საქართველოს ნაკრები. ჰიჩკოკიც რომ აღარაა?! სამაგიეროდ ცოცხალია კვენტინ ტარანტინო და თუ ვინმეს მიგიწვდებათ ხმა, შეატყობინეთ, სცენარს მე გავუშანშალებ, არაა პრობლემა. ჩამოვიდეს სანამ დროა, თორემ ნაკრებიდან ეს თაობა რომ წავა, მერე ველარაფერს გადაიღებს, ამისთვის მასაც კი არ ეყოფა ნიჭი.

სამწვრთნელო შტაბიდან თუ შტაბუკადან წამოსროლილ მითითებებს სცენარში აუცილებლად შევიტან. "უჯარიმოდ!" - პირველად ეს მომესმა და მეგონა, "ირაოზე" მინიფეხბურთის სამოყვარულო ტურნირს ვუყურებდი უბნებს შორის. ამ შეჯიბრებებზე შვიდი ჯარიმა პენალტია და ამიტომაც ისმის ხშირად ეს მოწოდება. ფიფამაც შემოიღო აღნიშნული წესი? თუ ასეა, უკაცრავად. "პირველზე იბრძოლე!" - პირველი ბურთისთვის ბრძოლას ნორმალურ ქვეყნებში ფეხბურთზე პირველად მისულ ბავშვს ასწავლიან და შემდეგ აღარ უმეორებენ, რომ მოზარდმა შეურაცხყოფილად არ იგრძნოს თავი. ეს დაახლოებით იგივეა, გარი კასპაროვს რომ შეახსენო ჭადრაკის თამაშისას: "მეფეს გაუფრთხილდი, მეფეს!"

ბოლო სცენისთვის კი შემოვინახავდი ამას - "შეიძლება!" ეს მისტიკური ფრაზა მაშინ გაისმა, ბურდულმა ერთი ბურთი რომ გაქვითა ბოლო წუთებზე და ასე იშიფრება - შეიძლება ფრეს გამოვკრათ ხელი!

არა, ბატონებო, არ შეიძლება. ეგ კი არა, თქვენი მოედანზე შეშვებაც არ შეიძლება.

THE END

ფეხბურთი

# „დინამიკური სამეული" გუნდური პრინციპით

მიხეილ აბაიშვილი

ბუბა ტყავაძეს ფეხბურთის ქართველ ქომაგთათვის წარდგენა არ სჭირდება. მისი საფეხბურთო კარიერა "მრეტებში" დაიწყო და, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ქინქლაძის გვერდით თამაშობდა, არათუ არ იჩრდილებოდა, მოპოვებული ავტორიტეტის წყალობით "მრეტების" კაპიტნადაც კი აირჩიეს. ფეხბურთის სპეციალისტები ტყავაძეს ქინქლაძეზე არანაკლებ ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნევდნენ და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. სამწუხაროდ, გაუთავებელმა ტრავმებმა ბუბა ტყავაძეს საშუალება არ მისცა, ისეთ დონეზე წარემართა საფეხბურთო კარიერა, როგორც ეს მის ტალანტს შეეფერებოდა.

დღეს ტყავაძე სრულიად ახალ ამპლუაში მოგვევლინა. მან თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორის პოსტი დაიკავა. გავბედავ და გამოვთქვამ ვარაუდს: ტყავაძე ამ პოსტზე ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მის წინამორბედთა შორის. ამის თქმის საფუძველს რამდენიმე გარემოება მაძლევს: ის თავმდაბალი, წესიერი, პატიოსანი, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია. კიდევ ერთი გარემოება, რაც გუნდის მომავალი წინსვლის თაობაზე პროგნოზის გაკეთების საშუალებას მაძლევს, "დინამოს" ტექნიკური დირექტორის პოსტია, რომელიც ამირან ღიბრაძემ დაიკავა. ამ პიროვნებას ქართული საფეხბურთო სამყარო ნაკლებად იცნობს. თუმცა, ახლო მომავალი დაადასტურებს, რომ ის, კახა ცხადაძესთან ერთად, "დინამოს" მართლაც აღმავლობის გზაზე დააყენებს.

გუშინ ბუბა ტყავაძე და ამირან ღიბრაძე პირველად წარდგნენ ჟურნალისტების წინაშე ახალ ამპლუაში. პრესკონფერენცია გაიმართა "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კახაბერ ცხადაძემ და რომელზეც შეჯამდა გასული სეზონის შედეგები.

"ღრმა კრიზისი, რომელშიც "დინამო" აღმოჩნდა, რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. გუნდმა ზაფხულში ვერ გაიარა სათანადო მომზადება, რის გამოც ძალების მთელ სეზონზე გადანაწილება ვერ მოხერხდა და დაღლილობამ სეზონის ბოლოს იჩინა თავი. შუა სეზონში გუნდი დატოვა წამყვან ფეხბურთელთა ჯგუფმა - შაშიაშვილმა, სალუქვაძემ, კანკავამ, კვირკველიამ, ბურდულმა. ასეთი სატრანსფერო პოლიტიკა წინასწარ არ იყო დაგეგმილი, ხოლო ახალწვეული ფეხბურთელებით მათი შეცვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. სანამ დავინიშნებოდი, "დინამომ" ბოლო ექვს თამაშში ოთხი მარცხი განიცადა. გუნდი დემორალიზებული იყო და ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენა შერყეული ჰქონდათ. ასეთ სიტუაციაში მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჩემი მიწვევა, პირველ რიგში, უდიდესი ნდობის გამოცხადება იყო "დინამოს" სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მოხარული ვარ, რომ ჩვენს წინაშე დასახულ მთავარ ამოცანას წარმატებით გავართვით თავი - ჩემპიონები გავხდით. თერთმეტი მატჩიდან რვაში გავიმარჯვეთ, ორი ფრედ დავასრულეთ და ერთხელ დავმარცხდით. იმ სამ თამაშშიც, რომელიც ვერ მოვიგეთ, სრულ უპირატესობას ვფლობდით და მიმაჩნია, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ ყველა თამაშს ვერ მოიგებ. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო "დინამოს" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ამჟამად კლუბის დირექტორატის წარმომადგენლებს - ბუბა ტყავაძეს და ამირან ღიბრაძეს, რომლებმაც სამეთვალყურეო საბჭოს კიდევ ერთ წარმომადგენელთან ბიძინა ბარათაშვილთან ერთად მთავარი როლი შეასრულეს "დინამოს" მთავარ მწვრთნელად ჩემს დანიშვნაში. იმ დღიდან მოყოლებული, ბუბა ტყავაძე და ამირან ღიბრაძე ყოველდღიურად გვერდში მედგნენ, მხარს მიჭერდნენ და მოქმედების სრულ თავისუფლებას მაძლევდნენ. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ეს ხალხი დაინიშნა დირექტორებად. ჩვენ უკვე ერთ გუნდად ვართ ჩამოყალიბებული და ეს იდეური ერთობლიობა, გუნდური, პარტნიორული თამაშის პრინციპი წარმატების საწინდარია", - განაცხადა კახაბერ ცხადაძემ.



"დინამოს" ახალი ხელმძღვანელობა გუნდის გაძლიერებას იწყებს.

ის, რომ "დინამიკური სამეული" მართლაც ერთი გუნდია, ბუბა ტყავაძემ და ამირან ღიბრაძემაც დაადასტურეს.

"სათითაოდ ჩვენ ჩვენი ფუნქციები გვაქვს და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ვიმოქმედებთ, თუმცა, ეს სულაც არ გვიშლის ხელს, რომ ერთი გუნდი ვიყოთ. კლუბის მმართველობაში თანამოაზრეები შევიკრიბეთ და ეს მომავალ საქმიანობაში ძალიან დაგვეხმარება. ვეცდებით, ერთობლივი ძალით, რეალური მიზნები დავისახოთ და დაგეგმილი ამოცანები განვახორციელოთ. სასიხარულოა, რომ კახამ შეძლო გუნდის კრიზისიდან გამოყვანა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ეს ნამდვილად არ იყო იოლი. ცხადაძეს კლუბის დირექტორატი სრულ ნდობას უცხადებს. იმედი გვაქვს, "დინამოს" უწინდელ ავტორიტეტს დავუბრუნებთ და გუნდი საერთაშორისო სარბიელზეც იმ პოზიციას დაიკავებს, რაც მის მდიდარ ტრადიციებსა და წარსულს შეეფერება", - აღნიშნა ბუბა ტყავაძემ.

"მოხარული ვარ, რომ პრესკონფერენციაზე ნაცნობ სახეებს ვხედავ. დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს მედიას და კომპლიმენტის გარეშე ვიტყვი - სპორტული ჟურნალისტიკა საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდება. "დინამოს" მისამართით დასაბუთებული კრიტიკაც არაერთხელ წამიკითხავს და მომისმენია და ეს სულაც არ მიმაჩნია ცუდ საქმედ. მოხარული ვიქნები, თუ მომავალშიც ჩვენი მისამართით კრიტიკული შენიშვნები გამოითქმება პრინციპით - "მოყვარეს პირში უძრახე".

"დინამოს" ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელი თავკაცობს. არსებობს სტერეოტიპი, რომ ქართველი მწვრთნელები სუსტები არიან, რასაც მე კატეგორიულად არ ვეთანხმები. კახაბერ ცხადაძემ უკვე დაამტკიცა, რომ პროფესიონალია. მან მინიმალურ დროში, სულ რაღაც ხუთ დღეში აბსოლუტურად შეცვალა გუნდის სათამაშო სტილი, ფეხბურთელების დამოკიდებულება საკუთარი საქმისადმი და ღრმა ჩავარდნას მოგებათა შთამბეჭდავი სერია მოაყოლა. "დინამოში" ფინანსური კრიზისიც იყო, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა ყველა პრობლემა გადაწყვიტა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. სერიოზულ გეგმებს ვისახავთ და ერთობლივი ძალისხმევით, დარწმუნებული ვარ, ქართული ფეხბურთის და "დინამოს" ქომაგებს სიხარულს მოვუტანთ", - განაცხადა ამირან ღიბრაძემ.

ამჟამად "დინამო" შვებულებაშია. გუნდი 10 ივნისს, თბილისში, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბება და მომავალი სეზონისთვის დაიწყებს მზადებას. 18 ივნისს საქართველოს ჩემპიონი გერმანიაში, საზაფხული საწვრთნელი შეკრებების გამართვის ტრადიციულ პუნქტში, დაბა რუიტში გაემგზავრება და ამ ქვეყნის ქვედა ლიგების გუნდებთან სამ საკონტროლო შეხვედრას გამართავს. 29 ივნისს "დინამო" შვეიცარიის ქალაქ შოპჰაუზენში გადაინაცვლებს და უმაღლესი ლიგის გუნდებთან ჩაატარებს სპარინგებს. 30 ივნისს "დინამოს" მეტოქე იქნება "სენტ გალენი", 2 ივლისს - ძველი ნაცნობი "გრასჰოპერსი", ხოლო 3 ივლისს - მასპინძელი "შოპჰაუზენი". გუნდი სამშობლოში 5 ივლისს დაბრუნდება და ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას თბილისში გააგრძელებს. ამ ეტაპის პირველი თამაში საქართველოს თორმეტგზის ჩემპიონს 12 ან 13 ივლისს მოუწევს. კენჭისყრა 24 ივნისს გაიმართება. ჩემპიონთა ლიგის ტურნირს "დინამო" გაძლიერებული შეხვდება.

"ამჟამად რამდენიმე ფეხბურთელთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ მაშინ დაგისახელებთ, რაც ტრანსფერის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება. მხოლოდ ერთ რამეს არ დაგიმალავთ - პრაქტიკულად, ყველა პოზიციაზე გვსურს მაღალი კლასის ფეხბურთელის დამატება. გუნდში სერიოზული კონკურენცია უნდა შეიქმნას, რათა არავის ჰქონდეს გარანტირებული ადგილი ძირითად შემადგენლობაში, რაც კლუბის პროგრესს ხელს შეუწყობს. ამას გარდა, "გრძელი სკამი" მოულოდნელი საკადრო პრობლემისგანაც დაგვაზღვევს. არ არის გამორიცხული, ერთი ან რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელი დავიმატოთ. ყოველ შემთხვევაში, რუიტში რამდენიმე ფეხბურთელის გასინჯვას ვგეგმავთ", - აღნიშნა "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა.

დაბოლოს, გაცნობებთ, რომ "დინამომ" ტრანსფერზე დააყენა ორი ბრაზილიელი ლეგიონერი - მეკარე ჯონათან კუნეგატო და ნახევარმცველი სეზარ რომერო. რაც შეეხება მცველ ლაშა ჭელიძეს, მას კლუბთან კონტრტაქტი დაუმთავრდა და "თავისუფალი აგენტი" გახდა.

# ბექჰემმა რებეკასთან ისევ გაახურა

ბიგა ბურასაშვილი

ამბობენ, მადრიდის "რეალის" ინგლისელი ლეგიონერი დევიდ ბექჰემი თავისას არ იშლის და რებეკა ლუსთან კვლავაც ურთიერთობა აქვსო. ვერ გეტყვით, ჭორია თუ არა, მაგრამ ინგლისურმა (და არა მარტო ინგლისურმა) ყვითელმა პრესამ რომ უმალ აიტაცა ბექჰემისა და ლუსის ისტორია, ამაში მათზე შეთხზული ამბებით აჭრელებული ტაბლოიდები გვარწმუნებს.

კი მაგრამ, ვინაა ეს რებეკა ლუსი? ვინ და, ესპანეთში ჰოლანდიის ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ქალიშვილი და დევიდ ბექჰემის მასწავლებელი!

ესპანეთიდან ჰოლანდიაში დაბრუნება რებეკას არ უნანია. ცნობილ ადამიანებთან რეპეტიტორობა დაიწყო. ჰოდა, ერთხელაც რებეკასთან დევიდ ბექჰემიც მოხვდა, რომელსაც "სამეფო კლუბთან" კონტრაქტზე ისის იყო ხელი მოეწერა. მერე და მერე, როდესაც მასწავლებელი და მოწაფე ერთმანეთს გაუშინაურდნენ, აღმოჩნდა, რომ ინგლისის ნაკრების საჯარიმოების საუკეთესო ჩამწოდებელი სხვა საგნებშიც ოსტატდებოდა, მაგალითად, ისეთებში, რომლებიც საკმაოდ შორის იყო სერვანტესის ენისგან (თუ რა საგანი უნდა ყოფილიყო, სამარჩიელოც არაა).

რებეკა ლუსი მართლაც ეშხიანი და კარგი ვინმეა, მაგრამ ბექჰემის კაშკაშა სახელი რომ არა, მათ შორის ურთიერთობა საქვეყნო განსჯის საგანი არც გახდებოდა. ბექჰემის მსგავს სუბიექტებს კი, რა ხანია, პარაცები სანთლით დაეძებენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მათი მასწავლებლურ-პარტნიორული კავშირი პრესის ფურცლებზე გამომზეურდა. ეშხში შევიდნენ ბრიტანული ტაბლოიდებიც. თემა მართლაც მაცდური იყო, მერე კი ისეთ აზარტში შევიდნენ, ისეთი ამბები შეთხზეს რებეკა ლუსის ტემპერამენტზე, რომ ბევრის მნახველ და გამგონე ცნობისმოყვარეებსაც კი თმა ყალყზე დაუდგათ. გახმაურებულ ისტორიას კი ის მოყვა, რომ დევიდ ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის ოჯახური იდილია საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა, ვითარება მას შემდეგ განიმუხტა, როდესაც ვარსკვლავურ წყვილს მესამე შვილი შეეძინა, მაგრამ...

ტაბლოიდებში ისევ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ბექჰემი ლუს ხვდება. კერძოდ, როგორც ამას თვითმხილველნი ამბობენ, გასულ უქმეებზე რებეკა ლუსი მადრიდის "რეალის" ბაზის ალაყაფთან ბექჰემის მომლოდინე შეუნიშნავთ. ბოლოს ბექჰემიც გამოსულა "რეალის" ეზოდან საკუთარი "აუდით". მერე რებეკას კარი გაუღია და ბექჰემის მანქანაში ჩამჯდარა. მათ შორის საუბარი კარგა ხანს გაგრძელდაო, ბოლოს კი 15-20 წუთი ერთმანეთს კოცნიდნენო. იმასაც ამობენ, მასწავლებელი და მოწაფე მეორე დღესაც შეხვდნენ ერთმანეთსო.

რაგბი

# ბორჯღალი ლონდონში ჩაიკარგა

პაატა თოთაძე

არაერთი ტურნირი ყოფილა საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრების ისტორიაში, როცა გუნდს წარმატებისთვის ვერ მიუღწევია, მაგრამ გუშინწინ დასრულებული ლონდონის შვიდკაცა მაინც გამორჩეულია - საქართველოს ნაკრებმა ხუთიდან ხუთი მატჩი წააგო და რუსეთის ნაკრებთან ერთად მე-15 - მე-16 ადგილები გაიყო.

კენჭისყრამ ჯგუფში მეტოქეებად ინგლისი, სამოა და საფრანგეთი გვარგუნა. რომ ვთქვათ, სამოას და ინგლისს ვუგებდითო, მართალი არ ვიქნებით, მაგრამ საფრანგეთისთვის სხვადასხვა ტურნირზე არაერთხელ მოგვიგია. თუმცა, ეს წარსულში იყო, ახლა კი... ახლა საფრანგეთიც გვიგებს და ბევრი სხვაც.

ერთადერთი გუნდი სამოა აღმოჩნდა, რომელსაც საქართველოს ნაკრებმა, ასე თუ ისე, გაუწიეს წინააღმდეგობა და "მხოლოდ" 10:22 დამარცხდა. ამას მოჰყვა წაგება ინგლისთან (5:35) და საფრანგეთთან (0:38). ეს ყველაფერი შეჯიბრების პირველ დღეს, ჯგუფურ ეტაპზე მოხდა. ამდენი მარცხის შემდეგ ბრძოლა ქართველებმა ფიალისთვის, ანუ მე-9 ადგილისთვის გააგრძელეს. "გააგრძელეს" - პირობითადაა ნათქვამი, რადგან პირველივე მატჩში კლოდ სორელმა და მის მიერ დამოძღვრილმა ტუნისმა 33:0 დაამარცხეს. ამის შემდეგ მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეგვეძლო, ფარის მოპოვება იყო. ამ ჯილდოს მე-13 ადგილზე გასულ გუნდს აძლევენ ხოლმე. თითქოს მეტოქეებიც არ გვყავდა მაინცდამაინც ძლიერი - ჯერ კენია, შემდეგ კი კანადა. მაგრამ კანადამდე ვინ მიგვიშვა - კენიასთან 17:12 დავმარცხდით და ასპარეზობაც დავასრულეთ. ჩემპიონი გახდა სამხრეთ აფრიკის ნაკრები, რომელმაც ფინალში ინგლისს სძლია 21:12. მეხუთე ადგილი და, შესაბამისად, სინი ფიჯის ერგო გადამწყვეტ მატჩში ავსტრალიის დამარცხებით (29:12). ფიალა სამოელებს ერგოთ, ფარი კი კანადამ დაისაკუთრა.



"ბორჯღალოსნებმა" ინგლისელები ვერ შეაჩერეს.

მომავალ კვირას უკვე პარიზის შვიდკაცა ელის ჩვენს გუნდს, მაგრამ ისე ჩანს, კარგი დღე არც იქ დააგება. ჯგუფში ტუნისი, სამხრეთი აფრიკა და ფიჯი გვეყოლება მეტოქეებად. ქართველთა მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ გუნდი შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობს. 12 ივნისს ბორჯღალოსნებს ჩეხეთთან ელით ერთა თასის მატჩი, ასე რომ, უპირატესობა ამ მატჩს ეძლევა და ყველა უძლიერესი მოთამაშეც აქაა. პარიზში ქართველები ამ შემადგენლობით ითამაშებენ: ირაკლი გუნდიშვილი, ლექსო გუგავა, გიორგი კობერიძე, ზვიად კობერიძე, თემურ ქობელაშვილი, ბექა სარდანაშვილი, გიორგი შკინინი, დავით ჟამუტაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი, სანდრო ჭელიძე, ბადრი ხეხელაშვილი, გიორგი კაჭარავა.

ზემოთ ეროვნული გუნდის ჩეხეთთან თამაში ვახსენეთ. საამატჩოდ ქართველებს რამდენიმე მოთამაშე დააკლდებათ. ზოგი ტრავმის, ზოგიც ოჯახური პრობლემის გამო. ირაკლი აბუსერიძე მოტეხილ ფეხს მკურნალობს, ვერც პალიკო ჯიმშელაძე ჩამოდის. მათ ნაცვლად ნახევარმცველთა დუეტს ბიძინა სამხარაძე და მალხაზ ურჯუკაშვილი შექმნიან. ჩეხეთთან მატჩში ეროვნულ გუნდში დებიუტი ექნება თემურ სოხაძეს. ნაკრების სრული შემადგენლობა კი ასეთია:

***შერკინების პირველი ხაზი*** - გოდერძი შველიძე (კლერმონი, საფრანგეთი), ავქსენტი გიორგაძე (როვიგო, იტალია), დავით ზერაქაშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), მიხეილ სუჯაშვილი (ენისეი, რუსეთი), დავით გასვიანი (შალონი, საფრანგეთი)

***მეორე ხაზი*** - ილია ზედგინიძე (ორლეანი, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ვიერზონი, საფრანგეთი)

***მესამე ხაზი*** - რატი ურუშაძე (ენისეი, რუსეთი), დავით ბოლღაშვილი (აკადემია), ბესო უდესიანი (შალონი, საფრანგეთი), ილია მაისურაძე (ნანტი, საფრანგეთი)

***შერკინების ნახევარმცველები*** - ბიძინა სამხარაძე (უოლსოლი, ინგლისი), მერაბ კვირიკაშვილი (ლელო)

***თავისუფალი ნახევარმცველი*** - მალხაზ ურჯუკაშვილი (აკადემია)

***შუა სამმეოთხედელები*** - თედო ზიბზიბაძე (გურდონი, საფრანგეთი), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი, საფრანგეთი), ლაშა ფირფილაშვილი (ლელო)

***გარე სამმეოთხედელები*** - ირაკლი მაჩხანელი (აკადემია), გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია)

***მცველები*** - ოთარ ბარკალაია (ლელო), თემურ სოხაძე (ყოჩები)

დღემდე საქართველოს და ჩეხეთის ნაკრებები ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ოთხივე მათგანში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩენია. 1996 წელს ორჯერ ვეთამაშეთ მათ, პრაღაში 18:14 მოვუგეთ, თბილისში კი - 20:3. მესამე მატჩი მხოლოდ 7 წლის შემდეგ გაიმართა. 2003 წელს პრაღაში 30:15 დავამარცხეთ მეტოქე, მომდევნო წელს კი უკვე თბილისში მოვუგეთ 23:7. წინა წლებთან შედარებით ჩეხეთის ნაკრებმა აშკარა პროგრესი განიცადა. ამაზე მეტყველებს ის, რომ გუნდმა დაამარცხა რუსეთი, ხოლო სტუმრად პორტუგალიასთან მატჩის მიწურულს დამარცხდა. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ ეს არაა ის გუნდი, რომელსაც თბილისში შეუძლია საქართველოს დამარცხება. ეს მოგება ჩვენთვის იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისაა და თითოეულ ქულას ტურნირის ბოლოს, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ინფოთეკა

### ხიზანიშვილი და არველაძე "რეინჯერსს" ტოვებენ

მალე შოტლანდიური კლუბის "რეინჯერსის" რიგებს ქართველი ლეგიონერები ზურაბ ხიზანიშვილი და შოთა არველაძე დატოვებენ. ბრიტანული პრესის ცნობით, ხიზანიშვილი პრაქტიკულად უკვე მოელაპარა გერმანული "შალკეს" ხელმძღვანელობას გადასვლის შესახებ. რაც შეეხება არველაძეს, სავარაუდოდ, ის ჰოლანდიურ კლუბ "აზ 67"-ში გააგრძელებს კარიერას. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ფეხბურთელის აგენტმა.

### "კალიარის" ძოლას გაშვება არ უნდა

იტალიური კლუბის "კალიარის" ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს, ფორვარდი ჯანფრანკო ძოლა დაარწმუნოს, კიდევ ერთი წლით დარჩეს გუნდში. გასულ სეზონზე ვეტერანმა ფეხბურთელმა საუკეთესოდ ითამაშა, ცხრა ბურთი გაიტანა და ამით "კალიარის" სერია A-ში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარა.

"მინდა დავარწმუნო ძოლა, რომ არ წავიდეს, რადგან ჩვენს გუნდს მისი დახმარება ძალიან სჭირდება", - განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა მასიმო სელინომ.

### რაული "სამეფო კლუბის" ერთგულია

2004/05 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდი "ლივერპული" მზადაა, მადრიდის "რეალს" რაულისთვის 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს. თავად რაული ადრე აცხადებდა, რომ მზად იყო დაეტოვებინა "სამეფო კლუბი", რომელშიც 11 სეზონი ჩაატარა.

ახლა კი, როცა ესპანელი და ინგლისელი ჟურნალისტები აქტიურად საუბრობენ "ლივერპულში" მის გადასვლაზე, თავად ფეხბურთელი აზრს რადიკალურად იცვლის და აცხადებს, რომ ამჟამად მისი კლუბიდან წასვლა გამორიცხულია. მომავალში იქნებ შესაძლებელიც გახდეს.

"ამჟამად ინგლისში გადასვლას არ ვფიქრობ. ჩემი მომავალი აქაა, ესპანურ ლიგაში. გამიჭირდება აქაურობის დატოვება", - განაცხადა რაულმა.

### ეტო'ო ამ ზაფხულს გამოემშვიდობება "ბარსელონას"

"ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა კლუბის პრეზიდენტს ხუან ლაპორტას განუცხადა, რომ კამერუნელი თავდამსხმელის სამუელ ეტო'ოს გაყიდვის წინააღმდეგი არაა. Tribalfootball-ის ცნობით, კლუბისთვის მეტად წარმატებული სეზონის ბოლოს მთავარ მწვრთნელსა და თავად ფეხბურთელს რამდენჯერმე კონფლიქტი მოუვიდათ. ეტო'ო ზოგჯერ უკმაყოფილო იყო რაიკაარდის გადაწყვეტილებით, ფიქრობდა, რომ ესა თუ ის ნაბიჯი გუნდს ასუსტებდა.

კონფლიქტი ვერა და ვერ მოგვარდა. შესაბამისად, ეტო'ომ თავის აგენტს ახალი კლუბის მოძებნა დაავალა.

სხვათა შორის, კამერუნელი ფეხბურთელის შეძენა ინგლისურ კლუბებს "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" უნდათ.

### აბრამოვიჩი მზადაა, ორ ფეხბურთელში 160 მილიონი ევრო გადაიხადოს

ლონდონის "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი მზადაა, ორი წამყვანი ფეხბურთელისთვის 160 მილიონი ევრო გადაუხადოს იტალიურ გუნდებს - "მილანსა" და "ინტერს".

ზოგიერთი ინფორმაციით, რუსი ბიზნესმენი 90 მილიონ ევროს გადაიხდის "ინტერის" ბრაზილიელი თავდამსხმელის ადრიანოსთვის, 70 მილიონს კი - "მილანის" ასევე ბრაზილიელ ნახევარმცველ კაკასთვის.

იტალიური კლუბების წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ეს ფეხბურთელები ამ ფასად არ გაიყიდებიან.

შეგახსენებთ, ადრე იტყობინებოდნენ, რომ "ჩელსის" "მილანის" უკრაინელი ლეგიონერი ანდრეი შევჩენკო აინტერესებდა, თუმცა, იტალიურმა კლუბმა არც ამ ფეხბურთელის გაყიდვაზე განაცხადა თანხმობა.

### ულიეს "ლიონში" ბაროშის ხილვა სურს

"ლიონის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ, რომელიც დიდხანს "ლივერპულში" მუშაობდა, მილან ბაროშის თავის გუნდში ხილვის სურვილი გამოთქვა.

ჯერჯერობით უცნობია, განხორციელდება თუ არა მწვრთნელის სურვილი.

ჩოგბურთი

# ცაციების ფინალი

რაფაელ ნადალმა საფრანგეთის ღია ჩემპიონატი მოიგო. 19 წლის ესპანელმა ტურნირის ფინალში არგენტინელი მარიანო პუერტა დაამარცხა - 6:7, 6:3, 6:1, 7:5. ქალთა ფინალში კი ბელგიელმა ჟიუსტინ ენინ-არდენმა ფრანგ მარი პირსს მოუგო - 6:1, 6:1 და საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ტრიუმფატორი გახდა.

ტურნირის კენჭისყრის შემდეგ სპეციალისტთა დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ ნახევარფინალში ნადალი და შვეიცარიელი როჟე ფედერერი შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ასეც მოხდა. შეხვედრა, რომელსაც ბევრმა ვადამდელი ფინალი უწოდა, ესპანელის გამარჯვებით დასრულდა. მას 3 ივნისს 19 წელი შეუსრულდა და დაბადების დღეზე საუკეთესო საჩუქარი მიუძღვნა საკუთარ თავს.

მეორე ნახევარფინალის შემადგენლობა კი ვერავინ გამოიცნო. ნიკოლაი დავიდენკოსთვისაც და მარიანო პუერტასთვისაც საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალი თავიანთი კარიერის უმაღლესი მწვერვალი იყო. ამ დაპირისპირებაში არგენტინელმა გაიმარჯვა და ისე მოხდა, რომ 1946 წლის შემდეგ Roland Garros-ის ტურნირის ფინალში ერთმანეთს პირველად შეხვდნენ ცაცია ჩოგბურთელები.

26 წლის არგენტინელი, როგორც მის თანამემამულეთა უმრავლესობა, თიხნარზე თავს ძალიან კარგად გრძნობს, მაგრამ ტოპ-ჩოგბურთელთა ლეგიონს არასოდეს მიეკუთვნებოდა. წლევანდელ ჩემპიონატამდე პუერტას საუკეთესო მიღწევა პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში მე-18 ადგილით განისაზღვრებოდა. არგენტინელი ამ ადგილზე 2000 წლის აგვისტოში აღზევდა.

მეტის მიღწევა არგენტინელმა ვერ შეძლო - დისკვალიფიკაციამ შეუშალა ხელი. მას აკრძალული პრეპარატის კლენბუტეროლის მოხმარების გამო ორწლიანი სასჯელი მიაკუთვნეს. არადა, ასთმით დაავადებულ პუერტას WADA-სთვის თავისი ავადმყოფობის შესახებ დროულად რომ შეეტყობინებინა, დისკვალიფიკაციას ნამდვილად თავიდან აიცილებდა. ასე კი მან ცხრა თვით დაისვენა და ჩოგბურთის შეფები დაარწმუნა, რომ პრეპარატი ავადმყოფობის გამო მიიღო.

ცხრა თვეც სწრაფად გაილია და შარშან, ზაფხულში, პუერტამ კვლავ დაიწყო ტურნირებში გამოსვლა. იმ დროისთვის ჩოგბურთელი პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში 440-ე ადგილზე იყო. "როცა დისკვალიფიკაციის შემდეგ კორტებს დავუბრუნდი, მზად ვიყავი, ნებისმიერ ტურნირში მიმეღო მონაწილეობა. უბრალოდ, მომენატრა ჩოგბურთის თამაში", - განაცხადა პუერტამ, რომლის თამაშშიც წელს გარდატეხა მოხდა. არგენტინელმა კასაბლანკას ტურნირი მოიგო და ბუენოს-აირესის ტურნირის ფინალში გავიდა, რამაც საშუალება მისცა, მსოფლიოს 40 საუკეთესო ჩოგბურთელს შორის დაემკვიდრებინა ადგილი.



19 წლის რაფაელ ნადალს "თიხნარის მეფე" შეარქვეს.

საფრანგეთში კი პუერტა უფრო შორს წავიდა და "დიდი სლემის" ტურნირის ფინალსაც უწია. აქ მას ახალგაზრდა ესპანელი რაფაელ ნადალი დაუპირისპირდა, რომელმაც უკვე მოიხვეჭა თიხნარის მეფის სახელი. ერთ დროს ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრების წევრის მიგელ ანხელ ნადალის ნათესავმა თამაშის სადავეები მთლიანად ხელში ჩაიგდო. მან ამბიციურ მეტოქეს ბავშვური შეცდომები არ აპატია და საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველის ზინედინ ზიდანის ხელიდან დამსახურებულად მიიღო ტურნირის მთავარი პრიზი.

ეს კიდევ არაფერი. ჩოგბურთელმა ჟურნალისტებს უამბო იმის შესახებ, თუ როგორ მიულოცა მას გამარჯვება ესპანეთის მეფე ხუან კარლოსმა, რომელიც ფინალურ მატჩს დაესწრო. "მეფემ მომილოცა და მითხრა, რომ ეს მატჩი, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო, - განაცხადა საფრანგეთის 2005 წლის ჩემპიონმა, - მან აგრეთვე დედოფალ სოფიას მოკითხვა გადმომცა და მომიბოდიშა იმის გამო, რომ იძულებული იყო, მატჩი შვილიშვილის დაბადების მიზეზით დაეტოვებინა. ჩემი მხრივ, მეფეს მადლობა მოვახსენე იმისთვის, რომ მატჩზე მოვიდა".

ნადალმა ისიც აღიარა, რომ პირველად, ფინალური მატჩის მოგების შემდეგ, ვერ მოთოკა ემოციები და ატირდა. "ეს რაღაც აუხსნელია. მე პირველად მივაღწიე იმას, რისკენაც დიდხანს მივილტვოდი. მატჩის მოგების შემდეგ პირველად ვიტირე", - აღიარა ჩოგბურთელმა.

ტურნირი კი ჯერ ხეირიანად დასრულებულიც არ იყო, როცა ორგანიზატორებმა მომავალ შეჯიბრებაზე ზრუნვა დაიწყეს. საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის გენერალურმა დირექტორმა ჟანკლოდ ბლანმა განაცხადა, - ყველაფერს ილონებს იმისთვის, რომ მომავალ წელს ტურნირი ორშაბათს კი არა, კვირას დაიწყოს. "ვფიქრობ, კვირას დაწყება ძალიან კარგია. ორშაბათს სატელევიზიო აუდიტორია 1,2 მილიონ ადამიანს ითვლის, ხოლო კვირას - 5 მილიონს", - განაცხადა ბლანმა.

ახალი რეიტინგი

| ვაჟები: | | საჩემპიონო რბოლა | | ქალები: | | საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 6980 | როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 665 | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5247 | ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 2504 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 3685 | რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 665 | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 4986 | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 2260 |
| რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 3600 | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 314 | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 4285 | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2217 |
| ენდი როდიკი (აშშ) | 3590 | მარატ საფინი (რუსეთი) | 275 | სერენა უილიამსი (აშშ) | 3781 | პატი შნაიდერი (შვეიცარია) | 1685 |
| მარატ საფინი (რუსეთი) | 3065 | გილიერმო კორია (არგენტინა) | 266 | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3212 | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1667 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 2275 | მარიანო პუერტა (არგენტინა) | 254 | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3087 | სერენა უილიამსი (აშშ) | 1598 |
| ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2085 | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 253 | ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 3067 | კიმ კლიისტერსი (ბელგია) | 1576 |
| გილიერმო კანიასი (არგენტინა) | 1990 | ენდი როდიკი (აშშ) | 251 | ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 2610 | ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 1463 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 1780 | გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 248 | ალისია მოლიკი (ავსტრალია) | 2469 | მარი პირსი (საფრანგეთი) | 1291 |
| იოაჰიმ იუჰანსონი (შვედეთი) | 1620 | დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 224 | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2287 | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1089 |

# ჟუსტინ ენინ-არდენი: "ეს არ არის მაქსიმუმი"

საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ქალთა ნაწილი ბელგიელი ჟიუსტინ ენინ-არდენის ტრიუმფით დასრულდა. გადამწყვეტ შეხვედრაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა იოლად დაამარცხა ფრანგი მარი პირსი - 6:1, 6:1. ფილიპ შატრიეს სახელობის კორტის გადაჭედილი ტრიბუნები ფეხზე ამდგარი შეეგება გამარჯვებულს და მისი მისამართით აპლოდისმენტებს არ იშურებდა.

**- ჩვენი მილოცვა, ჟიუსტინ. როგორც ჩანს, დღეს მეტოქეს არავითარი შანსი არ ჰქონდა.**

- არა, არა. ასე ნუ ლაპარაკობთ. მარის დღეს ძალიან უჭირდა, რადგან ტრიბუნების დიდ ზეწოლას განიცდიდა. ის ხომ ფინალს საკუთარი მაყურებლის თანდასწრებით თამაშობდა. თანაც, ვცდილობდი, განსაკუთრებით მატჩის დებიუტში მუდმივი პრესინგი მეთამაშა. პირსმა კი დღეს საუკეთესო თამაში ვერ აჩვენა. ბევრი შეცდომა დაუშვა. სამაგიეროდ ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ.

**- ახლა რას გრძნობთ?**

- ეს ემოციებიც მთელი კასკადია (იცინის). უკანასკნელი სეზონი ჩემთვის ურთულესი გამოდგა. საკუთარ თავს ბევრი კითხვა დავუსვი. ახლა კი მათზე პასუხები მივიღე. არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა დიდ სპორტში დაბრუნებას და თუ შევძლებდი, როგორ. ფინალის წინ ჩემს მეუღლეს ვესაუბრე და ვუთხარი: თუ ჩემს კარიერაში "დიდი სლემის" კიდევ ერთი ტურნირის მოგება მიწერია, მოდი, ეს დღეს მოხდეს. და აი, ეს მოხდა. ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ!

**- ტურნირის მსვლელობისას, რომელი მომენტი იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, იქნებ მატჩ-ბოლი, რომელიც მერვედფინალში სვეტლანა კუზნეცოვასთან მატჩში გააბათილეთ?**



ჟუსტინ ენინ-არდენი პოზიციებს იბრუნებს.

- რა თქმა უნდა, ის ბურთი რომ არ გამებათილებინა, ფინალში ვერ ვითამაშებდი. თუმცა, ტურნირის ორი კვირა ფანტასტიკური გამოდგა. არა მხოლოდ კორტზე, არამედ მის გარეთაც. მე აქ გატარებული ყოველი წუთით სიამოვნებას ვიღებდი.

**- ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ამჟამად თქვენ უკეთ თამაშობთ, ვიდრე ავადმყოფობამდე. ამ აზრს იზიარებთ?**

- არა. მე ჯერ არ მიმიღწევია მაქსიმალური დონისთვის. პროგრესირება კიდევ შემიძლია და ეს ძალიან კარგია. იმ შემთხვევაშიც კი, ორცა იგებ, უნდა იცოდე, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის წესრიგში. უნდა გრძნობდე, რომ საჭიროა მუშაობა და მუდმივად სათამაშო დონის ამაღლება. მეორე მხრივ, ჩემი თამაშით ახლა უფრო დიდ სიხარულს განვიცდი, ვიდრე წინათ.

**- დაბრუნებისას უზარმაზარი შინაგანი ძალა გამოავლინეთ. საიდან გაქვთ ამდენი ენერგია?**

- ეს ძალა ჩემმა მშობლებმა მომცეს. მათ მაზიარეს საჩოგბურთო სამყაროს, ისინი მეხმარებიან ცხოვრების ყველაზე რთულ წუთებში. სამწუხაროდ, დედა ჩემთან აღარ არის. მე ის ბავშვობაში დავკარგე. მძიმე დრო იყო. ბევრი რამ გადავიტანე. თუმცა, სწორედ ამ დანაკარგმა გამხადა ისეთი, როგორიც ვარ. დარწმუნებული ვარ: დედა ადრეულ ასაკში რომ არ დამეკარგა, ამ Roland Garros-ს ვერ მოვიგებდი.

**- ამბობენ, რომ ახლა თქვენ უფრო ფრთხილად შეარჩევთ ტურნირებს...**

- დიახ. დასვენება ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება. ადრე შემეძლო მევარჯიშა და პრაქტიკულად შეუსვენებლად მეთამაშა. ახლა კი მწვრთნელსა და ექიმს შევუთანხმდი, რომ არ ღირს, წარსულის შეცდომა გავიმეორო. სერიოზული დატვირთვა სამ კვირაზე დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. ახლა პაუზას მაშინვე ავიღებ, როგორც კი ამის აუცილებლობას ვიგრძნობ.

**- გამოდის, რომ ვირუსი, რომლის გამოც კინაღამ კარიერა დაასრულეთ, თქვენს ორგანიზმზე კიდევ მოქმედებს?**

- საქმე ჩემს საერთო ტონუსს ეხება. ბოლო სეზონების განმავლობაში ორ კვირაზე დიდხანს არასოდეს დამისვენია. ამასთან, ფიზიკურად არც ისე ძლიერი ვარ. კორტზე გამოსვლა კი უდიდეს ენერგიას მართმევს. ექიმების ვარაუდით, ოპტიმალური ფორმის აღდგენა შესაძლებელია, მაგრამ ამას დრო სჭირდება.

ინფოთეკა

### პირველი გამარჯვება

გუშინ სპორტის სასახლეში ფრენბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გაიმართა. საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა მოლდოვის გუნდს უმასპინძლა და 0:3 მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო. აღსანიშნავია, რომ ექვსი დამარცხების შემდეგ ეს საქართველოს ნაკრების პირველი გამარჯვებაა შესარჩევ ციკლში. მომდევნო შეხვედრას ქართველი ფრენბურთელები 14 ივნისს შვედეთში გამართავენ.

### მაკარტი მოლაპარაკებას აწარმოებს "ბლექბერნთან"

"პორტუს" თავდამსხმელმა ბენი მაკარტიმ აღიარა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისურ "ბლექბერნთან". ფეხბურთელი აცხადებს, რომ ამ ზაფხულს ინგლისში გადაბარგებას აპირებს. მის სახელს "ნიუკასლს", "ჩელსის", ასევე "ტოტენჰემსაც" უკავშირებენ. თუმცა, თავად ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ "სერიოზულად მხოლოდ "ბლექბერნის" წინადადებაზე ფიქრობს".

### სპონსორმა "მანჩესტერ იუნაიტედი" გააფრთხილა

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა სპონსორმა კომპანიამ Vodafone სერიოზული შეშფოთება გამოთქვა გუნდის გულშემატკივრების გამო. მოგეხსენებათ, სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, მეტიც, დაიძაბა, კლუბის მფლობელის რანგში ამერიკელი მაგნატის მალკოლმ გლეიზერის გამოჩენის შემდეგ.

ინგლისური მედიის განცხადებით, კომპანიის ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას გეგმავს.

"ის, რაც "მანჩესტერ იუნაიტედში" ხდება, მნიშვნელოვნად მოქმედებს კომპანიის იმიჯზე, საკმაოდ აქვეითებს ჩვენი პროდუქციის გასაღების დონეს. აშკარაა, რომ ამის გაგრძელება აღარ შეიძლება. როცა ნებისმიერი კომპანია სპორტულ სპონსორობას იწყებს, პირველ რიგში, იგი საკუთარი თავის რეკლამირებას ისახავს მიზნად", - განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**სამშაბათი. 7 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 "დიდი წინააღმდეგობები". განვლილი სეზონი - ჰოლანდიის ჩემპიონატი. პსვ - "აიაქსი"
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები
15:30 თავისუფალი დარტყმა
15:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001-2002. "ლოკომოტივი" - "ანდერლეხტი"
17:30 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
18:15 "დიდი წინააღმდეგობები". განვლილი სეზონი - ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნატედი" - "არსენალი"
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
20:50 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები
22:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001-2002. "დინამო" (უკრაინა) - "ბორუსია"
00:05 "ფეხბურთი ჭრილში"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 19:00, 21:30 პრეს-ცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "რკინის ფაქტორი". "ექსპო არნოლდ შვარცენეგერ კლასიკ". მესამე ნაწილი
11:15 "სარკის წინ"
11:45 "ბილიარდის მეუფენი"
12:15 ცხენოსნობა. "The Derby"
13:35 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". გადამწყვეტი მატჩები
16:15 მძლეოსნობა. IAAF-ის დიდი პრიზი ესპანეთში
19:15 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა ავსტრალიიდან
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". ქალთა ფინალები
00:15 ახალი ამბები
00:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი "Montreux Volley Masters" შვეიცარიაში. ქალები. ბრაზილია - იაპონია

**EUROSPORT**

10:30 ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
11:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩი
12:00 მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში
13:30 სპიდვეი. სლოვენიის დიდი პრიზი
14:30 ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. კორეა - ინგლისი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ლონდონის სამეფო კლუბში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "თურქეთის რალი"
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი მაროკოში
01:30 რბოლა სატვირთოებით. ევროპის თასი ესპანეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "თურქეთის რალი"
03:15 ახალი ამბები

# საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო), მდებარე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, აცხადებს ღია ტენდერს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა და რეპატრიანტთა ბავშვების (დაბ. 1991-97 წლებში) სოციალური რეაბილიტაციისა და დასვენების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი მომსახურების შესყიდვის მიზნით.

2. რეაბილიტაციას დაქვემდებარებულ ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 500 პირს. მომსახურება უნდა განხორციელდეს 2005 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში ზღვისპირა რეგიონში.

3. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა 2005 წლის 21 ივნისიდან 24 ივნისის 18 საათამდე სატენდერო კომისიას ქართულ ენაზე უნდა წარუდგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

4. იურიდიული პირებისათვის:

ა) განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები;

ბ) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მის/მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ვ) ინფორმაცია მსგავსი მომსახურების სფეროში სათანადო გამოცდილების შესახებ;

ზ) ინფორმაცია ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

5. ფიზიკური პირებისათვის:

ა) განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის მისამართი და საბანკო რეკვიზიტები;

ბ) ცნობა გაცემული შესაბამისად ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან მონაწილის ქმედუნარიანობის შესახებ;

გ) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მონაწილე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ე) ინფორმაცია მსგავსი მომსახურების სფეროში სათანადო გამოცდილების შესახებ;

ვ) ინფორმაცია ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

6. ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს დედნის სახით, ხოლო ასლების წარმოდგენის შემთხვევაში, იგი სათანადო წესით დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიალურად.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე, სამინისტროს კანცელარიაში - მე-3 სართული, ოთახი №303.

8. ტენდერში მონაწილე პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დაიშვება პრეტენდენტად, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

9. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტებთან.

10. ტენდერში გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

11. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცებულ პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 30 ივნისიდან 1 ივლისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 16, მე-3 სართული, ოთახი №303, სამინისტროს კანცელარია. მოსაკრებლის გადახდისათვის სათანადო რეკვიზიტები პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით.

12. დამატებითი ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - ირმა სანიკიძე, პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე, ან ტელ. 38-47-92.

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 საფოსტო ინდექსი 380079; აცხადებს ღია ტენდერს 1 ცალი მსუბუქი ავტომანქანისა და 1 ცალი ყველგან მავალი ტიპის ავტომანქანის შესყიდვაზე.

მსუბუქი ავტომანქანის მოკლე აღწერილობაა: გამოშვების წლები - მინიმუმ 2004, გაბარიტული ზომები - მინიმუმ 3700/1500/1400, კარების რაოდენობა - 5, ძრავის მოცულობა - მინიმუმ: 1300 კბმ. მაქსიმუმ: 1600 კბმ, ძრავის ტიპი - ბენზინი ელექტრო შეფრქვევის სისტემით, ცილინდრების რაოდენობა - მინ 4 - მაქს 6, ძრავის სიმძლავრე - მინიმუმ 70 ცხ/ძ, საწვავის ხარჯი - მაქსიმუმ 10 ლიტრი 100 კმ-ზე, სიჩქარის კოლოფი - 5 სიჩქარიანი.

ყველგან მავალი ტიპის ავტომანქანის მოკლე აღწერილობაა: გამოშვების წლები - მინიმუმ 2004, გაბარიტული ზომები - მინიმუმ 4000/1700/1400, ძრავის ტიპი - ტურბო დიზელი, ძრავის სიმძლავრე - მინიმუმ 120 ცხ/ძ, ძრავის მოცულობა - მაქსიმუმ 2700 კბმ, ცილინდრების რაოდენობა - მინ 4 - მაქს 6, საწვავის ხარჯი - საშუალოდ მაქს 15 ლიტრი 100 კმ-ზე.

შესასყიდი საქონელი სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებს ГОСТ 25478-91 და შეესაბამებოდეს მოთხოვნილ ტექნიკურ მახასიათებლებს.

შესასყიდი საქონელი DDP პირობით მოწოდებულ უნდა იქნეს შემსყიდველის მისამართზე: "საქპატენტი" ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ოფისში, გამარჯვებულ პრედედენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

**3.** საკვალიფიკაციო მონაცემების მიღება ქართულ ენაზე, დაიწყება 2005 წლის 23 ივნისს და დამთავრდება არაუგვიანეს 2005 წლის 27 ივნისს 17.00 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი", სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ეკონომისტთან ბატონ შ. ქაჯაიასთან:

**4.** საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" თანახმად, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირმა უნდა წარმოდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

სახელმწიფო ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ (პირის რეგისტრაციის ადგილის რაიონული სასამართლოდან);

- ცნობები რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, გაკოტრების, სანაციის საქმეთა არარსებობის შესახებ (შესაბამისად, პირის რეგისტრაციის ადგილის რაიონული სასამართლოდან);

ცნობა ქონებაზე ყადაღის საქმის არარსებობის შესახებ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)

- ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**5.** ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

- ცნობა, რომ მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ცნობა, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (პირის საცხოვრებელი ადგილის რაიონული სასამართლოდან)

**6.** ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

7. "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტებად არ დაიშვებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები:

ა) არ შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან ყალბი აღმოჩნდება;

ბ) არაზუსტი ან არასრული აღმოჩნდება, ან ამ მონაცემებში მექანიკური შეცდომაა დაშვებული და მათი წარმომდგენი პირი უარს აცხადებს დაშვებული შეცდომის (უზუსტობის) გასწორებაზე ან მონაცემების საჭირო ინფორმაციით შევსებაზე ან/და არ შეუძლია მისი გასწორება.

9. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებელის 500 ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ, ბანკში "რესპუბლიკა" ანგარიშის N700198; კოდი 220101757; 30.06.05 დან 05.07. 2005-ის 17 სთ.მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტი"-ის ოფისში, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ეკონომისტთან ბატონ შ. ქაჯაიასთან.

10. სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 11 ივლისი დღის 15.00 სთ-მდე,

11. სატენდერო წინადადებების გახსნა, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე მოხდება 2005 წლის 11 ივლისს დღის 15.00 სთ-ზე, პრეტენდენტი პირების თანდასწრებით.

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და პაკეტის გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

პრეტენდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

13. აღნიშნულ ღია ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

**ყველა სახის ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბ-ნ შალვა ქაჯაიას მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 ტელეფონი: 24 10 31 ; 24 მობ. 8 99 94 67 97.**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ.თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის 2005 წლის პროგრამის" ფარგლებში გონება და უნარშეზღუდულ შშმპ-თა ჰოსპისური სერვისით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია **გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის დღის მომსახურება**.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 24 ივნისიდან 27 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან);

5.3. დამატებითი მოთხოვნა:

ა) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს არ გააჩნია ვადაგადაცილებული ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან);

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დამტკიცებული აუდიტის მიერ);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების აღწერილობა, გასაწევი მომსახურების ვადები და შედეგები;

დ) პროგრამის მიხედვით ბენეფიციართა შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა და აღნიშნულ პირთა სია როგორც დოკუმენტური, ისე ელექტრონული ფორმით

დ) ინფორმაცია პროექტში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციისა და ანალოგიური საქმიანობის გამოცდილების შესახებ;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 28 ივნისიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული წინადადება (წინადადებები).

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: გელა ჩიკვაიძე. ტელ.: 694871, 696590, მაია ბუჩუკური ტ. 346395 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: procurement-ge@yahoo.com

*სატენდერო კომისია*

# ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. **ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური**
(ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24, საიდ. კოდი 201955296, ა/ა 001132801, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო კოდი 220101107)

აცხადებს **ღია ტენდერს** ქ. თბილისში, ინგოროყვას ქ. N 19-ში მშენებარე საცხოვრებელი სახლის დასამთავრებელი სამშენებლო სამუშაოების (მ.შ. გ/ქსელები და კ/მ) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა: **- 2006 წლის ოქტომბერი**.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე **2005 წლის 22 ივნისის 10 სთ-დან, 24 ივნისის 17 სთ-მდე**. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ.კოსტავას I შეს. N 33, III - სართული.

ურბანული დაგეგმარ. საქალაქო სამსახურის **კაპიტალური მშენებლობის განყოფილება.**

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) დადგენილება სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ, წესდების ან დებულების თანდართვით.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადბული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;

დ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3 როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ;

ბ) ინფორმაცია უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ;

გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთა ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია- გამოცდილების, აგრეთვე სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ;

დ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მათ შორის:
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ;
- უკანასკნელი 1 ( ერთი ) წლის ბალანსი და ანგარიში, აუდიტორული დასკვნით;
- ინფორმაცია საფინანსო რესურსებზე ( წერილი მომსახურე ბანკიდან ).

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, **2005 წლის 27 ივნისის 10 სთ-დან, 30 ივნისის 17 სთ-მდე.**

შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. კოსტავას I შეს. N 33 III სართული.

7. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

8. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგი პირებისაგან: **ტიტე რუხაძე** - სატენდერო კომისიის წევრი, **მალხაზ ბაღანაშვილი** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,

მისამართზე: მ. კოსტავას I შეს. N 33, III სართული.

ტელეფონი: 92-07-90. 92-07-86

*სატენდერო კომისია.*




## TV პროგრამა, 7 ივნისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ლუი **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ცრემლები ცვიოდა" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ლუი **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** სერიალი "უცნობი" **00.00** მხ. ფილმი "პატარა ვერა" (18) (ნატალია ნეგოდა) **02.10** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "ავლიპ ზურაბაშვილი" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (პარიზი) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "ჩოგბურთის აკადემია" **19.00** "ჰოლმარკი" - "კლეოპატრა" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ფანტასტიური სინათლე" **23.00** პროფესიონალი - ექიმი-ნარკოლოგი **23.30** მხ. ფილმი "შეხვედრა წარსულთან" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "თანამგზავრი ქალი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** კრიმ. სერიალი "სთშ" **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "მზიანი დღე", "პონტო შავი, შავი ზღვა" **00.00** მხ. ფილმი "განუმეორებელი ქალი" (15) (რიჩარდ როკსბერგი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **20.55** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" **21.45** კინოსეანსი "მოლანდება"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05, 12.20, 17.10, 02.25** იმედის მელოდიები **10.30** დოკ. სერიალი "მსოფლიოს იდუმალი ადგილები" **11.15** სერიალი "დრონგო" 1-ლი ს. **12.40, 16.25, 01.40** ტვ-მარკეტი **13.15** ვაკაჭი-ნიუსი **13.45** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "დრონგო" მე-2ს. **22.40** პირველები **23.25** მხ. ფილმი "გახსოვდე" (15) (მ. ბელუჩი) **02.15** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექცია" **10.30** კომედია "ჩემს ცოლს მორისი ჰქვია" **12.30** მხ. ფილმი "სასიკვდილო გატაცება" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **15.05** ბოევიკი "გამტაცებელთა ჯგუფი" **18.10** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** თრილერი "ოჩოპინდრე" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.20** მხ. ფილმი "რექვიემი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Многосерийный фильм **"ВЕРЕВКА ИЗ ПЕСКА". 10.30** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Джоан Хиксон в детективе **"ЗЕРКАЛО ТРЕСНУЛО" 14.30** "Угадай мелодию" **15.20** Что? Где? Когда? **16.20** Михаил Пореченков в сериале **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 17.30** "Пять вечеров". **18.40** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 19.50** Многосерийный фильм **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Многосерийный фильм **"ВЕРЕВКА ИЗ ПЕСКА". 22.40** "Мимино". Рождение легенды. **23.30** Ночное "Время". **23.50** "Формула власти". Президент Франции Жак Ширак. **00.20** Искатели. "Война на радиоволнах". **01.00** Джейми Ли Кертис в фильме **"МОЯ ДЕВОЧКА".** Одиннадцатилетняя Вэйда живет в маленьком городке штата Пенсильвания вместе со своим отцом Гарри, владельцем бюро ритуальных услуг. Мать девочки умерла при родах, и Вэйда чувствует себя виновницей ее смерти. Она тонкий и очень впечатлительный ребенок, замкнутый в собственном эмоциональном мире. Ее единственный и верный друг - местный мальчишка-очкарик Томас Дж. Сеннетт, страдающий аллергией. Вэйда переживает, видя увлечение отца новой сотрудницей-гримершей. Она чувствует себя лишней, а тут судьба преподносит еще один неожиданный и жестокий удар, лишив друга Томаса. **02.40** Герман Жарамийо в триллере **"ПОКРОВИТЕЛЬНИЦА УБИЙЦ".** Писатель средних лет Фернандо Вальехо после тридцатилетнего отсутствия возвращается в Колумбию в родной город. Прекрасный Меделлин, с которым связаны самые лучшие воспоминания юности, теперь - центр наркоторговли. Вокруг нищета, разгул преступности и кокаинового бизнеса, а человеческая жизнь не стоит ни гроша. Вскоре он знакомится с 16-летним Алексисом, членом уличной банды. Между ними вспыхивает взаимное чувство, такое же безумное, как и город, в котором оно зародилось... **04.50** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **08.55** Сериал **"НЕ ССОРЬТЕСЬ, ДЕВОЧКИ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.15** Чистосердечное признание. **10.50** Сериал **"ТАМБОВСКАЯ ВОЛЧИЦА". 11.55** Сериал **"АДВОКАТ". 13.35** Алексей Горбунов в фильме **"ГРУЗ БЕЗ МАРКИРОВКИ".** Помощник капитана зарубежного судна занимается контрабандой. Перед досмотром на российской таможне он большой дозой наркотиков "выводит" капитана из переговоров, но это не спасает его от разоблачения. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ-2: ДВОЙНОЙ КАПКАН". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"АДВОКАТ". 20.45** Сериал **"ТАМБОВСКАЯ ВОЛЧИЦА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"АДВОКАТ". 01.20** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ". 02.45** Бильярд. **03.05** Коллекция Даниэлы Стил. Худ. фильм **"НАЧАТЬ СНАЧАЛА". 2**-я серия. **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-4". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2".**

## სკანვორდი



ჯაზ-ფესტივალი

# "ქლაიენთს ფანკ სოსაითი"



*მეცხრე "კოკა-კოლა ჯაზ-ფესტივალის" პროგრამაში მცირედი ცვლილებაა. ფესტივალი, გამოცხადებული 3 ივლისის ნაცვლად, 2 ივლისს, ვაკის პარკში, ღია ცის ქვეშ დაგეგმილი კონცერტით გაიხსნება. კონცერტზე მხოლოდ ადგილობრივი მუსიკალური კოლექტივები გამოვლენ. ფესტივალის გახსნა "ისთერნ პრომოუშენმა" "ლემონ ჯუსს", "პაპარაცისა" და "გიორგის ჯაზდივიზიონს" მიანდო.*

ამის შემდეგ ფესტივალს უცხოეთიდან მოწვეული შემსრულებლები გააგრძელებენ. მათ შორის, ჩვენი პირველი სტუმარი იქნება შვეიცარიული კოლექტივი "ქლაიენთს ფანკ სოსაითი" (The Clients Funk Society). შვეიცარიელი მუსიკოსები 3 და 4 ივლისს "შერატონ-მეტეხი პალასსა" და სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გამართავენ კონცერტებს. "24 საათი" დღეიდან დაიწყებს ფესტივალის სტუმრების წარდგენას. ამჯერად გაგაცნობთ "კოკა-კოლა ჯაზ-ფესტივალის" პირველ უცხოელ სტუმარს, შვეიცარიულ ჯგუფს **"ქლაიენთს ფანკ სოსაითის".**

მოსაწყენ წვეულებებზე აჟიოტაჟის ამტეხნი - ასე მოიხსენიებენ ხოლმე ფანკ-ჯგუფს "ქლაიენთს ფანკ სოსაითის". არჩევანი ამ კოლექტივზე შემთხვევით არ შეჩერებულა. როგორც ფესტივალის ორგანიზატორებმა გვითხრეს, ჯგუფს მათ ევროპაში მოუსმინეს და დარწმუნებული არიან, ფესტივალის შემდეგ შვეიცარიელი მუსიკოსები თბილისშიც პოპულარულები გახდებიან. აი, როგორ რეცენზიას გვთავაზობს "ისთერნ პრომოუშენი" "ქლაიენთსის" შესახებ: ჯგუფს ფანქის მიმდინარეობის დამფუძნებლად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ, თუმცა, მისი წევრები ყოველთვის ცდილობენ, ამ მუსიკის მიმდევართა გემოვნებაში ჩაჯდნენ ისე, რომ კომპოზიციები ტრივიალურად არ ჟღერდეს. ჯგუფის თითოეული წევრი დამოუკიდებლად შესანიშნავი სოლო მუსიკოსია, თუმცა, თითოეულ მათგანს საერთო მიზანი ამოძრავებს - მხიარული განწყობილება შეუქმნას მსმენელს და ეს მდგომარეობა საათების განმავლობაში გაგრძელდეს. კონცერტზე სცენა და დარბაზი საოცარი ენერგიით არის სავსე. ჯგუფის გამოსვლას განსაკუთრებულ ელფერს ჰმატებს გიტარის მკაფიო ჟღერადობა, საქსოფონის ამაღელვებელი სოლო პარტიები, ხოლო ბას-გიტარისა და დასარტყამი ინსტრუმენტების ძლიერი პულსაცია ადგილზე მშვიდად გაჩერების საშუალებას არ მოგცემთ.

"ქლაიენთს ფანკ სოსაითის" დისკოგრაფიაში სამი სტუდიური ჩანაწერია: "დოქ. ვოტსონი" (1996), Olten (2000), Red Lounge (2004). ჯგუფი თბილისში შვიდკაციანი შემადგენლობით ჩამოდის. მარკო ფიგინის (გიტარა), დეივ ფეუსის (საქსოფონი), პიტერ ვაგნერის (კლავიშები), ჰენდრიქს აქლის (კლავიშები), ჟან პიერ ჩელერისა (ბასი) და ქრისტიან ნებერერის (დასარტყამი ინსტრუმენტები) ჯგუფს თბილისის ჯაზ-ფესტივალზე სტუმრის სტატუსით შეუერთდება ვოკალისტი ფრედა გუდლეთი. "ქლაიენთს ფანკ სოსაითი" 3 ივლისს "შერატონ-მეტეხი პალასის" საბანკეტო დარბაზში გაეცნობა ქართველ მსმენელს, მეორე დღეს კი სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში დევიდ სენბორნისა და "ოლ შსტარ ბენდის" საღამოს დაასრულებს.









# XIX-XX საუკუნეების ყველაზე მავნე წიგნები










გამომცემლობა Human Events-მა 15 წამყვანი მეცნიერისა და პოლიტიკოსისგან შემდგარ ჯგუფზე დაყრდნობით XIX-XX საუკუნეების 10 ყველაზე მავნე წიგნი განსაზღვრა.

გამოკითხვის ყოველი მონაწილე წიგნების გარკვეულ რაოდენობას ასახელებდა, შემდეგ კი ყველა წარდგენილ სათაურს უყრიდა კენჭს. შედეგად, ყველაზე რეიტინგულად კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის "კომუნისტური პარტიის მანიფესტი" დასახელდა. ცხელ ათეულში ჰიტლერის, ნიცშეს და მაო ძედუნის ნაწარმოებებიც მოხვდა.

**1. "კომუნისტური პარტიის მანიფესტი"**

ავტორები: კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი

გამოცემის თარიღი: 1848 წ.

მარქსი და ენგელსი, რომლებიც გერმანიაში 1818 და 1820 წელს დაიბადნენ, კომუნიზმის ინტელექტუალური ნათლიები იყვნენ. მდიდარი მემკვიდრე ენგელსი (მამის სიკვდილის შემდეგ მას ფირმა "ერმენ და ენგელსის" ფაბრიკები დარჩა) მარქსს ფინანსურ დახმარებას უწევდა. 1848 წელს ავტორებმა კომუნისტების კავშირის მეორე კონგრესის დაკვეთით ამ გაერთიანების პროგრამის სახით "კომუნისტური პარტიის მანიფესტი" დაწერეს. "მანიფესტი" ცნობილი ფრაზით იწყება: "აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა..." საბჭოთა კავშირი "მანიფესტის" თეზისებს ცხოვრებაში ატარებდა.

**2. "ჩემი ბრძოლა"**

ავტორი: ადოლფ ჰიტლერი

გამოცემის თარიღი: 1925-26

წიგნი "Mein Kampf" პირველად 1925 და 1926 წლებში გამოვიდა. ჰიტლერმა ის ციხეში დაწერა, სადაც 1923 წლის წარუმატებელი ნაცისტური აჯანყების შემდეგ მოხვდა.

წიგნში ჰიტლერი გერმანიის გაძლიერების იდეას ყველა გერმანელის გაერთიანების, გერმანიის ებრაელებისგან და სხვა უცხოელებისგან გაწმენდის და საპარლამენტო რეჟიმის ვერტიკალური იერარქიით შეცვლის გზით ქადაგებდა. ცნობილია, რომ 1945 წელს "Mein Kampf"-ის 10 მილიონზე მეტი ეგზემპლარი დაიბეჭდა.

**3. მაო ძედუნის ციტატები**

გამოცემის თარიღი: 1966

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი მდივანმა მაო ძედუნმა, რომელიც 1976 წელს გარდაიცვალა, 1966 წელს გამოსცა "პატარა წითელი წიგნი". ეს ლექსების, სტატიებისა და აფორიზმების კრებული მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა და წარმოუდგენელი ტირაჟით - 900 მილიონი ეგზემპლარით დაიბეჭდა. ჩინელი მეცნიერების ჯგუფმა დაადგინა, რომ 470 ტექსტიდან 250-ზე მეტი სხვის მიერაა დაწერილი. წიგნი "კულტურული რევოლუციის" პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ იქცა.

**4. "მამრი ადამიანის სექსუალური ქცევა"**

ავტორი: ალფრედ კინსკი

გამოცემის თარიღი: 1948

ზოოლოგი ალფრედ კინსკი ინდიანას უნივერსიტეტში ასწავლიდა. 1948 წელს მან გამოაქვეყნა თავისი ფუნდამენტური შრომა "მამრი ადამიანის სექსუალური ქცევა". წიგნს "კინსკის ანგარიშად" მოიხსენიებდნენ.

წიგნმა მასში მოყვანილი სტატისტიკით გაითქვა სახელი: დოქტორ კინსკის მიერ გამოკითხული ყველა მამაკაცი თეთრკანიანი ამერიკელი იყო. მათგან 90 პროცენტი ონანიზმითაა დაკავებული, 85 - ადასტურებდა ქორწინებამდე სექსუალურ კავშირს, 30-40 პროცენტი ცოლს ღალატობდა, 70 - მეძავეების მომსახურებით სარგებლობდა, ხოლო 37-ს - ერთხელ მაინც ჰქონდა სექსი სხვა მამაკაცთან.

5 წლის შემდეგ კინსკიმ "ქალის სექსუალური ქცევა" გამოაქვეყნა. ის თავის შრომებში იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ ყოველი ადამიანის სექსუალური ქცევა იმდენად უნიკალურია, რომ მათი შედარება ინტელექტუალურ შესაძლებლობებთანაც კი შეიძლება. კინსკის სექსუალური რევოლუციის "ფუძემდებლად" მიიჩნევენ. ის 1956 წელს გარდაიცვალა.

**5. დემოკრატია და განათლება**

ავტორი: ჯონ დიუ

გამოცემის თარიღი: 1916

ჯონ დიუ - ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და პედაგოგი პრაგმატიზმის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელია. ცხოვრობდა 1859-1952 წლებში, ასწავლიდა კოლუმბიის და ჩიკაგოს უნივერსიტეტებში. დემოკრატიას და განათლებას დემოკრატიის ინტერესებში დიუ იმ პრობლემებად მოიაზრებს, რომელთა კვლევისას მორალური და ლოგიკური პრობლემები წამოიწევს წინ. დიუ ტრადიციულ რელიგიას და მორალის აბსოლუტურ გაგებას უარყოფდა.

**6. "კაპიტალი"**

ავტორი: კარლ მარქსი

გამოცემის თარიღი: 1867-1894

კარლ მარქსის მთავარი ნაშრომი, რომელშიც კაპიტალიზმი საზოგადოების განვითარების დამახინჯებულ ფაზად წარმოადგინა, რომლის დროსაც ამორალური კაპიტალისტები ექსპლუატაციას უწევენ იაფ მუშახელს. მარქსი თავის ნაშრომში კაპიტალიზმის დაღუპვისა და კომუნიზმის გამარჯვების დამტკიცებას ცდილობდა.

**7. "ქალურობის საიდუმლო"**

ავტორი: ბეტი ფრიდენი

გამოცემის თარიღი: 1963

ბეტი ფრიდენის წიგნი ფემინიზმის მოძრაობის ბიძგი გახდა. ფემინისტური მოძრაობის ლიდერმა, ქალების ნაციონალური ორგანიზაციის დამფუძნებელმა და პირველი პრეზიდენტმა გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც საზოგადოებას ქალებისადმი დამოკიდებულების შეცვლისკენ მოუწოდებდა.

**8. "პოზიტიური ფილოსოფიის კურსი"**

ავტორი: ოგიუსტ კონტი

გამოცემის თარიღი: 1830-1842

ოგიუსტ კონტი - ფრანგი ფილოსოფოსი, პოზიტივიზმისა და სოციოლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. კონტის მიხედვით, არც მეცნიერება და არც ფილოსოფია არ უნდა სვამდეს კითხვას მოვლენის მიზეზზე, არამედ იმაზე უნდა მსჯელობდეს, თუ როგორ ხდება ის.

**9. "სიკეთისა და ბოროტების იმ მხარეს"**

ავტორი: ფრიდრიხ ნიცშე

გამოცემის თარიღი: 1886

ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900) - გერმანელი ფილოსოფოსი, ბაზელის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოსოფიის პროფესორი. ფილოსოფიურ-მხატვრული სტილით დაწერილ ნაწარმოებებში ურთიერთგამომრიცხავ მოტივებს შეხვდებით.

**10. სესხი, პროცენტი და ფულის ზოგადი თეორია**

ავტორი: ჯონ მეინარდ კეინსი

გამოცემის თარიღი 1936

კეინსმა იტონსა და კემბრიჯში მიიღო განათლება. მან საბაზრო ეკონომიკის თეორიული მოდელი წარმოადგინა.










**ქ. თბილისის მერია აცხადებს კონკურსს შემდეგი სახის ტურისტულ პროდუქტებზე**

ტურისტული ლოგოს შექმნა (I ადგილი 500 ლ. II და III ადგილი 200-200 ლ.)

ტურისტული ვებ-გვერდის ქუდის დიზაინი (I ადგილი 300 ლ. II და III - 100-100 ლ.)

საინფორმაციო ტურისტული ცენტრის ლოგო (I ადგილი 100 ლ. II და III - 50-50 ლ.)

იდეა-ნიმუშების მოწოდების ვადაა: 2005 წლის 20 ივნისი.

მისამართი: ქ. თბილისის მერია, თავისუფლების მოედანი N2.

ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 99 80 27; 93 28 95.

ან იხილეთ www.tbilisi-guide.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04

20-00-24